

პარლამენტის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია მართალი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
და  
ლიტერატურული აღმანახი

- რანი ვიყავით,  
რანი ვართ,  
რად შეიძლება ვიქმნეთ...

თბილისი-2019



მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა!

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი კეკელიძე, ელბერდ ბატიაშვილი, ლოიდ ქარჩავა,  
მირიან ხოსიტაშვილი, მალხაზ დათუკიშვილი.

ISBN 978-9941-8-0985-6

© „ილიას დარბაზი“  
საკ. ტელ.: 599 92-87-12

# შინაარსი

მკითხველს . . . . .	5
გვჭირდება კი იდეოლოგია? . . . . .	6
რაღა დროს ილიაა ?! . . . . .	10
ილია და საქართველო . . . . .	11
ილიას დრო მოდის . . . . .	12
„ხოდაბუნები“ და დავით აღმაშენებელი . . . . .	13
ილია და „ივერია“ . . . . .	15
ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე . . . . .	16
ილია და ჰეგელი . . . . .	18
ჩემი ღმერთი ჩემი სინდის-ნამუსია. . . . .	19
ილია და ვეფხისტყაოსანი . . . . .	20
ილია და თბილისი . . . . .	21
დაგვიანება გვიყვარს ქართველებს... . . . .	23
ბუნებრივი ყველაფერი კარგია . . . . .	24
ილია და „მარქსელები“ . . . . .	24
ილია და „ფედერალისტები“ . . . . .	25
ილია და ვარლამ ჩერქეზიშვილი . . . . .	27
ივრისპირეთი და ქვეყნის უსაფრთხოება . . . . .	28
ილია და აჭარა . . . . .	31
ილია და ერეკლე მეფე.. . . . .	33
„ახლად შენება საქართველოს“ . . . . .	34
„მით უფრო საამაყო და სასახელო“ . . . . .	36
არის თუ არა ყველაფერი „უცხო“ საუცხოო . . . . .	37
ილია და „განაზრახის“ ორი გზა . . . . .	38
ილია და „კაცი“ . . . . .	39

„ღმერთო, ქართველებს ერთპირს ნუ მისცემ“ . . . . .	40
- ამას რუსიც სხვა ჰგონია . . . . .	41
ილია და მეცნიერება . . . . .	42
ილია დღეს . . . . .	43
ილია და ევროპა . . . . .	44
ილია და „შეთქმა“ . . . . .	45
„ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ?“ . . . . .	47
- იარაღს მტერი მოიტანს! . . . . .	49
ილია და კავკასია . . . . .	50
ილიას „ჯადო-ნამუსი“ . . . . .	51
ილია და „ქართული პროგრესი“ . . . . .	52
არ ელოდნენ . . . . .	52
რა მოხდა? რაშია საქმე? . . . . .	53
„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება“ . . . . .	55
„ერთი-ორი მათრახი თქვენც მოგხვდეთ“ . . . . .	56
- კიროვს ეწყინება! . . . . .	57
- რაც არ უნდა მოხდეს, არ ეომოთ რუსეთს. . . . .	60
„საერთო ნიადაგის“ თეორია . . . . .	61
ილია და ოლღა . . . . .	65
XX საუკუნე - „წყევა-კრულვიანი საკითხავი“ . . . . .	67
„ორ-ხმიანი ოპერეტი“ და „ხორო“ . . . . .	70
კიდევ რამდენიმე შტრიხი ილიას პორტრეტისათვის . . . . .	73
„ახალი ქართველები“ . . . . .	78
- მტირალა ილია?! - დაუჯერებელია . . . . .	80
„მე ილია უმდიდრესი კაცი მეგონა“ . . . . .	81
- მთა და ბარი ვის გაუსწორებია? . . . . .	82
ილია დღეს . . . . .	83
<b>ლიტერატურული ნაწილი</b>	
საცეკველა . . . . .	85

## მკითხველს

გლობალიზმის ჟამს ყოველდღიურ პრობლემებში ჩაფლულებს ხშირად გვაწვდება: მათი გადაჭრის ყველაზე უტყუარი ილიას გზაა, ანუ, იმის გააზრება, თუ - „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ.“ ამის გარეშე პრობლემის გრძელვადიანი გადწყვეტა არ არსებობს.

რაშია ილიას ძალა? ილიას ძალა სიმართლეშია, მოვლენათა სწორ აღქმასა და გააზრება-ანალიზშია. ის ათეული და ასეული წლებით წინ იხედება. ამის ათასი მაგალითია, უპირველესად კი, „საერთო ნიადაგის“ თეორია...

1936 წლის 4 სექტემბერს ბომბივით გასკდა „პრავდის“ ილიას საქებ-სადიდებელი სტატია, იქვე „კაკო ყაჩაღის“ რუსული თარგმანით. ამით თითქოს დამთავრდა „ხალხის მტრის“ ძველი დემაგოგია, მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი საბჭოური რეაბილიტაცია: ილია აღსდგა ვითარცა „მწერალი“ და არა „ეროვნული იდეოლოგი“... .

ივანე ჯავახიშვილმა გვიჩვენა ეს მისი დიდი ისტორიული მისია საპროგრამო ნაშრომით - „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო-საკვლევ და სასწავლო დარგს - „ილიალოგიას“. დღეს „ილიალოგიას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ იგი ერის სულიერი და მატერიალური ყოფის ყველა სფეროს მოიცავს - სამართლებრივს, პოლიტიკურს, სოციალურ-ეკონომიკურს და ზნეობრივს. მასზე უნდა აღიზარდონ ერის მომავალი თაობები: ახალ საქართველოს მხოლოდ ამ გზით შევქმნით. . .

უფრო ადრე ვაჟა-ფშაველამ განსაზღვრა ილიას ეს ისტორიული მისია („ვერ მოჰკლეს!“), აკაკიმ მას „ლამპარი“ უწოდა, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა იწინასწარმეტყველა:

„იქნებ მომავალში მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველს ერს.“

გალაკტიონმა ორი სტრიქონით გენიოსურად გახსნა ყოველივე ეს:

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,

მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.“

ამ „დიდი ეპოქის“ აღდგენა-განახლების დილემა დგას XXI საუკუნის საქართველოსთვის. ეს აღმანახიც ამ პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისაც ამის სურვილი აქვს.

ჩვენს დევიზია:

„ილია მართალი - საქართველოს მომავლის  
გზისგამკვალავი!“

## გვჭირდება კი, იდეოლოგია?...

მესამედასელ მარქსისტებს რომ ებრძოდა, რომელთაც ჩვენი ისტორიისა არაფერი სწამდათ და იქ „გარდა გმობისა და უარყოფისა“, ვერაფერს ხედავდნენ, ილია ცდილობდა გაეგებინებინა მათთვის, რომ გარდა „ტყვეთა სყიდვისა და ღალატი-გამცემლობისა,“ ჩვენს ისტორიაში ბევრია სამომავლოდ გამოსაყენებელიც და საამაყოც. ჩვენი ვალიც ის არის, რომ აღვადგინოთ „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყება“. ამიტომ შესთავაზა რუსეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდა პუბლიცისტს ნოე ჟორდანიასაც „ივერიაში“ თანამშრომლობა ...

„რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის..., თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით. მეორის მხრით - რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა, თუ ჩვენი ქვეყნის საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად, უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩამოეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე ამას გვიხსნის მარტო ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშინ ... დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე... ჩვენი აწყმოც და მომავალიცა...“

- აწმყო შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავალისა, ლაიბნიცის ამ ფორმულას ხშირად ხმარობდა ილია და „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც ისაა, რომ ქართველმა ერმაც, თუ -„მას ერობა კიდევა ჰსურს“, არ უნდა დაივიწყოს „თავისი ცხოვრების სათავე“...

მაგრამ მარქსიზმმა ეს ყველაფერი „ისტორიის სანაგვედ“ გამოაცხადა: - ყველაფერი ძველი უნდა დაინგრეს შეუბრალებლად და კაცობრიობა სულ სხვა გზით უნდა განვითარდეს... საქართველო და რუსეთი კი არა, მარქსიზმით იყო დაავადებული მაშინ ევროპაც და მთელი მსოფლიოც. სოციალიზმის იდეაც გაბატონდა ყველგან. იგი კაპიტალიზმის ერთადერთი ალტერნატივა გახდა. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ კომუნისტური იდეები, სოციალიზმისა და კომუნისმის იდეალები, როგორც ილია ამბობდა მოსწრებულად, „ახალ რელიგიურ სიმბოლოდ და ახალ სიბრძნე-სიცრუედ იქცა“...

ამიტომაც რუსეთიდან, თუ ევროპიდან დაბრუნებული და ამ

იდეებით დაავადებული ჩვენი მაშინდელი ინტელექტუალური ელიტის უმრავლესობას „საერთო ნიადაგის“ ხსენებაც არ უნდოდა. სამაგიეროდ, მათ ეს „ახალი სიბრძნე-სიცრუე“ მთელ ქვეყანას მოსდეს და ეს სენი მთელ ხალხს, განსაკუთრებით გლეხობას და ახალგაზრდობას გადასდეს, ილია კი, „რეაქციონერად და კონსერვატორად“ გამოაცხადეს.

ილია კი, სალი კლდესავით შეურყეველია, მისი რწმენის შეცვლა ისე ადვილი არაა - „სახალხო კაპიტალიზმია ჩვენი გზა... ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოვშობოთ მკვიდრად“. ჩვენი ისტორია უნდა გახდეს ამის „ბალავრის ქვა“. აი, მისეული დასაბუთებაც, ჩვენს თაობებსაც რომ ეხება დღესაც:

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხოვა და გათახსირება იქიდან იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... რა არის ისტორია? ისტორია მთხრობელია იმისა, თუ - რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ... წარსულის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორციტ წარწყმედისა... ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის - რისთვის არის, საიდან მოდის და საით მიდის...

ჩვენი ხალხი ბინადარი ხალხია, თავისი მიწა-წყლის ერთგული მკვიდრნი ოდითგან... იგი ამით დიდად განსხვავდება სხვა ხალხებისაგან... ამიტომაც ძნელია ჩვენის გლეხკაცისათის ადგილიდან დაძვრა, ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ უცნობია ერთგვარი დანაშაული, რომელსაც „нродяжничество“ ჰქვია. ამიტომ ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვია და არა „მდგმური“, როგორც ზოგიერთ ენაშია.“

შესანიშნავად გახსნა ჩვენი ისტორიის და ეროვნული მემკვიდრეობის არსი და თავისებურებანი ივანე ჯავახიშვილმა: „ილიალოგია“, მთელი ჩვენი იდეოლოგია ამას უნდა დაეფუძნოს. ყველაფერს ამას გაგება და სერიოზული მეცნიერული კვლევა და რაც მთავარია, გათანამედროვეება და გამოყენებითი პოლიტოლოგიური გააზრება სჭირდება.

1938 წლის მონოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილის ასეთ გულსაკლავ სიტყვებსაც ვნახავთ: „ჩვენს ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი, - კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო და საუბედუროდ, ილიას კარგი გამგონე არ გამოხსენია, მაგრამ ეს ხომ, მისი ბრალია არაა?“

ქემმარტად, რომ არა! ამოცანაც ისაა, რომ მას ბოლოსდაბოლოს „კარგი გამგონე“ გამოუჩნდეს. აი, მაშინ შევძლებთ გავიგოთ და

გავიაზროთ ის, რაზეც იგი ოცნებობდა მთელი ცხოვრება.

და აქ ივანე ჯავახიშვილი მომავალ თაობებს გვაფრთხილებს: ილიასგან, მისი მემკვიდრეობისგან განდგომა მეტად ძვირი უჯდება ერს და ქვეყანას. ეს ახალ-ახალი ტრაგედიების ტოლფასია მუდამ. საქართველოს უახლესი ისტორიის მეორე დიდი ერისკაცის ეს გაფრთხილება მარად უნდა გვახსოვდეს ყველას...

ავიღოთ ჩვენი ისტორიის ნებისმიერი ილიასეული ანალიზი, როგორც თვითონვე წერს - „საქართველოს ისტორიის ფილოსოფია“:

ილია აქ ნათელმხილველურად იხედება წარსულ საუკუნეთა სიღრმეებში, აწყმოს გონებით გაიაზრებს და გაითავისებს მთელ ჩვენს განვლილ გზას, რომ მომავალი საუკუნის სწორი ხედვა და ჭეშმარიტი გზა მისცეს ქვეყანას. ეს მან მხატვრულადაც გადმოსცა პოემაში - „მეფე დიმიტრი თვდადებული“:

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,  
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.  
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,  
გზად და ხიდად გავედებით!“

„გზად და ხიდად გადებას“ გვთხოვს და ვინძლო, ამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოვჩნდეთ ჩვენც და ჩვენი მომავალი თაობებიც, რამეთუ საქართველო ჩვენი არ იწყება და არ მთავრდება: მას წინ საუკუნეები ელის, საუკუნეები, რომელთაც ილიამ პოემაში - „აჩრდილი“, საბოლოო მიზნად ახალი „ძლევაი საკვირველი“ დაუსახა...

დავაკვირდეთ პოემის ამ სიმბოლიკასაც: როცა ავტორი XI-XII საუკუნეების ძველი საქართველოს „დიდების დღეებიდან“ მომდევნო საუკუნეების „ძნელბედობის შავ დღეებზე“ გადმოდის, უცებ მკითხველს XXI თავის შემდეგ, პოემის XXII და XXIII თავები ხვდება მრავალი წერტილებით - იქ ერთ სიტყვასაც ვერ ნახავთ. რაშია საქმე, ამით რას გვეუბნება ავტორი, რაზე მიგვანიშნებს, რას გვთხოვს და გვავალებს?...

იმას, რასაც ღვთისმშობლისადმი მიმართვასა და თხოვნა-ვედრებაშია პოემის ბოლოს გადმოცემული:

„მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდომა და სიყვარული  
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...  
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,  
რათა წარღვნისა მოლოდინი წარჰხოცო ხალხსა!...“

ხოლო, ის ჩვენთვის დატოვებული მრავალწერტილიანი ორი თავით იმასაც გვავალებს, რომ შევავსოთ ისინი იმით, რასაც იგი ამ სტროფით



თხოულობს... ეს კი მხოლოდ მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიით არის შესაძლებელი, ჩვენი მომავლის ეროვნულ-სახელწმიფოებრივი იდეოლოგიით, იდეოლოგიით, რომელიც ჰაერივით გვჭირდება ამ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწალეულის თაობებს...

მთელი ცხოვრება, რაცკი ცნობიერება მიეცა, თავის „კარგ ქვეყანას“ დატრფოდა. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას იქ, ჩრდილოეთში „სამი რომის“ იმპერიული თეორიის საპირწონედ დააფუძნა „საერთო ნიადაგის“ თეორია, რამეთუ მტკიცედ სწამდა:

დაინგრა-დაემცრო-დაიშალა „პირველი რომი“, მას მიჰყვა „მეორე რომიც“, და ადრე, თუ გვიან, ბოლოს იგივე ბედი ელის „მესამე რომსაც“ - რუსეთის იმპერიასაც, რადგანაც იმპერიები იმიტომ იქმნებიან, რომ დაინგრან...

ივერია კი, იყო არის და იქნება მარად. ამ დიდი რწმენით დააფუძნა „ივერია“ და ამ რწმენით ამთავრებს „აჩრდილსაც“:

„მსწრაფლ გადმოენთო ცისა ლაჟვარდსა,  
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა  
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა  
მახარობელად ტკბილ იმედისა“....

მთავარია, შევძლოთ ილიას მიერ ჩვენთვის დატოვებული იმ ორი თავის შევსება - „ძველი საქართველოს ოქროს ხანიდან“ ახალი საქართველოს ოქროს ხანის „აღმომშობა“: მან ხომ მის ნატვრასა და ოცნებაში გალია თავისი წუთისოფელი...

ჩვენც ამ აღმანახით გვინდა ილია მართალი დავუბრუნოთ თავის „კარგ ქვეყანას“, როგორც ეროვნული იდეოლოგი, მწერალი-პუბლიცისტი და როგორც უბრალოდ პიროვნება - „დიდბუნებოვანი კაცი“. ამ მხრივაც ხომ, სრულყოფილად არ ვიცნობთ მას - მის ტრაგიკულ ბავშვობას, თავისი დაბადების დღეც რომ შეაძულა, ანდა, თუნდაც ჯანმრთელობის პრობლემას ბავშვობიდან რომ დაჰყვა თიანჯარის სახით...

ერთი სიტყვით, გვინდა მკითხველს შევუქმნათ ობიექტური სურათი კაცისა, რომელმაც მოსეს მსგავსად, გვიჩვენა „აღთქმული ქვეყნისკენ“ მიმავალი ერთადერთი ჭეშმარიტი გზა...

სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, - ამას თხოულობდა ილია და ასეთია წინამდებარე აღმანახის განაზრახიც.

## რალა დროს ილიაა?!...

„ილიალოგთა კლუბის“ სხდომებზე ბევრჯერ მოგვისმენია: მსოფლიო სხვა გახდა, ვერ ხედავთ - გლობალიზმია, ბრძენი ხომ არ ხართ, რალა დროს ილია და მისი იდეოლოგიაა?!...

ბევრს შეიძლება ესეც ახსოვდეს - ჩვენი ინიციატივით 90-იან წლებში თსუ სააქტო დარბაზში იმართებოდა სისტემატიური დისკუსიები თემაზე: „ქართული სახელმწიფო და ეროვნული იდეოლოგია“, რომლის მასალები მერე თსუ ცალკე სამეცნიერო კრებულადაც გამოიცა („ქართული სახელმწიფო“, თსუ, 2003 წ.), და საოცრება ის იყო, რომ ამ დისკუსიაზე სერიოზულად ისმოდა კითხვები - ეს „ქართული სახელმწიფო და მისი იდეოლოგია რალაა? - სახელმწიფო სახელმწიფოა“...

რმისგან შეშინებული, დოს უბერავდაო, იმ 70-წლიანი საბჭოთა იდეოლოგიური მონობისაგან გამოსულთ, თვითონ სიტყვა „იდეოლოგია“ კი, მათში ალერგიას იწვევდა. ამიტომაც მისი სერიოზული განხილვა მიუღებლად მიაჩნდათ. ამ „იდეოლოგიური სიძულვილით“ ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც იგნორირებული აღმოჩნდა მაშინაც და მერეც...

ამ აკვიატებული კითხვის - რალა დროს ილიაა?, ავტორებს როცა ვეკითხებოდით, - კი, მაგრამ რატომ ამერიკელი არ ამბობს - რალა დროს ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ან ლინკოლნია, ანდა, ებრაელი - რალა დროს ჰერცელი, გირში ან, ბენ-გურიონია, უკმაყოფილონი გვმორდებოდნენ... და მართლაც, განა დღევანდელი აშშ XVII-XVIII საუკუნეების „მამა-პილიგრიმების“ მემკვიდრეობამ და „ამერიკანიზმის“ იდეოლოგიამ არ შვა, დღეს რომ დროშად ააფრიალა ტრამპმა, ანდა, ისრაელი - „სიონიზმის“ იდეოლოგიაა?!...

ამ დისკუსიების დროს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთმა სერიოზულად მოითხოვა თვით სიტყვა „იდეოლოგიის“ ამოღება ხმარებიდან... მოსმენაც კი არ უნდოდათ ჩვენი, - ვეუბნებოდით, რაებს ლაპარაკობთ - აბსურდია საკითხის დაყენებაც კი...

იდეისა და იდეოლოგიის გარეშე ქვეყნად ჯერ არცერთი ღირებული საქმე არ გაკეთებულა. გლობალიზმის ჟამს სწორედ რომ უფრო საჭირო და აუცილებელია ილიაც და მისი იდეოლოგიაც. გლობალიზმიც ციდან ხომ არ ჩამოვარდა - იგი სხვა არაფერია, თუ არა უკვე ილიას დროს დაწყებული მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების

თანამედროვე ეტაპი, მასაც თავისი იდეოლოგია ჰქონდა და აქვს.

ილიაც იმას გვირჩევდა და გვირჩევს დღესაც, რომ თუ გვინდა არ ჩავიკარგოთ მათში და მსოფლიოს „მკვდარი ერების“ რიცხვებს არ შევემატოთ, ჩვენს ეროვნულ ფესვებს და თვითმყოფადობას უნდა მოვუაროთ, ჩვენი ისტორიის „მაგარ ქვებს“. გლობალიზმს ამით უნდა ავუწყოთ ფეხი ახლაც და მომავალშიც...

ზემოდნახსენები თსუ სამეცნიერო კრებული სათანადო მიმართვით და პრაქტიკული წინადადებებით გადავუგზავნეთ ე.წ. „ნაციონალებს“, პირადად შევხვდით სააკაშვილსაც, მაგრამ მათაც მესამედასელებივით, გაგონებაც არ უნდოდათ ილიასი და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის. შესაბამისად, ილიას დაბადებიდან 170 წლისთავიც - 2007 წლის 7-8 ნოემბერი, მათეზური „ნაციონალური“ ხელწერით აღნიშნეს - საქართველოს უახლოესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძალადობით და სისხლიან-ცრემლიანი დრამით. ესეც თავისებური სიმბოლოა და ამიტომაც ვუწოდებთ მათ თვითმარქვია ნაციონალები, დემაგოგები და „ფსევდო-ნაციონალ პოლიტიკანები“...

## ილია და საქართველო: „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს“...

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი, მწუხრის ზეწარი გადაეფარა“, არტურ ლაისტი ალაზნის ველის ელეგიის ამ დასაწყისს და ამასთან, მის ბოლო სტროფს, „ურმულს“ რომ გადმოსცემს, ელეგიებს შორის მსოფლიო პოეზიის შედევრს უწოდებს:

„ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,  
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,  
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,  
უკუ ჰყრის კიდევ, ვით ღრუბელს ქარი.“

მთელ ამ ელეგიაში ადამიანისა და ბუნების ისეთი ორგანული მთლიანობაა გადმოცემული, იშვითად რომ შეგვხვდება, მაგრამ ამათგან ერთი აღქმა და გააზრებაცაა, მერე „აჩრდილშიც“ რომ გაიჟღერა: ილია თავის ბედს თავის სამშობლოსთან აიგივებს და აერთიანებს...

ერთიანობის ეს განცდა მას ყრმობიდან დაჰყვა, როცა „სამშობლო მთებს“ ემშვიდობებოდა და ამ განცდამ, თუ წინათგრძნობამ არ

ულალატა არც წიწამურამდე და არც წიწამურის შემდეგ:

დიახვაც, რომ მასაც და მის სამშობლოსაც, სწორედ რომ „კარგი რამ უნდა უკვირდეს“, თორემ - „ავი რა საკვირველია“: XX საუკუნე „მწიგნობრობის“ წინა საუკუნეების მსგავსად, სწორედ ამის დასტურია - ორივეს ამ საუკუნეში „მწუხრის ზეწარი გადაეფარა“ კარგახანს...

„ხალხის მტერი და რეაქციის ბურჯი“ - ასე მონათლეს საბჭოთა საქართველოს „პროლეტკულტუროსნებმა“ ისიც და მასთან ერთად ისინიც, ვინც მისდამი ოდნავ სიმპატიას გაამჟღავნებდა, თვით როგორც „მწერალიც“ კი უნდოდათ ამოეშანთათ საქართველოს და ქართველი ერის მეხსიერებიდან - ილიაზე წერა და ლაპარაკი ლამის კრიმინალად ითვლებოდა...

მაგრამ ვერავინ და ვერაფერი დაამორებს ერთამანეთს საქართველოს და მის „თანამდეგ უკვდავ სულს“ - სხეული ხომ სულის გარეშე მკვდარია. . .

## ილიას დრო მოდის:

„საერთო ნიადაგის“ თეორია მოქმედებაში...

1987 წელი. ილიას დაბადებიდან 150 წელი. საბჭოთა იმპერია სულს დაფავს, მაგრამ კვლავ უნდათ იდღესასწაულონ ილია, როგორც მხოლოდ „მწერალი“ და არა როგორც „ეროვნული იდეოლოგი“.

მაგრამ ისტორიის სვლას ვინ შეაჩერებს - ადრე თუ დისიდენტურად, ახლა თვით ოფიციალურ პრესაშიც კი დაბერა ახალმა სიომ. 1987 წლის „მნათობის“ ნომრებში გამოჩნდა ილიას მემკვიდრეობის ეს ახლებური ხედვა და გააზრება: ილიაში მთავარი ეროვნულია და არა სოციალური - ასეთი იყო ეს ახალი ხედვა....

მალე საბჭოთა იმპერიამ და კომუნისტურმა რეჟიმმაც თქვენი ჭირი წაიღო, ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ დრო მოვიდა, მაგრამ ძალიან ნელა, გაჭირვებით იკვლევს გზას. ის კი არა, 9 აპრილიდან დღემდე ისე გადის სამი ათეული წელი, რომ ერთობისა და ეროვნულობის მონატრება-ხილვა-ოცნება ისევე ვეღარ ვნახეთ, როგორც მაშინ. ვინ ახსნის ახლა ამას, თუ რატომ ხდება ეს პარადოქსი?!...

მთელმა თბილისმა იცოდა ილიას ზეწოდებები რედაქციაში, თუ რედაქციის გარეთ - „დინჯი ილია“, „ჯიუტი ილია“, „ევროპელი კაცი“... და აი, მართლაც, ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ დიდი იდეა და თეორია დინჯად და ჯიუტად შემოდის ევროპულ გზაზე შემდგარ

საქართველოში. ბედნიერი გზა მისცეს ღმერთმა შემდგომშიც, მაგრამ მას ჩვენგანაც ხელის შეშველება უნდა ქვეყნისა და ხალხის კუთვნილება რომ გახდეს...

ილიას დიდი განაზრახი ისე უნდა აღსრულდეს, როგორც დიდგორთან დავით მეფის „განაზრახი“ აღსრულდა. ეს მოგვცემს ახალ დიდ „ძლევაი საქკვირველს“ ქართველებს....

## „ხოდაბუნები“ - დავით აღმაშენებლის გაცოცხლების სიმბოლიკა:

„ახალი საქართველო ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ“

1895 წელი, თეოდორ ჰერცელმა გამოსცა წიგნი - „ებრაული სახელმწიფო“ - პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს აღორძინების იდეოლოგია და მისი მატერიალური საფუძველი - „კიბუცები“.

1889 წელი, ილია ჭავჭავაძემ დაასრულა 10 წლით ადრე „ივერიაში“ დაწყებული სტატიათა ციკლი - „ცხოვრება და კანონი“, როგორც მომავალი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგია... შემდგომ წლებში კი, მან სრულყო და განავითარა იგი „საერთი ნიადაგის“ თეორიის სახით...

ამ თეორიის მატერიალური ბაზის ანალიზი ილიამ მოგვცა სტატიაში - „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. აქ მან დასვა „ჩვენი ქვეყნის შიდა-ცხოვრების ფარდის ახდის“ დიდი ეროვნული ამოცანა, ანუ, იმის ახსნა, თუ - „როგორ, რა ქონებით უძღვებოდა ჩვენი ხალხი და ქვეყანა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა“ და პასუხად ასეთი მოსაზრება წამოაყენა:

„ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ წყობასა და აგებულებაში უნდა მოიძებნოს“... ამოცანაც ისაა, რომ შევძლოთ ამ „წყობისა და აგებულების“ გათავისება-გათანამედროვეობა ჩვენი ეპოქის შესატყვისის ფორმით... ჩვენ ამ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას მერეც უფრო დეტალურად შევცხებით, აქ კი, გვინდა მოკლედ შევჩერდეთ „ხოდაბუნებზე“:

სამწუხაროდ, თვით სიტყვა - „ხოდაბუნები“ კი, წინა საუკუნეების „ძნელბედობამ“ ჩვენს მეხსიერებაში წაშალა. არადა, სწორედ მათზე იყო დაფუძნებული „ოქროვანი ხანის საქართველოს“ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე. „ხოდაბუნის“ პირველ ხსენებას შიო მღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის

„ანდერძში“ ვხვდებით:

„... ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის განუწყესებია, მე ხოდაბუნნი შემიწირავს მუხრანსა წმინდისა სიმონ საკვირველმოქმედისა, რომელმან სამი დღისა მკვდარი აღმადგინა და ვითარცა თვით არსენი განაწყესებს, ეგრე იქმნას“.

ცოტაოდენი განმარტება: ამ და „ქართლის ცხოვრების“ სხვა ტექსტებიდან ნათლად ჩანს, რომ - „ბერი არსენ განმანათლებელი“, დავით მეფის სულიერი მამა, მისი განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობდა ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. „ხოდაბუნის“ ინსტიტუტიც ამას უკავშირდება. . . რაც შეეხება დავით აღმაშენებელის ანდერძის ამ ფრაზას - „სამი დღისა მკვდარი აღმადგინა“, ესეც ისტორიული ფაქტია:

ნადირობისას მეფის ცხენი დამფრთხალა, ხეს შეჯახებია და შედეგად მხედარი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ჩავარდნილა. საბედნეროდ, „წმინდისა სიმონ საკვირველმოქმედის“ ბერების მკურნალობით მეფე გადარჩენილა. „მუხრანის ხოდაბუნის განწყესებაც“ მეფის მაღლიერების გამოხატულებაა...

ისე რომ, „ხოდაბუნს“ დღეს ჩვენთვის ორმაგი დატვირთვა აქვს: ისტორიული, დაკავშირებული დავით აღმაშენებელთან, და მეორეც, ეროვნული ეკონომიკის ფორმირებასთან. ამიტომ, „ხოდაბუნის“ აღდგენას დავით აღმაშენებელისა და მისი ეპოქის გაცოცხლების თავისებურ სიმბოლოდ მივიჩნევთ.

ამ ეპოქას რომ ახსიათებს, ივ. ჯავახიშვილს ბევრი საინტერესო მონაცემები მოჰყავს: დღეს ვინ დაიჯერებს, რომ ეროვნული შემოსავლებით მაშინდელი საქართველო საფრანგეთსაც კი უსწრებდა! ამიტომაც უწოდეს მას „ოქროს ხანა“, რომლის აღდგენა ილიას ყველაზე სანუკვარი ოცნებაა. „ძველიდგან ახალი საქართველოს აღმოშობა“ მისი მემკვიდრეობის არსია. მემკვიდრეობითობის უნივერსალური კანონიც ამას გვავალებს - „ხოდაბუნის“, როგორც „ქართული კიბუცის“ აღდგენა-აღორძინებას...

მასაც და მის დასაბუთებასაც აღმანახის შემდგომ გვერდებზე ნახავთ...

## ილია და „ივერია“ :

„ხუთშაბათობა“ - დიდი სამომავლო ჩანაფიქრი....

ყველამ იცოდა არა მარტო რედაქციაში, არამედ მთელ თბილისსა და საქართველოშიც: ინტელექტუალური ცენტრი ქართული აზრისაც და ქართული საქმისაც „ივერია“ იყო. გონებრივი ცხოვრება ქართველი ერისა აქ დუღდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე...

ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ილიამ „ივერიის“ რედაქციაში „ხუთშაბათობის“ ტრადიცია დაამკვიდრა: ყოველ ხუთშაბათ დღეს იქ იკრიბებოდნენ ისინი, ვისაც საქართველოს ბედზე გული შესტკიოდათ და ასეთ თავისუფალ გარემოში მსჯელობდნენ ქვეყნის ავ-კარგზე. ეს მაშინდელი ეპოქის თავისებური მიკროპარლამენტი იყო...

არაერთი მოგონებაა „ხუთშაბათობის“ ირგვლივ თვითონ მისი უშაულო მონაწილეების. მათგან ყველაზე მეტად ექვთიმე თაყაიშვილის, ილია ზურაბიშვილისა და გრიგოლ ყიფშიძის მოგონებები გამოირჩევიან. აქ ყველაფერი იყო განსჯისა და კამათის საგანი - ლიტერატურით დაწყებული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი პრობლემით დამთავრებული...

ილია ზურაბიშვილი მოგონებებში ერთ საინტერესო დეტალს გადმოგვცემს - როცა კი შემთხვევა მიეცემოდა რეგიონებში ცდილობდა ხმის მიწვდენას, დასავლეთ საქართველო იქნებოდა, თუ აღმოსავლეთი. როცა ხმა ჩამოვიდა - კახეთში მოუსავლიანობა იყო და შიმშილობის საფრთხეაო, მაშინვე გაემგზავრა და იქაურებთან დაითათბირა, როგორ გამკლავებოდნენ ამ საფრთხეს.... რაც რკინიგზა გავიდა, ხშირად იყო დასავლეთში, განსაკუთრებით, ახლად შემოერთებულ აჭარაში - ცდილობდა სკოლებით მოეფინა იქაურობა...

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, როგორ შეარიგა „ხუთშაბათობაზე“ ის და თედო ჟორდანია მათ შორის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებზე“ ატეხილი დავის გამო.... ილია სულ იმას ცდილობდა, ახალგაზრდობა რაც შეიძლება მეტი ჩაება ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების განხილვაში, გამოეტაცა ისინი მესამედასელ მარქსისტთა ცრუ დაპირებებისა და მათი „სიბრძნე-სიცრუისაგან“...

„ივერიის“ ყველაზე სტაჟიანი თანამშრომელი, გაზეთში ილიას მარჯვენა ხელი, გრიგოლ ყიფშიძე იყო. „გიგა ჩემი გაჭირვების ტალკვესია“ - ხშირად იტყოდა ილია, და მასაც ბევრი საგულისხმო

მოგონებები აქვს „ხუთშაბათობაზე“, მათ შორის, ილიას ცნობილი ფრაზა ვაჟა-ფშაველაზე რომ თქვა - „ახლა ჩვენ, ძველებმა კალამი უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთ“...

ვფიქრობთ, რომ „ხუთშაბათობის“ ტრადიციის აღდგენა „ივერიის“ ძველ რედაქცია-მუხეუმში ილიას თავისებური და სიმბოლური გაცოცხლება იქნება დღეს, გაცოცხლება, სიტყვითაც და საქმითაც...

## ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე: „საერთო ნიადაგის“ თეორია მოქმედებაში

ილია მარტო ცარიელი იდეებით და თეორიით არ კმაყოფილდებოდა, რამეთუ მისთვის - „იდეა განუხორციელებელი საქმეა, საქმე - კი განხორციელებული იდეა“. ესეც მისი ლაკონური თეზაა. - „ცოდნა, მეცნიერება პრაქტიკის გარეშე, უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“.

ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველთვის ცდილობდა „საერთო ნიადაგის“ იდეა მოქმედებაში მოეყვანა. იოსებ იმედაშვილის მოგონებებში მეტად საინტერესო ფაქტებია მოყვანილი მისი და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობებზე, საიდანაც შეიძლება აღვადგინოთ ის საოცარი გარდამქმნელი ძალა, რაც შეიძლება მოჰყვეს პრაქტიკაში იდეურ ნათესაობას და „საერთო ნიადაგის“ თეორიას.

1880 წელს მათ შორის ისე დაიძაბა ურთიერთობა, რომ პირველ მარტს დუელიც კი შედგა. საბედნიეროდ, დუელი შერიგებით დამთავრდა. როგორც გრიგოლ ყიფშიძე იხსენებს ამ შერიგება - ბედნიერ დასასრულში დიდი წვლილი შეიტანეს გაქართველებულმა პოლონელებმა ზდანოვიჩმა და სობორსკიმ, წამქეზებლებს რომ ასე მიმართეს: მართლაც რომ გიჟ-ვრაცუები ხართ ქართველები - ორი კაცი გყავთ და მათაც ერთმანეთს ახოცინებთ...

მას შემდეგ მათ შორის თანდათანობით ნორმალური, მერე კი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რომელშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა გაბრიელ ეპისკოპოსმა. იგი ნიკოლაძესთან ერთად ხშირად დადიოდა ილიას ოჯახში და ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი რუსუდანი ასეთ იუმორსაც იხსენებს - ილია ოლღას რომ შესძახებდა, აბა, სუფრა გაამზადე, კახური ჩურჩხელაც არ დაგავიწყდესო, მამას სპეციალურად მომზადებული ჰქონდა კარგი იმერული ჩურჩხელები და ერთამნეთს აჯიბრებდნენ გაბრიელ ეპისკოპოსის შეფასებით, თუ



რომელი იყო უკეთესი...

მთელი თბილისი ლაპარაკობდა მათი ურთიერთობის ასეთ საოცარ ფერისცვალებაზე - გუშინ ერთმანეთს კლავდნენ, „ილიკო ჯორს“ და „ნიკო ჯორს“ უწოდებდნენ ერთმანეთს და დღეს ერთმანეთს სულში ისვამენო... ორივე ძალიან უფრთხილდებოდნენ ამას, და რაც არ უნდა ცუდი ხმები მიეტანათ ჭორაობის მოყვარულებს, იმ ძველ შეცდომას აღარ უშვებდნენ. ეს იმის ნიმუშიცაა, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა გაბრიელ ეპისკოპოსის მართლაც რომ საოცარ „მშვიდობისმყოფლობას“...

მათი იდეური დაახლოება და მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მესამე დასმა გააბატონა მარქსიზმი. ორივეს ეს იდეოლოგია მიუღებლად მიაჩნდათ საქართველოსთვის. როგორც გრიგოლ რობაქიძე იხსენებს - „მარქსელები კვლავ აგრძელებდნენ ილიას საერთო ნიადაგის ამოფესვას“...

მოგონებათა კრებულში - „ილია: მოგონებები გარდასულ დღეთა“, იოსებ იმედაშვილი იხსენებს ერთ მეტად სიმბოლურ ფაქტს:

„1925 თუ 1926 წლის ზაფხულის თვეში, აგვისტოში წაღვერისკენ მიმავალი მატარებლიდან დაბის სადგურზე ჩამოვხტი... თბილისისკენ მიმავალი მატარებლიდან მომესმა:

- ბატონო იოსებ, ბატონო იოსებ....

- მივიხედე და ღია ვაგონის მოაჯირზე გადმომდგარი ნიკო ნიკოლაძე შევნიშნე. მივესალმე...

- პავლე ინგოროყვას ვედარ შევხვდი, გთხოვთ, თუ არ შეწყუბდებით, ჩემს მაგიერ გადასცეთ, ნუღარ დააყოვნებს და ჩქარა ჩამოვიდეს თბილისს, თორემ ილიას ნაწერების ტომის გამოცემა დაბრკოლდება.

- დიდი სიამოვნებით, მაგრამ ამ სიცხე-პაპანაქებაში თბილისში ჩასვლა როგორ შეიძლება, ქალაქს ცეცხლი ეკიდება?!...

- როცა საქმე თხოულობს სიცხე-პაპანაქება რას მიქვიან, ხალხს ილიას ნაწერები ეჭირვება, ილია უნდა აღსდგეს...“

მატარებელი დაიძრა, მაგრამ ნიკომ მაინც მომამხა: „რაც გთხოვთ, არ დაივიწყოთ - პავლე ინგოროყვა ჩქარა ჩამოვიდეს თბილისს“.

... ღრმად ჩამრჩა გულში ეს სიტყვები და კიდევ უფრო მეტი სიყვარული და მეტი პატივისცემა ვიგრძენ ამ ორი ბუმბერაზი ადამიანისადმი - როგორც ილიას, ისე ნიკოსადმი“...

ეს სწორედ მაგალითია, თუ რა შეუძლია იდეურ და სულიერ ნათესაობას, „საერთო ნიადაგზე“ დგომას და ერისა და ქვეყნის მომავლისადმი მამულიშვილურ დამოკიდებულებას. ნიკო ნიკოლაძე

ხომ, ილიასთან ერთად „საერთო ნიადაგის“ და ეროვნული ეკონომიკის ფუძემდებელია...

## ილია და ჰეგელი - ქართველი ერი და „აბსოლუტური სული“...

ილიას მემკვიდრეობის უდიდესი წილი ერზე, მის სულიერებასა და ფსიქო-გენეტიკურ ფესვებზე მოდის. ნათლად აისახა ეს სტატიათა ციკლში - „აი, ისტორია“...

ილიას ეპოქაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჰეგელის ფილოსოფია, „დედამიწაზე ადამიანის ისტორიული მისია და დანიშნულება - განახორციელოს აბსოლუტური სულის თვითშემეცნება“. ამ თვითშემეცნების პროცესში ჰეგელი წარმმართველ ძალად კავკასიურ რასას, კერძოდ კი, ქართველ ერს აკისრებდა...

„მაინც სხვა არის ქართული ჯიში“ - გრიგოლ რობაქიძის ეს თეზა-დებულებაც გარკვეულად ეხმიანება ამას. მის მხატვრულ შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს ეს, ისე როგორც ილიას ფორმულაც - „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. რაც კი „ივერია“ ილიას რედაქტორობით გამოდიოდა (1877-1900), მის გვერდებზე უამრავ მასალას ვნახავთ „ათასნაირი გვირისტით ნაქარგ“ ჩვენს ეროვნულ ხასიათზე.

„ჩვენი, ქართველების ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის: კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად“...

ეს „ცნობა და გამოხატვა“ ილიას და ჩვენი სხვა დიდი მოღვაწე-მოაზროვნეების გარდა, „ქართლის ცხოვრებამ“ სხვა არაერთი უცხოელი დამკვირვებლებითაც შემოგვინახა. მონღოლები ხომ, გაცვებით წერდნენ ყაენს - რამდენი ხალხი არ დავიპყართ და ასეთი ხალხი, როგორებიც ქართველებია, არ შეგვხვედრიაო. . . ანტიკურ ეპოქაშიც „გეორგიანებზე“ ათასი ამნაირი მასალაა, რომაელები ყველა ხალხს „ბარბარისებს“ უწოდებდნენ, ქართველებს კი - „მეგობრებს“. ამიტომაც დაუდგეს ფარსმან ქველს ცხენიანი ძეგლი რომში...

ილიას შემდეგ ამ თემას დიდი ღვაწლი დასდეს „ფედერალისტებმა“, განსაკუთრებით კი - მიხეილ წერეთელმა. მისი „ერი და კაცობრიობა“ ბევრს ლაპარაკობს ამაზე. ის არა მარტო მიუხეხნის უნივერსიტეტსა და

გერმანიაში, არამედ, მთელ ევროპასა და მსოფლიოშიც აღიარებული ხეთები-პროტოხეთებისა და ურარტოლოგია-ასიროლოგიის დიდი სპეციალისტი იყო...

დღეს მეცნიერების ეს ახალი დარგი - „იბერია“, პეტრე იბერზე ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზაც უთუოდ, ამის გაგრძელება და გამოხმაურებაა, მასზე შემდეგშიც შევჩერდებით...

## – ჩემი ღმერთი ჩემი სინდის-ნამუსია...

უკვირდა ყველას – რა ბრალდებებს არ უყენებდნენ და პასუხს არავის სცემდა. წესად ჰქონდა – ცილისწამებებს არ პასუხობდა. ბოლოს „ივერიელებმა“ აიძულეს ეპასუხა ფილიპე მახარაძისთვის, საგურამოელთა სისხლისმწოვლად და მკვლელად რომ გამოჰყავდა: რედაქციიდან შემოუთვალეს – თუარ უპასუხებ, ჩვენც გადმოვბეჭდავთ მახარაძის წერილს და თან მივაწერთ, სიმართლეაო... ასე გაჩნდა ილიას ბოლო პოლემიკური შედეგრი – „ნუთუ?!“...

როცა ვანო მაჩაბლის უკვალოდ დაკარგვა-გაუჩინარებას აბრალდებდნენ, არც მაშინ იკადრა ამ ცილისწამებაზე პასუხი, რამეთუ სიყრმიდანვე სწამდა და გზის სანათად ჰქონდა: „ჩემი ღმერთი ჩემი სინდის-ნამუსია“... პროზაშიც, პოეზიაშიც, პუბლიცისტიკასა, თუ ზეპირ გამოსვლებში ეს იყო მისი უპირველესი მრწამსი. ლექსში – „სანთელი“ ეს იდეა გაჟღერდა, ისე როგორც ამ თემაზე მის ყველა ლექსშიც – კაცს სანთელი გულში უნდა ენთოს...

ილიასთვის მთავარი გარეგნული რეგალიები კი არაა სხვათა და სხვათა დასანახავად, არამედ კაცის, პიროვნების შინაგანი მრწამსი, ბუნება, ზნეობა და არსი. ორივე ლექსში ერთი სათაურით – „ლოცვა“, ეს იდეა არის გაჟღერებული – მან ხომ, თვით თავის მტრებს და მკვლელებსაც კი შეუწოდო წინასწარ და ამასვე სთხოვს ღმერთს, რამეთუ – „არ იციან ღმერთო, რას იქმან!“...

– სანთელი დიახაც რომ, გულში უნდა გენთოს უპირველესად, პირჯვარიც გულში გადაიწერე, ლოცვაც თავსა და გულში უნდა გქონდეს ჩაბეჭდილი დღედაღამ. „არა კაც ჰკლა“ – მარტო პირდაპირი გაგებით კი არ გვეუბნება და გვმოდღვრავს ქრისტე, არამედ თავსა და გულში ეს არც უნდა გაივლო არასოდეს. აი, ნამდვილი ქრისტიანი მაშინ იქნები, უმაღლესი ზნეობისა და მორალის მატარებელი...

## ილია და „ვეფხისტყაოსანი“ „ოქროს ხანის საქართველოს“ ნაკვალევზე...

„ძნელბედობა“ ხალხსა და ქვეყანასთან ერთად, რუსთაველმა და მისმა პოემამაც განიცადა: გენიოს პოეტს ხომ სდევნიდნენ და „მწვალებლადაც“ გამოაცხადეს, ხოლო პოემა ათასწიერად დამახინჯდა გადამწერლებისაგან. მაგრამ მადლობა ღმერთს, ის მაინც ჩვენამდე მოვიდა ჩვენდა საამაყოდ, ასე ემოციურად რომ გამოხატა სოლომონ დოდაშვილმა:

„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მალალსა ხარისხსა ზედა, საკმაო არს განათლებულსა სჯასა წარვუდგინოთ ლექსნი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი“.“

ილიამ პოემის დამახინჯებების განწმენდისათვის შექმნა სპეციალური კომისია, რის შედეგადაც გამოიცა მისი შესწორებული ტექსტი. მას მიაჩნდა, რომ სხვადასხვა მასალებით შესაძლებელია დადგინდეს პოემის კონკრეტული თარიღი თუ არა, კონკრეტული ისტორიული პერიოდი მაინც. იგი წერს:

„ჩვენ, ქართველებს სამართლიანად მოგვაქვს თავი, რომ ეს დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენი ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან ჩვენს ენაზედ არის დაწერილი“.

სხვაგან ილია აკონკრეტებს ამ „დიდებულობის დროს“ და მას XII საუკუნის შუაწლებს უკავშირებს იმ გააზრებით, რომ პოემა, რა თქმა უნდა, წლების და ალბათ, ათეული წლების მანძილზე იწერებოდა და თანდათანობით სრულყოფილ სახეს იღებდა. თვითონ პოემის შინაარსიც საამისოდ ბევრ საგულისხმო მასალას გვამღვეს:

ასე მაგალითად, ნადირობის სცენები და ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა „ქვაბულში“, ისე, როგორც მდინარისა და ხეობის „შამხნართა“ აღწერა აშკარად მიგვანიშნებს მტკვარსა და ვარძიაზე. სხვა ბევრ მინიშნებებსაც ვხვდებით ლინგვისტურსაც და ისტორიულსაც:

ეს პირველ რიგში, პოემის ლექსიკაა. აქ დაკვირვებული მკითხველი ბევრ საერთოს ნახავს „რუის-ურბნისის ძეგლისწერასა“ და საერთოდ, „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკასთან. აშკარა მსგავსება და მინიშნებებია დავით აღმაშენებლის „ძლევაი საკვირველთან“, თბილისის განთავისუფლებასა და „ქაჯეთის ციხის“ აღების სცენებთან. ბევრ საერთოს ვნახავთ დავით აღმაშენებლის „გალობაი სინანულისანის“ ლექსიკასთანაც...

ხოლო პოემის ბოლოს მოსე ხონელის, შავთელისა და სარგის თმოგველის მოხსენიება გარკვეულად მიუთითებს ილიას იმ „დიდებულობის დროზე“, როცა იწერებოდა პოემა: უდავო ფაქტია - ეს „საუკუნოვანი ოქროს ხანის“ აისია საქართველოსთვის... ყველაფერი ეს და კიდევ ბევრ სხვა მასალასაც თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც შევთავაზოთ:

სულ მალე შესრულდება 900 წელი დიდგორის ბრძოლისა და არაბთა 400 წლიანი ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლებიდან და ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ პოემის იუბილესაც დავუკავშირებთ ჩვენი ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს. ამ შემთხვევაშიც „ვეფხისტყაოსნის“ ილიასეული ანალიზი სიმართლის შემცველია და მისი გათვალისწინება კიდევ ერთხელ გაგვახსენებს ყველას „დიდებულ პოემასაც და ჩვენი ერის დიდებულობის დროსაც“...

### ილია და თბილისი: „შვილმა უნდა იცოდეს“...

ჩვენი ძველი და მდიდარი მემკვიდრეობისკენ რომ ცდილობდა რამენაირად მიეხედებინა მაშინდელი თაობები, ილიამ ეს ხერხიც იხმარა, პრიმიტიული და ყველასათვის ადვილად გასაგები: „შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს თავისი ცხოვრების უღელის წევა“...

მაგრამ არადა და არა - არც ამან გაჭრა, ვერა და ვერ მიახედა „მარქსელები“ ეროვნულობისა და ეროვნული მემკვიდრეობისაკენ. მტკიცედ სწამდათ, რომ მათი „მამა“ მარქსია და სხვა არავინ ქვეყანაზე, მოდას აყოლილ ქართველობასაც ბევრს აჯერებდნენ ამაში...

არადა, ილიასთვის „მამა“ ხომ სხვაა, იგი დავით აღმაშენებელია და ზევითაც ვნახეთ, რომ სწორედ დავით აღმაშენებელი შიო მღვიმის მონასტრისადმი ანდერძში ახსენებს „მუხრანის ხოდაბუნს“...

„ქართლის ცხოვრება“ იმასაც გვაცნობს, რომ ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული დავით აღმაშენებელისა და გიორგი ბრწყინვალე - ერეკლემეფის ჩათვლით, თბილისის შემოგარენი დაბურული ტყეებით იყო გარემოცული. ეს თავისებური „სამონადირეო-სავარჯიშო“ არეალი იყო ახალგაზრდობისათვის, მეომართა მოსამზადებლად გარკვეული სამხედრო-საწვრთნელი ბაზა.

1795 წლის კრწანისის ტრაგედიამ თბილისის ეკოლოგიური

გარემო-პირობები ძირეულად შეცვალა, მტრის არმია აქ მთელი თვე დანავარდობდა - თბილისიც გადაწვა და აქაური ტყის ძვირფასი ჯიშები გაანადგურა. რუსის ჯარი რომ შემოვიდა დაგვიანებით ნოემბრის თვეში, ეს ყველაფერი გადამწვარი დახვდა. . .

საყოველთაოდ ცნობილია - ქალაქში ცხოვრება არ უყვარდა, ამიტომ ააშენა საგურამოში სახლი, რომლის ვალიც ბანკიდან ბოლომდე იხადა. იქაური კარ-მიდამო მისთვის საყვარელი სამუშაო და დასასვენებელი ადგილი იყო. არტურ ლაისტი იხსენებს ილიას სიტყვებს - აქ რომ მოვდივარ, ვცოცხლდებიო ...

მაგრამ თავისი საქმიანობის გამო ბანკსა და „ივერიის“ რედაქციაში, მისთვის მანც უმთავრესი საცხოვრისი თბილისი იყო და მის აწმყოსა და მომავალზეც ბევრი აქვს ნაფიქრი. აკი, წერს - თბილისი ორთავიანი იანუსივითაა: ერთი თავი მისი აზიაა და მეორე კი - ევროპა, ხოლო, თბილისი მათ შორის შემაერთებელი და შემაკავშირებელი ხიდია და ეს რაც შეიძლება კარგად უნდა გამოვიყენოთ...

ესეც ჰქონდა გააზრებული - საქართველოსი არ იყოს, თბილისიც „ხევების და მიკრო-კლიმატების ქვეყანა“: მისი მრავალრიცხოვანი ხევები, ფერდობები, და გორები მას განუმეორებელ იერ-სახეს აძლევს.

ხშირად გვავიწყდება რომ თბილისი მარტო მტკვრის ლოკალი არაა, მასზე ჩრდილო აღმოსავლეთიდან თავის გავლენას ახდენს იორიც, ლოჭინი-ლილო-ორხევით. თუნდაც დღევანდელი თბილისის ზღვა და სიონის წყალსაცავიც... თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლისა და ხოხობის ლეგენდაც ამის ასახვაა - ხოხობი ხომ დღესაც ივრისპირეთში ბუდობს... „ქართლის ცხოვრება“ სხვა ბევრ მასალას გვაძლევს თბილისის ფლორასა და ფაუნაზე. ამ მხრივაც უნდა მას დამუშავება და კვლევა-ძიება...

ილია განსაკუთრებით განიცდიდა „საკმლის ხისა“ და „წითელი ღვიის“ გადაშენებას. თავის მოურავს და დიმიტრი მაჩხანელს დაავალა, მათი სანერგე მეურნეობა შეექმნათ თბილისის ნერგებით მოსამარაგებლად. ილიას მიაჩნდა, რომ თბილისის ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო განადგურდება ეს უნიკალური ჯიშები, რამდენადაც ზამთარში მთელი თბილისი ამით თბებოდა.

სიმბოლური იქნება თუ აღდგენილი იქნება ეს უნიკალური ჯიშები, ისინი ხომ საუკუნეებს ძლებენ. ამისათვის მის გარშემო ლოკაციები ბევრია, მათ სათანადო შესწავლა და გამოკვლევა უნდა... ძველი ეკოლოგიური გარემოს აღდგენით თბილისს კიდევ უფრო მეტი ხიბლი და სილამაზე შეემატება.

ილიას სიტყვაც და საქმეც ამ შემთხვევაშიც, სიკეთის გარდა, სხვას არაფერს მოგვცემს. მთავარია, დროულად ვიფიქროთ მასზე. . .

## – დაგვიანება გვიყვარს ქართველებს...

ეროვნული ცხოვრების ჩვენეულ წესში ესეც მკვიდრად ზის – დაგვიანება გვიყვარს ქართველებს, დაგვიანება ნებისმიერ საქმეზე, თვით სუფრაზეც კი. ესეც ილიასეული „ათასგვარად ნაქარგი და თავ-ბოლო გაუგებარი ქართული ხასიათის კიდევ ერთი გვირისტია“. თვით ღმერთთანაც კი, დავაგვიანეთ, ქეიფისას მის სადღეგრძელოს რომ ვსვამდით...

– სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ეს ალბათ, ამ ფოლკლორულმა ტრადიციამაც წარმოშვა, პოეტურადაც რომ შეიძლება ასე გახშიანდეს არაგვის ხეობაში უდარდელად მოქეიფე ბარათაშვილის ქართველის მსგავსად:

შემჩნეულნი ვართ დასაბამიდან, –  
დაგვიანება გვიყვარს ქართველებს,  
თვით ღმერთთანაც ხომ, დავაგვიანეთ,  
როს წილს აძლევდათ სხვადასხვა ერებს...  
ამიტომ ითქვა პოეტურადაც  
ეს უცნაური ხატოვანი თქმაც:  
„და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,  
იგი ამისთვის არა დაღონდეს!“

## დაგვიანება გვიყვარს ქართველებს...

და აკი, დღესაც საუკუნეებით დავაგვიანეთ ევროპასთან, მაგრამ აქაც, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... რას ვიზამთ, ასეთად გავვაჩინა და ასეთად დავვარჩინა ღმერთმა დასაბამიდან დღემდე და ჩვენც ჩვენს ბუნებას საით წაუვალთ... ეს მითუმეტეს, რომ დაგვიანებისთვის ღმერთმა კი არ დაგვსაჯა, პირიქით – რაკილა მისმა სადღეგრძელომ შეგვაყოვნა – დავაგვიანა, თავისთვის გადანახული სამოთხე მიწით დაგვასაჩუქრა...

აკი, ილიაც ამ „გამოუსწორებელ ქართულ ოპტიმიზმს“ თვითონაც ხშირად უსვავდა ხაზს, „ბედი – უბედობის“ თავისებურ ქართულ ახსნა-გააზრებას...

- ბუნებრივი ყველაფერი კარგია, ვიდრე ხელოვნური...

ერისა და ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება თვითონ წარმოშობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ფორმებს. ილიას „ცხოვრება და კანონი“ მთლიანად ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ამ ზოგად-სოციოლოგიურ გააზრებას ეფუძნება, იგი თვითმმართველობის პრინციპის ნამდვილი ჰიმნია: „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაში!“...

„ივერიის“ მეოთხე გვერდებზე ძალიან ხშირად შევხვდებით მოწოდებებს შეექმნათ სოფლად „ამხანაგობები“, რაც ილიას „ველური კაპიტალიზმის“ ალტერნატივად მიაჩნდა. „კაპიტალი კარგია, თუ ნამუსიანია, თუ უნამუსო და ხარბია ერის დამღუპველია... უფულო ერი ფულიანთა სამოვარია“...

„ფედერალისტებიც“ ჩარჩული, მევახშე კაპიტალიზმის დაუღალავი კრიტიკოსები არიან, ჩერქეზიშვილი, ჯორჯაძე, წერეთელი ამიტომაც ქადაგებდნენ „არასახელმწიფოებრივი ხოდაბუნური სოციალიზმის“ იდეებს, რასაც სტალინი დაცინვით „პაწია თემთა სოციალიზმს“ უწოდებს („ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“), 1906 წელს დაწყებული დისკუსია, რომელიც თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა. ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი, სახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი სოციალიზმი - ასეთი იყო ამ დისკუსიის არსი...

მესამედასელები რომ გადმოებრებინა თავისკენ, არჩილ ჯორჯაძემ თავისებური „ემშაკობა“ იხმარა: მან ილიას „საერთო ნიადაგის“ ცნება ახალი სახელდებით შეცვალა - „საერთო მოქმედების ნიადაგი“. ამან თითქოს გაჭრა კიდეც - მესამედასელ მარქისტთა ნაწილმა ფედერალისტებისკენ, მათი ეროვნული პოზიციებისკენ გადაინაცვლა, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. – „მამულიშვილობამ“ სოციალურს აშკარად გადასძალა. აი, როგორ ხატოვნად აღწერს ამ პროცესს გრიგოლ რობაქიძე:

ილია, „მარქსელები“ და მამულიშვილობა....

„სულ სხვაა „მამულიშვილობა“. იგი მეტია ვიდრე „პოლიტიკა“,



დავუმატებ: მეტია, ვიდრე „პარტია“. ნოე ჟრდანიას „მარქსელია“, მე - არამარქსელი. ვთვლი მას შესანიშნავ მამულიშვილად. მარქსელია აკაკი ჩხენკელი - ვიგულვებ თავდადებულ მამულშვილად. ევგენი გეგჰკორიც მარქსელია. ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნია. აქ ერთი დეტალი პირდაპირ „ისტორიული“: გამოადგებათ ოდესმე მომავალ ქართველ პოლიტიკოსებს“...

ესეც გასათვალისწინებელია დღეს ჩვენგან - გრიგოლ რობაქიძის ეს „მოგონებათა ბარდული“ დაწერილია 1948 წელს, მეორე მოსფლიო ომის შემდეგ. მოვუსმინოთ კვლავ მას და მისეულ ერთ დეტალს:

„1943 წელი. ბერლინი. მივდივართ ევგენი და მე, ევგენი დაბალი ხმით: „გრიგოლ! ჩვენი ერის ბედს ნუ გადავბამთ ერთი ერის ბედს!“ სიტყვა-სიტყვით. დააკვირდით ამ მის „ერთს“. აქ იგი მარტო რიცხვს - ერთს არ ნიშნავს! დააკვირდით, თუ როდის იყო თქმული. დაინახავთ: პოლიტიკურ გამჭრიახობასთან ერთად, მამულიშვილურ ზრუნვასაც“...

რისი თქმა უნდა ყველაფერი ამით რობაქიძეს, სრულიად აშკარაა: „მარქსელები“, რომელთაც იგი მამულიშვილებად მიიჩნევს, მაშინ საოცრად გარდაიქმნენ, ასე ვთქვათ, „ილიელებად“ გადაიქცნენ... ამას მიხაკო წერეთელიც აღნიშნავს 1957 წლის სტატიაში, რომელიც მან ილიას მკვლელობიდან 50 წლისთავზე დაბეჭდა ჟურნალში - „ბედი ქართლისა“ (N 24-25). „ღირებულებათა გადასინჯვა“ და ევოლუცია - ასე აფასებს იგი ამას, როცა ისიც ყოფილ „მარქსელებს“ ახასიათებს, განსაკუთრებით კი ნოე ჟრდანიას. . .

დიახ, ბატონებო, მე-20 საუკუნის სოციალურისა და ეროვნულის ჭიდილში, ბოლოს ეროვნულმა იმძლავრა და გაიმარჯვა! და 1918-1921 წლებიც როგორც გინდა „მარქსისტული გადაცდომები“ არ ახლდეს მას, მარად დარჩება ჩვენი ქვეყნისა და ერის ისტორიაში დიდ სადღესასწაულო თარიღად. ამიტომ ვდღესასწაულობდით მთელი 70 წელი ფარულად შინაურ წრეში... და ესეც ცხადია, მომავალშიც დარჩება ეს წლები ღირსსახსოვარ ისტორიულ თარიღად. . .

## ილია და „ფედერალისტები“: როგორ შევქმათ ეროვნული ეკონომიკა?!...

ილიას ყველაზე ერთგული მიმდევრები „ფედერალისტები“ იყვნენ. აი, როგორ აღწერს ამ მოვლენებს მისი თვითმხილველი გრიგოლ

რობაქიძე:

„გასული მე-19 საუკუნის მიწურულს ახალი თაობა სოციალიზმს ეტანებოდა, მარქსისტული ჯიშისას საკუთრივ, ხმა მომესმა: მიხაკო წერეთელიც მარქსელიაო. ზოგიერთნი იმასაც ამბობდნენ, მიხაკომ „კაპიტალი“ თარგმნაო... ერთხელ „ივერიის“ ნომერი ჩამივარდა ხელთ. მიხაკოს კრიტიკული წერილია - მარქსიზმს ეხებოდა, გაბათილდა ეს ყველაფერი.

1907 წელი. ზაფხული. ოდესაში ვარ გავლით. ეს „გავლა“ ჩემი გაგრძელდა ნამეტანი. მიზეზი - „რომანი“... თავზარდამცემი ამბავი - მოჰკლეს ილია... ვბრუნდები საქართველოში. მესმის ყოველი მხრიდან: მიხეილმა ილიას დასაფლავებაზე საქართველოს შინაგან-შემარხვეელი სიტყვა წარმოსთქვაო: „სიტყვა ცეცხლ ყოფილიყო“...

გრიგოლ რობაქიძე „შინაგან-შემარხვეელ“ სხვა ფაქტებსაც გვაწვდის:

„ჩემს წინ დევს ერთი ფოტოსურათი - ჟენევაში გაიმართა ქართველ ნაციონალისტთა და ანარქისტთა კონფერენცია... დგანან: სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩექეზიშვილი. სხედან: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი დეკანოზიშვილი. ექვსი ქართველი: თითოეული მათგანი დიდი კარდუს ხალასი ფშანი“.

ასე დაფუძნდა იქ, შორეულ შვეიცარიაში 1904 წელს „საქართველოს სოციალისტ-ფედერაციული პარტია“. მას მაშინაც და მერეც ჰყავდა სამი დიდი იდეოლოგი - ვარლამ ჩექეზიშვილი (1846-1925), არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) და მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965). სამივე ილიას თანამოაზროვნენი და მიმდევრები, მისი „საერთო ნიადგის“ თეორიის გამგრძელებლები. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მათი წარმოჩენა. კვლავ მივმართოთ რობაქიძეს:

„მაოცებს ვარლამის მოვლინება. მსოფლიო ისტორიაში იგი ერთადერთია როგორც ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი.... „ანგრევს“ წარმოსახვით სახელმწიფოებს, ამავე დროს თავქუდმოგლეჯილი დარბის სამინისტროდან სამინისტროში, არ ასვენებს გამოჩენილ პოლიტიკოსებს საფრანგეთში, თუ ინგლისში, იბრძვის „ტრაქტატით“ ხელში ქადაგად დავარდნილი.... საქართველოსთვის, რადგან საქართველოს ქვეპირებიდანაა სულდგმული, ამ ძირებში ჩაფესვილი...“

აქ ერთი გასაშტერებელი ამბავი: ბავშვობიდანვე სამშობლოს გარეთ მყოფს, გადავიწყებული ჰქონდა ქართული. იცოდა: რუსული, ინგლისური, ფრანგული, სიკვდილის ჟამს რუსულიც დავიწყებოდა, ინგლისურიც, ფრანგულიც. თურმე ქართულად იწყო ლულლული“.

ბევრს ანარქიზმი პრიმიტიულად ესმის ამერიკელი ანარქისტების ლოზუნგით – „დაიპყარი უოლ-სტრიტი!“ ანდა, დღეს პარიზში „ყვითელჟილეტიანები“ ქუჩა-ქუჩა რომ დარბიან და ანგრევენ ყველაფერს... ყველაზე ზოგად-სოციოლოგიური გაგებით ანარქიზმი ეს „სახელმწიფოს კვდომის“ თეორიაა - მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფოდან დეცენტრალიზებულ, შეუზღუდავ, ფართო ადგილობრივ „სინდიკატებზე“ დაფუძნებული „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმი“, გასწავლებით მარქსისტულ-ბოლშევიკური „სახელმწიფო სოციალიზმისაგან“...

### ილია და ვარლამ ჩერქეზიშვილი: „საერთო ნიადაგის“ თეორია მოქმედებაში

ილიას მსგავსად, ჩერქეზიშვილიც თეორიულთან ერთად, პრაქტიკულადაც ცდილობდა თავისი იდეების რეალიზებას. ამ მიმართებით „ივერიაში“ ევროპიდან გამოგზავნილი 80-მდე მისი სტატიაა გამოქვეყნებული...

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ „ფედერალისტთა პარტიის“ აღორძინება მოხდება. ეს უთუოდ წაადგება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. მის სათავეებთან ერის ინტელექტუალური ძალების ნაღები დგას. ივანე ჯავახიშვილსაც ხომ, ფედერალისტობის ბრალდებით სდევნიდნენ საბჭოეთის ჟამს. შალვა ნუცუბიძემაც თავისებური ანდერძით დაგვიტოვა ეს შთამომავლობას...

ცნობილია, ილიას და ჩერქეზიშვილის ურთიერთსიმპატიები. ისინი ოჯახურადაც ახლო ურთიერთობაში იყვნენ - ოღლა დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებს მის ფრანგ მეუღლე ფრიდას, მას უჭკვიანეს ქალად მიიჩნევს. ილიას „საერთო ნიადაგის“ და ვარლამ ჩერქეზიშვილის „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორიები მრავალი იდეებით ემთხვევიან ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით ეხება საერთო საკუთრებაზე დაფუძნებულ კორპორაციებს. თვითონ სიტყვა „სინდიკატი“ ფრანგულად საერთოს ნიშნავს და მან დიდი როლი ითამაშა განსაკუთრებით სკანდინავიურ ქვეყნებში ე.წ. „შვედური სოციალიზმის“ სახით, ისე, როგორც შემდგომში „კიბუცური სოციალიზმის“ შემთხვევაში...

„ილიალოგთა“ კლუბმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დააყენა საკითხი ილიასა და ჩერქეზიშვილის იდეათა საფუძველზე

მომხდარიყო „ხოდაბუნური დასახლებების“ აღორძინება ივრისპირეთის დაუსახლებელ და აუთვისებელ მიწებზე. შედგენილ იქნა გარკვეული გეგმა-მონახაზიც, დაფუძნდა პირველი ასეთი ახალი ხოდაბუნური დასახლებაც - „ილიაწმინდა“, მაგრამ მერე მოხდა სასწაული - „ილიაწმინდა“ უკვალოდ დაიკარგა: ე. წ. „ნაციონალებმა“ მიწებიც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შენობა-ნაგებობანი ერთიანად არაბებს მიჰყიდეს...

თუ რუკას დავხედავთ, სართიჭალიდან და დავით გარეჯიდან მოყოლებული შირაქის ჩათვლით მინგეჩაურამდე, თითქმის ნახევარი კახეთი დღეს დაუსახლებელი და აუთვისებელია: მდინარე იორის შუა და ქვედა წელზე ერთ ქართულ სოფელს ვეღარ ნახავთ: თემურ ლენგის შემოსევების შედეგად ეს „მონაპირე მხარე“ გაუკაცრიელდა მთლად და ეს მოშიშვლებული სივრცე დღეს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის უსაფრთხოების დიდ პრობლემას წარმოადგენს.

## ივრისპირეთი და ქვეყნის უსაფრთხოება „საერთო ნიადაგის“ თეორია მოქმედებაში

დღეს შეიძლება ილიას და ჩერქეზიშვილის ამ იდეის ხელახალი აღორძინება, თუ ამის პოლიტიკური ნება იქნება. ამისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. სახელმწიფომ თავისი აგრარული პოლიტიკით და ე. წ. „უპირატესი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი რეჟიმით“ უნდა უზრუნველყოს ახალი ხოდაბუნური ტიპის დასახლებების ფორმირებისა და მათი შემდგომი განვითარების სამართლებრივი, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზის შექმნა;

2. ამ საფუძველზე უნდა შემუშავებულ იქნას „ხოდაბუნური“ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების ერთიანი ეროვნული სისტემის სტრატეგია. ქვეყნის ცალკეულ მხარეთა თითოეულ სოფელში უნდა მოძებნილი იქნას ადგილობრივ მკვიდრთაგან შესაბამისი კადრები. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება რეგიონულ ეკონომიკათა და ამასთან, ეროვნული ეკონომიკის სწრაფი და ეფექტური განვითარებაც, რამეთუ ეროვნული ეკონომიკაც სხვა არაფერია, თუ არა რეგიონულ ეკონომიკათა ორგანული მთლიანობა და უერთიერთგანმაპირობებელი თავისებური მათემატიკური ჯამი;

3. ილიას „ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის“ იდეის საფუძვლზე ვარლამ ჩერქეზიშვილი ცდილობდა თურქეთიდან პირველი მსოფლიო ომის დროს დევნილი მაჰმადიანი მესხების ამ პროცესში ჩართვას, მაგრამ 1921 წლის ბოლშევიკურმა აგრესიამ ეს პროცესი ჩაშალა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი საერთოდ, ერთიანად გაასახლეს შუა აზიაში, ვითარცა „ანკარის იმპერიალიზმის აგენტები“... დღეს შეიქმნა წინაპირობები, რომ ევროკავშირის, მისი მატერიალური და ფინანსური დახმარებით განახლდეს „ახალ დასახლებათა“ ეს პროცესი და ამით აღსდგეს სამართლიანობა ამ ათასგზის დევნილი ხალხის მიმართ;

4. საამისოდ საჭიროა 2007 წელს ევროკავშირის მოთხოვნით მიღებულ კანონში ცვლილებების შეტანა. ამ კანონს სამართლიანად, „არ დაბრუნების“ კანონი ეწოდა მაშინ. იგი სააკაშვილის მითითებით მაშინდელ პარლამენტში ევროკავშირის მოთხოვნათა და ჰუმანიზმის პრინციპთა სრული იგნორირებით მომზადდა. „თურქი მესხების სახელი არ გამაგონოთ!“, ასეთი იყო პარლამენტისადმი მისი ბრძანება. დღეს აუცილებელია იგი დაბრუნების კანონით შეიცვალოს. რასაც თხოულობდა და თხოულობს დღესაც ევროკავშირი. ამით ერთი მხრივ გზა გაეხსნება გაეროს და ევროკავშირის დახმარებებს, და მეორე მხრივ, დასრულდება ბახჩო ქობულოვისა და კგბ-ს მიერ შეთითხნილი „ანკარის იმპერიალიზმის აგენტთა“ ძველი საბჭოური დემაგოგია;

5. 2001 წელს ევროკავშირის ეგიდით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: „1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრაციის, რეაბილიტაციის და ინტეგრაციის პრობლემები“, რაშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. შემუშავებულ იქნა გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციები, მათ შორის „ივრისპირეთში ხოდაბუნური ტიპის ახალი დასახლებების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც მოწონებული იქნა ევროკავშირის მიერ განსახორციელებლად, გათვალისწინებული იყო ევროკავშირისა და გაეროს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსების გამოყოფა ამ მიმართულებით, რაც ძირეულად შეცვლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას.

6. საქართველოს მიმართ ევროკავშირის 1999 წლის, აგრეთვე 2005, 2007, 2008, 2010 წლების მითითებების მიუხედავად, სამწუხაროდ, ამ კანონთან დაკავშირებული პრობლემები დღემდე პრობლემებად რჩება. რატომღაც მიჩნეულია, რომ მათი დაბრუნება თითქოსდა დიდი საფრთხის შემცველია, არადა, სწორედ რომ პირიქით - ამ უაღრესად შრომისმოყვარე, კანონმორჩილი და ორგანიზებული ხალხის

დაბრუნება დიდ სტიმულს მისცემს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მათ ხომ ერთი კრიმინალიც არა ჰყავთ.

7. დღეს 1944 წელს შუა აზიაში გასახლებული მაჰმადიანი მესხების დიასპორები 8 ქვეყანაშია მიმოხვეული. როდესაც მათზე ყუბანში კაზაკებმა გენოციდური თავდასხმები დაიწყეს, ხუთი ათასზე მეტი მესხი ლტოლვილი აშშ-მა შეიფარა, ბევრი ლტოლვილი მესხი ცხოვრობს ჩვენს ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში. ძნელი ხომ არაა, მოდით და შევისწავლოთ ეს დიასპორები - ნამდვილი სამეურნეო სასწაულები მოახდინეს ყველგან. აზერბაიჯანი ხომ ახლოა, მარილიან მიწებზე ზღვა მოსავალი მოჰყავთ...

აჭარისა არ იყოს, მთავარია სიყვარული და გული უჩვენო და ისინი სამაგიეროდ პატრიოტიზმის მაგალითებს გვიჩვენებენ. დღეს ჩვენთან მიუხედავად ამ „არ დაბრუნების“ კანონისა, მაინც რამდენიმე ათასი მესხი დამკვიდრდა და გაგებარდებათ, როგორ ქართულად ჟღერტულებენ მათი ბავშვები, სადაც მართლაც კეთილი გულით მიიღეს. თუნდაც, ამის მაგალითია დღეს იანეთისა და ნასაკირალის მესხთა დიასპორები. იქ და ბევრგან სხვაგანაც მაჰმადიანი მესხების დასახლებაში ქართული სული ტრიალებს. სწორედ ესაა ნამდვილი გარანტია ამ საუკუნოვანი პრობლემის გადასაჭრელად. მომავლისათვის კი ამის გარანტია იქნება ძველი მესხური სამეურნეო ტრადიციის - „ხოდაბუნების“ აღორძინება, რომელთა ძირითად პრინციპებად მიგვაჩნია:

ა. „ხოდაბუნები“ შერეული ტიპის სასოფლო-სამეურნეო კორპორაციებია, სადაც შეიძლება გაერთიანდნენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებასა და საარენდო სარგებლობაში მყოფი სახნავ-სათესი მიწები. „ხოდაბუნებში“ გაერთიანება შეეძლებათ როგორც იურიდიულ, ისე კერძო პირებს;

ბ. „ხოდაბუნების“ მიწების აგრო-სერვისის სამუშაოებს ასრულებს სახელმწიფოზე დაქვემდებარებული „მანქანა-ტრაქტორთა სადგურები“ და მათი ფილიალები, რომელთა ფუნქციონირების წესებს სახელმწიფო ადგენს სპეციალური ნორმატიული აქტით;

გ. თითოეული „ხოდაბუნის“ მმართველ ორგანოს ძველი ტრადიციით წარმოადგენს „კომლექსული საბჭო“ და მასზე არჩეული მამასახლისი. სახელმწიფო ამ პროცესში ვერ ჩაერევა. ის წარმართული უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დემოკრატიული პრინციპებით;

დ. „ხოდაბუნის“ მიერ წარმოებული პროდუქციის განმკარგავი თვითონ ხოდაბუნი და მისი წევრების საერთო კრებაა;

ე. როგორც ეს ილიას სტატიაშია - „საგლეხო ბანკი“, „ხოდაბუნმა“

ან ხოდაბუნების კორპორაციამ შეიძლება დააფუძნოს საკუთარი აგრარული ბანკი, რომლის ფუნქციონირება ხდება მისივე წესდებით და არსებული კანონმდებლობით;

ვ. ცალკეულ „ხოდაბუნებს“ შეუძლიათ გაერთიანება ნებაყოფილობითი პრინციპით და სახელმწიფოს ხელშეწყობით;

ზ. გაეროდან და ევროკავშირიდან ან ნებისმიერი სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციიდან დახმარება ნაწილდება ყველა „ხოდაბუნზე“ და განკარგავაც ხდება პროპორციულად. ამ მიზნით იქმნება „ხოდაბუნთა საბჭო“;

თ. სახელმწიფო ამ პროცესში ასრულებს რეგულატორის როლს „ხოდაბუნებისადმი“ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შექმნით;

ი. „ხოდაბუნს“, ან, ხოდაბუნთა კორპორაციას შეუძლია ცალკე დამოუკიდებელი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების წარმოება არსებული კანონმდებლობის ჩარჩოებში;

კ. სადაო საკითხების გადასაჭრელად „ხოდაბუნები“ ქმნიან ცალკე „საარბიტრაჟო საბჭოს“, რომლის გადაწყვეტილებებს განიხილავს და ამტკიცებს ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების შესაბამისი ორგანო;

ლ. „ხოდაბუნების საარბიტრაჟო საბჭოს“ უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მიმართოს საერთაშორისო სასამართლოსაც.

ჩვენ დღეს უნდა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ: ის, რაც ამ 130 წლის წინ მოხდა აჭარაში. ეს მაგალითი უნდა გახდეს ჩვენთვის დღეს...

## ილია და აჭარა:

- რა ამბავია, რა ამბავია, ადამიანი კიდევ ადამიანია?!

რომ შეიტყო ახლად შემოერთებული აჭარიდან თურქეთში გარბიანო, 1879 წლის თებერვლის „ივერიაში“, რომელიც მაშინ ყოველთვიურ ჟურნალად გამოდიოდა, ილია წერდა:

„ყოველი მხრიდან ისმის, რომ ჩვენი ძმები ძალიან ცუდ მდგომარებაში არიან და ნუგეშსაც არსაიდან მოელიან... დამშეულ ნადირსავით დამრწის მამა, რომ შიმშილისაგან მომაკვდავ ცოლ-შვილს რამე უშველოს... ათას-ათასნი ამ ყოფაში არიან და საშველი კი არაა.

ქართველობავ, ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს, ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებს, რომელნიც დღემდე შენთვის დაკარგულნი იყვნენ და

რომელნიც დღეს შენთან მოვიდნენ!... აყრას აპირებენო და ოსმალეთში გასახლებასო...

ეს რა ამბავია, რა ამბავია, ადამიანი კიდევ ადამიანია თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარ იშვნივს, ვეღარ ითვისებს!... ხალხი ათასწლოვანი ბინიდან იყრება და გარბის... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყეველი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან - ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლე...“

და აქ ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა აჭარაში ახლახან დამთავრებული ცხელი, სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ახალი, უსისხლო ომი გააჩაღეს, რომ ეს სამარცხვინო საქმე არ მომხდარიყო: ფულით თუ სურსათ-სანოვაგით დაეხმარნენ ომისგან გაუბედურებულ, ნუგემდაკარგულ და დამშეულ ხალხს. ასე გადაარჩინა ილიამ აჭარა...

ისტორიას უყვარს გამეორება, და აჭარის მაგალითი განმეორდა ჩვენს ეპოქაშიც სხვანაირი ფორმით, მაგრამ იგივე შინაარსით. ამას დღეს „თურქი-მესხის“ პრობლემა ჰქვია - კვბ-ს შემოგდებული სახელი, რომლითაც კვლავ ცდილობენ მამა-სისხლად გადაჰკიდონ ერთამენთს ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა, როგორც ამას ილიას დროს აჭარაში ცდილობდნენ. დავფიქრდეთ - განა შეიძლება კაცი ერთდროულად მესხი, ქართველიც იყოს და თურქიც?!...

მაჰმადიანი მესხები ერთადერთი ხალხია მეორე მსოფლიო ომში რეპრესირებული ხალხებიდან, რომელთა რეპატრაცია და რეაბილიტაცია დღემდე არ მომხდარა, რითაც ირღვევა გაეროს და ევროკავშირის რეზოლუციები. ომისგან რეპრესირებულ ებრაელებს ახლაც უხდიან ფულად კომპენსაციებს და მესხებმა რა დააშავეს?

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივრისპირეთის ამ „ხოდაბუნურ ახალ დასახლებებში“ შეიძლება ჩასახლდნენ ფერეიდანელებიც, რაზეც მაშინ თვითონაც გამოთქვამდნენ სურვილს და გარკვეული ინვესტიციების ჩადებასაც აპირებდნენ. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ მეაბრეშუმეობის ძველი ტრადიციული დარგის აღორძინება კახეთში, მაგრამ სამწუხაროდ, ესეც მაშინ განუხორციელებელი დარჩა.

ზუსტად 400 წელი გადის, რაც შაჰ-აბასმა კახეთიდან ფერეიდანში გაასახლა ისინი და ეს მაგალითიც სწორედ იმას გვიჩვენებს, თუ როგორ ორგანულად არიან ერთამენთთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები. ყველაფერ ამას კი, უბრალოდ სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება და რაც მთავარია, მომავლის ილიასეული სტრატეგიული ხედვა...

ეს ხედვა წაიყვანს ჩვენს ქვეყანას „დიდების დღეებისაკენ“...



## კიდევ ერთი ანდერძი: ილია და ერეკლე მეფე...

თუ ანდერძის ფორმას მივცემთ „საერთო ნიადაგის“ თეორიას, აქ ილიას მიერ ჩვენთვის დატოვებულ ათეულობით ანდერძს ვნახავთ. აკაკისა არ იყო, თვითეული მათგანი „მანათობელ ლამპრად გამოადგება“ ერს და ქვეყანას...

აი, ერთ-ერთი ანდერძი დაკავშირებული 1898 წლის „ივერიის“ იანვრისა და თებერვლის ილიას სტატიებთან საერთო სათაურით – „ასი წლისთავი მეფე ერეკლეს გარდაცვალებიდან“. ილია წერს:

„... ზედმიწევნით დაგვიხატა წუხილი ერმა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“... ერმა ამისთანებში უფრო მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ გულისაგან: „ვერ გაიგეთა ქართველნო, შაგეხნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“–ო, ასე ამოიკვნესა ერმა...

ეს „რკინის კარობა“ ოთხკედელშუა მოგონილი ეპითეტი კი არაა, აქ ლაპარაკობს თვითონ ერი, რომელიც ამისთანებში მეტისმეტად სიტყვა ძვირია და თავდაჭერილი“...

წერილის ბოლოს ილია ასეთ კონკრეტულ წინადადებასაც გვთავაზობს შემდგომ თაობებს:

„ზემოთ ვთქვით, რომ ხსენება დიდ-ბუნებოვანის მამულიშვილისა შთამომავლობის მოვალეობაა, ხოლო მარტო... ხსენება არ უნდა ვიკმაროთ. საქმითაც საუკუნოდ სახსენებელი უნდა გავიხადოთ ერეკლე მეფის სახელი სამადლო რამ საქმის აღსრულებითა. საქმე მადლისა და დიდება ერეკლე მეფის სახელისა როცა ერთად ივლიან, ანდერძს ემგვანება, იმ ანდერძსა, რომელიც ისაქმებს მუდამ ჟამთა გაუთავებლად“...

„ერეკლე მეფის ფონდი დიდი ეროვნული საქმეებისთვის“ – აი, რას გვთავაზობს და რისკენ მოგვიწოდებს ილია. ესეც ხომ, ისტორიული ფაქტია დღეს ჩვენთვის: ერეკლე მეფისთვის „გეორგევსკის ტრაქტატის“ ერთ-ერთი მოტივი ისიც იყო, რომ ამით ფიქრობდა ქართული სახელმწიფოს და ქართული კულტურის აკვნის – მესხეთის გადარჩენასაც და თუ ეს ფონდი დღეს პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეაშველებს, დიდი საშვილიშვილო საქმე იქნება მართლაც რომ „ჟამთა გაუთავებლად“...

იქნებდა, ამით ნაწილობრივ მაინც გამართლდეს ერეკლე მეფის

ის ძველი იმედები: რუსეთმა ხომ, აქაც გაგვიმტყუნა იმედი მასაც და ჩვენც; მთელი ეს 200 წელი და მეტი კიდეც უფრო „განაქართულა მესხეთი“. გავიხსენოთ ჯერ თუნდაც პასკევიჩი – „გრაფი ერევანსკი“ და მისგან დაწყებული ე.წ. „დიდი კორიდორის შეთქმულება“, მერე აქეთ, უკვე XX საუკუნეში ტროცკისა და ლენინის „ბრესტის ზავი“, როგორ სარფიანად გაყიდეს მრავალტანჯული მესხეთი და მესხები...

ესეც არ გვაკმარეს და მესხეთს ზედ მიაყოლეს ჩვენი ძველი ისტორიული ჯიქეთი და სოჭი, სულ ახლახან კი, აფხაზეთი – სამურზაყანო და სამაჩაბლო... და არავინ იცის, კიდეც რა აქვთ ჩაფიქრებული წარსატაცებლად მომავლისთვის...

და ძალაუნებურად გახსენდება კაცს ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ – რა ტრაგიზმით არის აღწერილი, თუ როგორ ლუკმა-ლუკმად წარსტაცეს და არარაობად აქციეს მტაცებლებმა მოხუცი მეზადურის დიდი იმედები...

გაისად, 2020 წელს სრულდება 300 წელი ერეკლე მეფის დაბადებიდან და უპრიანი იქნება ვიფიქროთ, ილიას ამ ანდერძზეც. ესეც მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება მის ხსოვნასაც და რაც მთავარია, ერისა და ქვეყნის მომავალს...

აქაც ილია „ლამპრად“ გამოგვადგება ქართველებს, რამეთუ მარად უნდა გვახსოვდეს ეს შეგონება და სიბრძნეც – ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს...

## „ახლად შენება საქართველოს“: „ქართლის ცხოვრება“ დღეს...

„ახლად შენება საქართველოს“ - ეს მეტად სიმბოლური და მრავლისმეტყველი თეზაა „ქართლის ცხოვრებიდან“: ყოველი ახალი ნგრევისა და „ქვეყნის მოოხრებისა“, დგებოდა ჟამი ამ „ახლად შენებისა“...

ორიოდე სიტყვა „ქართლის ცხოვრებაზე“ - ეს დიდი თემაა, მაგრამ ილიასთან დაკავშირებით აქ მაინც უნდა ვთქვათ:

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რატომღაც დამკვიდრდა აზრი, რომ „ილია უარყოფდა „ქართლის ცხოვრებას“, მოჰყავდათ ციტატები ილიასგან - „ქართლის ცხოვრება“ მეფეთა ისტორიაა“, „იქ ხალხი ნაკლებადა ჩანს - ქვეყნის შიდა-ცხოვრებაც“ და ა. შ....

ეს კიდევ ერთი მაგალითია ილიას არცნობისა, თუ ვერცნობისა: ილია „ქართლის ცხოვრებას“ კი არ უარყოფს, არამედ პირიქით - რაც შეიძლება ღრმად შევისწავლოთ იგი დღეს, რომ ამით ჩვენი ქვეყნის „შიდა-ცხოვრებას ფარდა ავხადოთ“... ეს აუცილებელი წინაპირობაა „საქართველოს ახლად შენებისთვის“. წავიკითხოთ და გავაანალიზოთ ილიას სტატია - „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ანდა, ივანე ჯავახიშვილის „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ და ნათლად დავინახავთ ამ დასკვნას...

ესეც არ იყოს, სხვებს უკიჟინებდა და ჩააგონებდა „ჩვენი უმდიდრესი და უძველესი ისტორიის“ გათავისებებს და იმის გაგებას, თუ - „რანი ვიყავით“ და თვითონვე უარყოფდა ამას?!... ის უბრალოდ, სხვას მოითხოვდა აქაც, სხვისკენ გვითითებდა, რომ რაც შეიძლება ღრმად და ობიექტურად შევისწავლოთ „ქართლის ცხოვრება“, რომ ამ გზით „აღმოვშობოთ“ ძველი საქართველოდან ახალი საქართველო...

დღესაც ჩვენს ქვეყანას ეს „ახლად შენების“ ჟამი უდგას ამ 200-წლიანი კოლონიური ყოფის შემდეგ და ამ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულების თაობების ვალიც ისაა, რომ ეს „ახლად შენება“ ღირსეულად წარვმართოთ და დავამთავროთ ისე, რომ ლელთ ღუნისა „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ აღვადგინოთ ძველებური ბრწყინვალეებით...

დავაკვირდეთ „აწინა-ადრინდას“ დიალოგსაც, რა საოცარ პარალელელებს გვთავაზობს ილიას მოხევე:

„ადრინდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის... ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულს ვიურვებდით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით... აწინა ერობა დაიშალოს, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, ერი დავარდნილ, გალახულ არნ, კრდომილ-კრთომილ“...

და დასკვნაც ავტორისა თავის მოხევეს და მასთან ერთად, ჩვენც რომ მოგვმართავს: „სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამიარა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!“.

ის დღემდე ელოდება ამ პასუხს, პასუხს თავისი „კარგი ქვეყნის ახლად შენებისას“...

## - მით უფრო საამაყო და სასახელო იქნება...

ილიაზე კარგად არავინ იცოდა რა ძნელია ძნელბედობა გამოვლილი ქვეყნისათვის მკვდრეთით აღდგენა. აკი, წერს სტატიაში - „ოსმალს საქართველო“ მისებური დიდი ემოციური ძალით:

„ეგრეთ, მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს შავმა ბედმა..., დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნილს, ერთობისათვის და ქრისტიანობისთვის სისხლ-დანთხეულს საქართველოსა“.

მაგრამ ესეც მისი სიტყვებია ჯერ კიდევ ჭაბუკობისას თქმული:

“მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“...

მომავალი - აი, რაზე იყო მომართული მისი ფიქრი, მისი განსჯა, მისი ოცნება და ნატვრა. სხვა ამაზე უფრო დიდი საფიქრალი მას არ ჰქონია. საფიქრალი იმისა, თუ როგორ აღსდგეს „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“, რამეთუ იცოდა: გზა „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებისა“, საქართველოს „ძველი დიდებული ოქროვანი ხანიდან“ ახალი ოქროვანი ხანისკენ მასზე გადის....

მის მიერ „ივერიის“ რედაქციაში ტრადიციად ქცეული ხუთშაბათობის უმთავრესი საკითხიც ეს იყო მუდამ. აქ მონაწილე უკლებლივ ყველა ადასტურებს ამას და იმისაც, თუ როგორ იტყოდა ხშირად: მე და თქვენ ალბათ ვერ მოვესწრებით ამას, მაგრამ ჩვენი ხომ არ იწყება და არ მთავრდება ქართველი ერი და საქართველო?!...

ესეც მისეული ოპტიმიზმით თქმული პასუხია, როცა ექვი გამოითქმოდა ამ მისეული „სხვა ვარსკვლავის დევნის“ და ხალხისათვის „მომავლის მიცემის“ მიმართ: ძნელია, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია, მაგრამ მით უფრო სასახელო და საამაყო იქნება ეს მომავალი თაობებისთვის - სულ „ძნელბედობით“ ხომ არ უნდა ვიაროთ ამქვეყნად, გვეყო, რაც აქამდე ვიარეთ...

ახალგაზრდობის იმედი ჰქონდა, რომ ამ ძნელბედობას და გოლგოთას გზას ახალგაზრდობა დაამთავრებდა და ამიტომაც

ცდილობდა მეტი და მეტი ახალგაზრდობა მიეზიდა „ივერიაშიც“ და აქ დაფუძნებულ „ხუთშაბათობაზე“. აკი, პოეტურადაც ასახა ეს მისი დიდი იმედი, როცა თქვა:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,  
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,  
თუმცა ძველნი დაგმორდნენ, ახალნი ხომ შენია,  
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“...

საყოველთაოდაა ცნობილი ილიას, როგორც კაცის, პიროვნების ოპტიმიზმიც - რაც არ უნდა რთულ ვითარებაში ჩავარდნილიყო, და მას პრობლემები არასოდეს აკლდა ბავშვობიდან მოყოლებული, დიდი ქართული იმედით იყო მუდამ დამუხტული...

## არის თუ არა ყველაფერი უცხო „საუცხოო“?...

ივანე ჯავახიშვილი მონოგრაფიაში - „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ილიას მემკვიდრეობის ანალიზისას ერთ საგულისმომოვლენაზეც მიგვითითებს: ილიას უყვარდა, ასე ვთქვათ, ქართული ენის „დაკითხვა“- სპეციალურ უბის წიგნაკს ატარებდა, სადაც ქართული ენის უძველესი სიტყვების ნიმუშებს და მათ თავისებურ „გაშიფვრას“ იწერდა: ენა ხომ, ყველაზე მეტად ინახავს ერის ისტორიის უძველეს დანალექებს, განსაკუთრებით მისი არქაული სიტყვები ათასწლეულებიდან რომ მოდის...

მაგალითები ილიას ჩვენი ენის ამ „დაკითხვისა“ ბევრია: - აი, დღეს ჩვენი სიტყვა-„გარდაცვალება“, ნუთუ იგი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ როგორ უყურებდნენ ჩვენი წინაპრები ადამიანის არსებობასა და ცხოვრებას, მის ფილოსოფიურ განზოგადება-გააზრებას, ანდა, ფუძე-სიტყვა ჩვენი ენისა - „წყალ“-ი, „სა-წყალ“-ი, მ-„წყალ“-ობელი, „წყალ“-ობა, „გა-წყალ“-ება“, სა-„წყალ“-ობელი... ყველგან აქ „წყალი“ მონატრება-ოცნების საგანია...

აქედან ილიას ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ ყველაზე ძირ-ძველი ქართველების საცხოვრისი უფრო სამხრეთით - კაბადოკიასა და პალესტინაში იყო. სიტყვა ხევსურსაც ასე შიფრავდა „ხევსური“- „ხევის ურია“, რითაც ზურგს უმაგრებდა ამ თავის „პალესტინურ თეორიას“.

ივანე ჯავახიშვილიც ფიქრობდა, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისითაც სამხრეთიდან ქართველთა უძველესი ტომების

კავკასიის მთიანეთში გადმონაცვლება სწორი ჰიპოთეზაა...

ჩვენი ენის ამ სიტყვასაც - „უცხო“ ბევრი რამის თქმა შეუძლია დღეს: იმპერიებ-გამოვლილმა ერმა ცხადია, ბევრი რამ შეიძინა ქრისტიმდეც და ქრისტეს შემდეგაც, რამაც გავლენა იქონია ენაზეც. დღესაც ხომ, რუსულის გავლენა მტკიცედ ზის ჩვენში... სხვა თუ არაფერი „სამი რომი“ გამოვიცვალეთ - „მესამე რომი“ სულ ახლახან (დმერთმა ქნას საბოლოო!), და ამანაც ბუნებრივია, თავისი ასახვა ჰპოვა ენაშიც, გაჩნდა სიტყვა - „სა-უცხო-ო“...

და ილიას სიდიადე, მისი ეროვნულობის და პატრიოტიზმის საზომი იმაშიც არის, რომ ყველგან ცდილობდა ამ „ენის დაკითხვისას“ თავისი ხარკი გადაეხადა ჩვენი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობისათვის: მესამედასელთა „უცხო ბაძს“, რომ ებრძოდა სხვასთან ერთად, ამასაც გვაფრთხილებს: მაინც და მაინც ყველაფერი „უცხო“ საუცხოო არაა...

მართლაც, მესამედასელთა მიერ თავსმოხვეული უცხო იდეოლოგია საუცხოო რომ არ აღმოჩნდა, მე-20 საუკუნის მთელმა ჩვენმა ისტორიამ დაგვანახა თვალნათლივ...

## ილია და „მარქსელები“:

ორი გზა და ორი განაზრახვი

„განაზრახვი“ ძველი ქართული სიტყვაა და კაცის მიერ მოფიქრებულ წინასწარ გეგმას, წინასწარ ჭვრეტას, ჩანაფიქრს, ასე ვთქვათ, ახლანდელ ცნებას - „სტრატეგიას“ ნიშნავს. არ არის ქვეყანაზე კაცი, რომელსაც თავისი „განაზრახვი“ არ ჰქონდეს და მის განხორციელებას არ ესწრაფოდეს....

ეგაა მხოლოდ - რა განაზრახვი მოუვა კაცს თავში ავის თუ კარგის და რა შედეგზე გათვლილი. რუსთაველის გმირებმა ისეთი „განაზრახვი“ შეიმუშავეს, „ქაჯეთის ციხე“ რომ ააღებინათ ისე, როგორც დავითის „განაზრახვი“ დიდგორის ბრძოლის წინ, „ძღვევაი საკვირველი“ რომ მისცა ხალხს და ქვეყანას. ილიასაც ჰქონდა განაზრახვი და „მარქსელებსაც“, მაგრამ მაშინ ილიას განაზრახვი წიწამურთან დასამარდა და დამთავრდა. სამაგიეროდ გზა გაესხნა „მარქსელთა განაზრახს“, მთელი საუკუნე და მეტიც რომ გაგრძელდა...

მესამე დასელებთან დაპირისპირება უკიდურესად რომ გამწვავდა, განასკუთრებით ფილიპე მახარაძის პასკვილების შემდეგ, სადაც

ილიას ფიზიკურად განადგურების მოწოდებაც გამოიკვეთა, ილიამ თითქოს მათ ჩვენი ძველი ფოლკლორული სიბრძნე შეახსენათ - „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავთ, თავს ნუ დაიდებთ ცოდვასა“...

მაგრამ ეგაცაა, მათ ხომ ძველისა აღარაფერი სწამდათ. . .

## ილია და „კაცი“

„ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა. . .

გარემომცველ სინამდვილეში იერარქია ბატონობს ყველგან - ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც, ერშიც და ბერშიც... ილია ბევრგან ეხება ამ თემას და მას ხშირად „ენის დაკითხვას“ უკავშირებს. ამ მხრივ გამორჩეულია სტატია - „ზოგოერთი რამ“...

მის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სიტყვა „კაცი“. ამ სიტყვისაგან ბევრი სიტყვაა ნაწარმოები, ვთქვათ, „კაცობრიობის“ მსგავსი, ხოლო რუსეთში ხომ - „კაცო“ ქართველის სინონიმად დამკვიდრდა...

ამ ვრცელ სტატიაში ბევრი საგულისხმო მომენტია. ილია სიამაყით წერს ჩვენს უძველეს დამწერლობაზე, ლექსიკური მარაგითაც „არავის ჩამოვრჩებით, თუ არა აღვემატებით“, მოვლა-პატრონობა უნდა ოღონდ... მაგრამ ვაკეთებთ კი ამას?...

და ილიას სარკასტული პასუხი: „სადღაა ეხლა ქართული ენა? ან გვინდა-ღა... ენას დღეს აზრს ვილა სთხოვს და საქმე ხომ იქამდე მივიყვანეთ, რომ კ ა ც ი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კ ა ც უ რ ი არ დავუმატეთ“...

მართლაცდა, „კაცს“ რაღა დამატება უნდა!... აკი, თვითონაც ნოველას - „კაცია - ადამიანი?!“, კითხვა-მახილის ნიშანი იმიტომ დაუსვა, რომ ყველა ამ ქვეყნად ადამიანია, მაგრამ კაცი კი არა. მესამე დასელების მიმართაც ხომ ამას უსვამს ხაზს - „სჯობს უყოლობა კაცისა, შენისთანასა ყოლასა“.

ისე, რომ ილიას ლექსიკაში სიტყვა - „კაცი“ რაღაც საკრალური ხასიათისაა. ამ მხრივ მისი „დიდბუნებოვანი კაცი“ სრულქმნილი, ლამის უნაკლო პიროვნებაა, აღმაშენებლის მასგავსი „ღმერთის რჩეული“. აქ შეიძლება გავიხსენოთ მისი 5 კაცის თეორიაც:

სტატიაში - „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი““, იგი კაცის 5 ტიპს ასახელებს მათი სამოქმედო არეალის და საკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით: რუსთაველის მსგავსი გლობალური

მასშტაბის - „ზოგად-კაცი“, შემდეგ - „ერის-კაცი“, „თემის-კაცი“, „გვარის-კაცი“ და „ოჯახის-კაცი“...

„კაცის“ ასეთი ფილოსოფიური გააზრება შეიძლება პოეზიით ასეც გამოხატოს კაცმა დღეს:

ისმის ირგვლივ ხმა -  
„არა კაც ჰკლა“ და  
ესეც ხანდახან:  
- რა ქნა ამ კაცმა,  
სისხლი დაღვარა,  
კაცია ახლა?!...  
კაცი კი არა,  
არაკაცია!...

მადლობა უფალს,  
რომ სიტყვა „კაცმა“  
ფასი და ძალა  
ამ ახალ დრო-ჟამს  
მთლად არ დაკარგა...

ესეც საგულისხმო ფაქტია: ილია ამ „ენის დაკითხვას“ მუდამ თავის დიდ იდეას - „საერთო ნიადაგს“ უკავშირებს. მეტიც, ამ ფილოლოგიურ-ფილოსოფიურ წიაღსვლებს ყველგან სწორედ ამ „წინასწარი განაზრახით“ აწარმოებს, ასეთ შემთხვევას იგი არასოდეს უშვებდა ხელიდან:

„... ენა საერთო აზრის გამომხატველია და საერთო რა გვაქვს მე და შენ?... შენ შენთვისო, მე ჩემთვისო - ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ერთმანეთს თავი დავუკარით და უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით. როდის-ღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ ძმური ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ - მე და მე - შენ ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!“

„ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ“...

„ძმაო, რა სჯობსა ძმობასა. . .“

ეს შაჰ-აბასის წყევლაა და ჩვენც ყველა ეპოქაში შესაშური ერთგულებით ვასრულებთ მას. „საერთო ნიადაგის“ თეორიაც ხომ, ჩვენი დამაქცევარი ტირანის ამ წყევლის საპირწონედ შექმნა, მის



ცხოვრებაში გატარების დიდ სამომავლო იმედს დაუკავშირა თავისი ცხოვრებაც, მაგრამ ამაოდ....

აკი, წერდა გულსაკლავად: „განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასო დავიჭერთ და მაგ განვთვითეულობამ... ქართველობის საყოველთაო აზრი გონებიდან გამოგვაცალა, ყოველი აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა გაგვინამცეცდა, ზნეობითად დავპატარავდით, სულიერ-ხორციელად დავჩიავდით.... და ვაი იმ ხალხს, ვისაც საერთო ძარღვი გაუწყდა“...

მტერსაც ეს უნდა... ასე იყო გარნისთან და მის შემდგომ ათასჯერ სხვა ჟამს. ახლაც ამაზეა გათვლა. „გათიშე და იბატონეს“ იმპერიულ პოლიტიკაზე, რომ 1921 წლის მსგავსად, თავის მონა-მორჩილად გვაქციონ კვლავაც.

მუდამ ხალხურ სიბრძნეში ეძებდა ჯანსაღ აზრს და გამოსავალს, „ჩვენი გონება-გახსნილი გლეხკაცის საუკუნეებში გამოტარებულ გამოცდილებასა და სიბრძნეში“. ამიტომ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას ფოლკლორს, ძველი ლეგენდების, თქმულებების, შეგროვებას და გამოცემას. ხელს უწყობდა ხალხური სიმღერების პროფესიული გუნდების ჩამოყალიბებას. „ივერიის“ რედაქციაში იხსენებენ - თვითონ ხმა არ ჰქონდა, მაგრამ საათობით შეეძლო ესმინა ჩვენი მრავალხმიანი სიმღერებისათვის.

ხშირადაც უნახავთ, აიკვიატებდა ფოლკლორიდან რაიმე სტროფს და სიამოვნებით ღიღინებდა მთელი გატაცებით. ასეთად მიაჩნდა ეს მართლაც საოცარი სიტყვები ჩვენი ფოლკლორიდან:

„ძმაო, რა სჯობსა ძმობასა,  
ჩვენსა ერთადა ყოფნასა“...

## - ამას რუსიც სხვა ჰგონია

უყვარდა ხალხში დაგროვილი ძარღვიანი და მადლიანი გამოთქმები, ყველა ეპოქას რომ ახასიათებს, იწერდა მათ და ხშირად იყენებდა „ივერიაში“. ამ თემაზეც ცალკე გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს, თანამედროვე ცხოვრებასაც რომ ეხმიანება დღეს...

და აი, ერთხელ მოუყვნენ ერთ მანაველ კაცზე ჩოლოყაშვილთან რომ მუშაობდა მოურავად. რუსებმა აქ ქვეყნის დაპყრობისას პირველი სამხედრო ბანაკი გამართეს და ამ თავადს დაუფიცნია - სანამ რუსები

აქედან არ წავლენ, სახლიდან გარეთ ფეხს არ გამოვადგამო...

ყოველ დილით ეკითხება თურმე მოურავს - რუსები ისევ აქ არიანო, ეგონა როგორც სხვა დამპყრობლები, ერთი-ორი თვე დარჩებიან და წავლენო. ჯერ ხომ ცოცხლად ახსოვდათ, რა მალე წავიდა ალა-მაჰმად ხანი კრწანისის შემდეგ იმავე 1795 წელს...

ამ მოურავს რომ მობეზრებია ეს აჩემებული კითხვები რუსების წასვლის თაობაზე, ერთხელაც თურმე თავისთვის ჩაულაპარაკებია:

- გიჟია ეს ჩემალალა, ამას რუსიც სხვა ჰგონია....

დიახ, ბევრისგან განსხვავებით ეს მანაველი გლეხკაცი მალევე მიხვდა, რომ სულ სხვა ჯიშის დამპყრობელი მოევლინა ამჯერად ქვეყანას, დამპყრობელი, რომელიც აქ დროებით კი არ იყო მოსული, არამედ მდმივად...

და განა დღეს ორი საუკუნის შემდეგ ეს გამოთქმა - ამას რუსიც სხვა ჰგონია, კვლავ ბევრ ყურადსაღებ პარალელებზე არ მიგვანიშნებს?!...

## ილია და მეცნიერება:

„საერთო ნიადაგის“ თეორია მოქმედებაში. . .

მეცნიერება უდიდესი მატერიალური ძალაა, ეს ილიას მომავლის გამნათებელი „დიდი რწმენაა“. ამ რწმენაზე და მისგან გამომდინარე პროგრამულ ხედვაზე აგებდა თავისი „კარგი ქვეყნის“ კარგ მომავალს. მაგრამ ესეცაა - არა „კაბინეტში გამოკეტილი მეცნიერება“, არამედ ხალხისა და ქვეყნის „გამკარგებელი, დიდი მარგის მქონე და მატარებელი მეცნიერება“...

საქართველოს დამოუკიდებლობა მოიპოვო და ილია არ გაგახსენდეს, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, ეს ხომ აბსურდია, აბსურდია კი არა დანაშაული და უპატიებელი ცოდვაც. სხვანაირად როგორ, რა გზით და საშუალებებით ვაპირებთ „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებას?“...

„საქართველოს მოამბე“ - რუსეთიდან დაბრუნებულ ილიას, როგორც ჟურნალისტის და პუბლიცისტის, კარიერის დასაწყისი: საით უნდა წავიდეს ქვეყანა, რომ „ქართველის სახსენებელი არ გაწყდეს“. ეს გახლავთ 1861-62 წლები. უკვე დაწერილია „მგზავრის წერილები“. ლელთ ღუნისა უკვდავი ფორმულა აწინა-ადრინდას დიალოგში, რომ ითქვა...

მაგრამ სულ სხვაა მისი პირველი საპროგრამო წერილი -

„საქართველოს მოამბეზედ“ : აქ იგი გადმოსცემს, თავისი და ამასთან, მთელი „პირველი დასის“ სტრატეგიას და ტაქტიკას, შემდგომში კი, - „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსსა და დანიშნულებას...

აი, ავიღოთ ჟურნალის პირველი გვერდის პირველივე აბზაცი და ვნახოთ, რა ფილოსოფიური და ზოგად - სოციოლოგიური გააზრებით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი „ცხოვრების თვითრეგულაციაში“, რომელზეც უნდა აიგოს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება. მაგრამ ამასთან, - „რაახლებს ცხოვრებას, რას ცვლის, რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა... თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგენელი იმედი - მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან“ ...

მეცნიერება - „ეგ ულვეი სალარო კაცის გონიერებისა და ცხოვრების განკარგებისა“, რომ სრული ძალით ამოქმედდეს, მისმა თესლმა რომ კეთილი ნაყოფი მისცეს ხალხს და ქვეყანას, მას ფართო შარა-გზა უნდა მიეცეს განვითარებისა. ჟურნალის მოვალეობადაც ილიას ის მიაჩნია, რომ „მოამზადოს ხნული ამ კეთილი ნაყოფისთვის. „საერთო ნიადაგის“ თეორიაც მომავლის მეცნიერება უნდა გახდეს, ის დიდი საერთო-ეროვნული ცოდნა, რომლის დანიშნულებაცაა „მოამზადოს ეს ხნული განახლებული ქვეყნისთვის“...

მაგრამ იგი ამ დანიშნულებას ვერ შეასრულებს, „დავრდომილს ფეხზე ვერ წამოაყენებს“, თუ ამ დავრდომილობის მიზეზს ვერ დაადგენს. ამას კი პირუთვნელი განსჯა და ანალიზი სჭირდება, რომელიც ბრიყვსა და ჭეშმარიტების მოძულეს ქვეყნის ღალატად მიაჩნია. ამიტომ იშველიებს ილიაც ამ სიბრიყვის წინააღმდეგ პოეზიას სტატიის ბოლოს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველის სიავეს ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს - ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ჰგრობს,  
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“...

და შესაფერისი დასკვნაც: „მეცნიერებამ ცხოვრების მდინარეებში უნდა მონახოს და ამოკრიფოს ლაფი და ლექი, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს. ეს გადადის ხალხში და სცვლის ხალხის ცხოვრებასა. ხალხი, მაღალი თუ მდაბალი, ყველა მოყვასია ჩვენი.

რუსთაველმა კი გვასწავლა მოყვასს როგორ უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის, სიცოცხლისა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“...

**ილია დღეს: არ ცოდნა არ ცოდვა?!...**

ანუ, ილია წერეთელი და აკაკი ჭავჭავაძე...

„ილიალოგთა კლუბს“ ამ 30 წლის მანძილზე ბევრი რამ უცნაური ამბავი გადაგვხვდა, ბევრი ისეთი, რომელიც სამაგალითოდ შეიძლება გამოდგეს დღეს: მაშინ საბჭოთა კავშირი, რომ იტყვიან, სულს ლაფავდა, ჩვენც ეიფორიაში ვიყავით და დისკუსიას დისკუსიაზე ვაწყობდით ილიას მემკვიდრეობაზე...

ერთი ასაკოვანი კაცი შეგვეკამათა ერთ-ერთ სხდომაზე - ასე დაბეჯიდებით, რომ ამბობთ - ქართული სახელმწიფო ილიას გარეშე წარმოუდგენელიაო, რის საფუძველზე ამტკიცებთ ამას, ეს მართო თქვენი ცარიელი, სუბიექტური სურვილი მგონიაო...

ჩვენ მორიდებით შევეკითხეთ - ილიას „ცხოვრება და კანონი“ თუ წაგიკითხავთ-ო. მან გულახდილად გვითხრა - არაო. მაშინ შევთანხმდით, რომ მომდევნო სხდომისთვის წაეკითხა და ერთობლივად გაგვეჩია, გვემსჯელა და გვეკამათა...

მეორე სხდომა დაიწყო თუ არა, მან ყველას გასაოცრად ხელები ასწია და განაცხადა: მე აქამდე მეგონა, რომ მართლაც, არ ცოდნა არ ცოდვაა, მაგრამ ახლა ვაცხადებ - ეს ილიას არ ცოდნას არ ეხება, ილიას არ ცოდნა, არ ცოდვა კი არა, დიდზე დიდი ცოდვაა...

ჩვენ ყველა ტაშით შევხვდით ამას. ლევან სანიკიძემ კი გადაკოცნა მეგობრულად და თქვა: - ამის შემდეგ ეს თქვენი აღიარება ჩვენი ერთ-ერთი ლოზუნგი გახდება სხვათა და სხვათა გასაგონად, და მართლაც, ილიას არ ცოდნა ცოდვაა! ჩვენს ლოგოსად რჩება დღესაც...

ეს მეორე ამბავი კი, მერაბ ბერძენიშვილის „მუზაში“ მოხდა: ყველას მოგეხსენებათ, ის დიდი ხელოვანიც იყო და ამასთან, დიდი პატრიოტიც და ილიას თაყვანისმცემელიც. ხშირად გვეპატიუებოდა თავისთან... ერთხელ ძალიან აღელვებული დაგვხვდა, კინალამ ინფარქტი მივიღეო, ეს რას შევესწარიო:

„ბოლო ზარის“ ტრადიცია რომ დამკვიდრდა, ერთმა სკოლამ აქ მთხოვა ამის აღნიშვნა, თან უცხოელი სტუმრებიც გვყავს და თქვენს

გამოფენას დავათვალთვალავ... მერე საზეიმო სუფრაც რომ გაიშალა, თამადად ინგლისურის მცოდნე ყმაწვილი კაცი დანიშნეს - ავთვალს არ დაენახვებო, რომ ითქმის, ისეთი, სტუმრებიც სიამოვნებით უსმენდნენ მის ქართულ-ინგლისურ მჭერმეტყველებას... მორიგ სადღეგრძელოში მან თავის თანატოლებს ასე მიმართა: - ჩვენ ისეთ სახელოვანნი უნდა გამოვიდეთ, როგორებიც იყვნენ დიდი ილია წერეთელი და აკაკი ჭავჭავაძე...

- არავითარი შესწორება, ირგვლივ სრული თანხმობა და დუმილი... ასე ყველა შეუერთდა თამადის დალოცვას... უხმოდ გამოვიპარე სუფრიდან და მას შემდეგ მეც იმ აზრისა ვარ, რაც თქვენ ლოზუნგად გაქვთ: დიახ, ილიას არ ცოდნა დიდი ცოდვაა...

## საქართველო და ევროპა: ისტორია და თანამედროვეობა

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ „ივერიის“ რუბრიკას - „საპოლიტიკო მომიხილვა“, ვნახავთ: ილიას ფიქრი და განსჯა დღენიდავ ევროპასა და მის პრობლემებს დასტრიალებდა. ამიტომ „საერთო ნიადაგი“ ეროვნულთან ერთად ევროპულიც. ბისმარკიც იმიტომ არ უყვარდა, რომ მიაჩნდა - თავისი პოლიტიკით ევროპა ომისკენ მიჰყავსო...

სწამდა, რომ ევროპა ადრე, თუ გვიან გათიშულობის ამ პრობლემებს გადაჭრიდა და „საერთო ნიადაგი“ დადგებოდა. ეს იმიტომ, რომ სხვა უკეთესი გზა და ალტერნატივა მას არ ექნებოდა, გარდა ამ ერთობისა, რამეთუ - „განუწყვეტელს თოფ-იარაღში ჯდომა ქანცს გაუწყვეტდა“...

1889 წლის სტატიაში „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, სადაც მან აშშ „მსოფლიოს მეთაურობა“ უწინასწარმეტყველა, აქ ის აზრიც არის გატარებული, რომ განუწყვეტელი ომიანობა და სისხლის ღვრა ბოლოს ჯანსაღი აზრით მარტო ევროპას კი არა, მთელ „დასავლეთის სამყაროს“ გააერთიანებს ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც საერთო ევროპული ღირებულებების ქვეშ. კაციობრიობის მომავალიც ამ გზით არის შესაძლებელი...

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ილიასათვის მთავარი მისი „კარგი ქვეყანა“, რა ბედ-იღბალი ელის მას ამ გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში. ცენზურის პირობებში ის, რა თქმა უნდა, ღიად და პირდაპირ ვერ გამოხატავდა საქართველოს მომავლისადმი თავის

აზრს. მაგრამ ეზოპეს ერთ რუსეთს დასავლეთთან „ჭიდილში“ დაშლასა და მარცხს უწინასწარმეტყველებს. მაგალითად 1882 წლის მარტის თვის „ივერიის“ „შინაურ მიმოხილვაში“ იგი იმ აზრს ანვითარებს, რომ - „დღესა თუ ხვალე რუსეთს წინ აეყუდება ეროვნული საქმე“ და ეს მას სიკეთეს არაფერს მისცემს...

რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში „ზაპადნიკობას“ და „სლავოფილობას“ რომ ახასიათებდა, ილია მის მომავალ განვითარებაში „გაევროპელობა-ზაპადნიკობას“ გამორიცხავდა, რამეთუ „სლავოფილობა“ ყველაზე მეტადაა მორგებული რუსულ-მონღოლურ ფსიქიკას. გრაფი ლეტელიეც და მარკიზ დე კიუსტინიც, ხომ ამ აზრს ანვითარებდნენ და განა მერმინდელი ბოლშევიზში ანდა თუნდაც, დღევანდელი პუტინიზმიც ამის დასტური და ანარეკლი არაა?!...

ისიც სწორი ანალიზი და დასკვნაა, რომ სლავოფილური რუსეთი ყოველთვის წინ აღუდგება „საქართველოს გაევროპელობას“... ამის მაგალითია „შეთქმა“, თვითონ ილიას ეპოქაში რომ ასე მძლავრად განხიანდა...

## ილია და „შეთქმა“: „მაშ, რაისთვის-და ცოცხალ ვართ?!“

საქართველოც ძალა-უნებურად ჩაერთო ევროპის დიდ გეო-პოლიტიკურ თამაშში XIX საუკუნის დამდეგიდანვე, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ნაპოლეონმა რომ დაუდო სათავე: ესეც ნაპოლეონის დიდი სამხედრო-პოლიტიკური გეგმა და „განაზრახი“ იყო - 1812 წელს რუსეთის განადგურების შემდეგ, მან თბილისი შეარჩია ინდოეთზე ლაშქრობის პლაცდარმად იმგლისის იმპერიისთვის ზურგში დანის ჩასართყმელად.

ბაგრატიონებში ამან დიდი იმედები აღძრა, განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის ყველაზე შეურიგებელი მტერი, თავრიზში გახიზნული ალექსანდრე ბატონიშვილი... ნაპოლეონის მარცხმა ეს ერთუზიაზმი ვერ ჩაკლა, პირიქით, ახლა ინგლისი გახდა ორიენტირი: „შეთქმა“ - შეთქმულება პეტერბურგსა და მოსკოვში ჩაისახა, შეთქმულებს ეხმარებოდა ბაგრატ ბატონიშვილის დიდი მეგობარი ინგლისის ელჩი პეტერბურგში, შეთქმულებაში ჩაერთო საფრაბგეთის საელჩოც, საიდანაც თბილისში კონსულად გამოაგზავნეს გრაფი

ლეტელიე სპეციალური დავალებით...

შეთქმულების სული და გული პეტერბირგიდან თბილისში დაბრუნებული სოლომონ დოდაშვილი (1805-1836) გახდა. მას ილია „ეროვნული მოძრაობის პირველ მედროშედ და საქართველოში ევროპეიზმის ფუძემდებლად“ მიიჩნევდა. მართალია „შეთქმა“ გამჟღავნდა და დამარცხდა, მაგრამ შემდეგშიც დოდაშვილის „სიტყვა-მოწოდება“ ხელიდან ხელში გადადიოდა გიმნაზიის მისი მოსწავლეების, მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეშვეობით...

იგი ქართული პატრიოტიზმის გამორჩეული დოკუმენტია. დიდი ემოციური ძალით დოდაშვილი აღანთებს შეთქმულებს საბრძოლო ჟინით და შემართებით:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფება...“

ხოლო აწ ხედავთა დამხოზასა და არარაობასა მამულისა ჩვენისა?! ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოველისა კაცისასა?!...

რაისთვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არღა ძალგვიძს შენახვა საკუთარი მამულისა ჩვენისა?!“

ნუ უკვე ჩვენ არღა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენისათა?!...“

მაშ რაისთვის-ღა ცოცხალ ვართ?!“

სოლომონ დოდაშვილის ეს ლექსი - „მაისი“, სიმბოლურად ჟღერს დღესაც:

„მაისის თვესა იქმნას ძახება,  
გამოხატული ქართველთ უფლება...  
აღვიპყრათ ხელში მახვილი ჩვენა,  
მივსცეთ ჩვენს მტერსა შიში ძრეილი!...  
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსულნი,  
ჩვენის მამულის მათხრებელნი!“

- „ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ?!...“

ეროვნული ღირსების შელახვას, ჩვენი ისტორიის მეობისა და თვითმყოფადობის შეგინებას არავის აპატიებდა კატკოვი იქნებოდა ის, თუ თუმანოვი და მისი „ამქარი“. აქაც გვინდა ვთქვათ, რომ კითხვა - ვიცნობთ თუ არა ილიას კარგად, უცნაურ კითხვად არავის უნდა მოეჩვენოს, არც საწყენად: ამის ერთ-ერთ ნიმუშად „ქვათა ღაღადი“

გამოდგება:

ჩვენთანაც და სხვაგანაც ეს რატომღაც „ანტისომხურ“ ნაწარმოებად მიაჩნიათ. ამას წინათ „ეხო კავკაზმა“ ანდრეი ბაბიციკის მთელი გადაცემა მიუძღვნა ამას, სადაც ილია სომხების სიძულვილში დაადანაშაულა: - აი, ქართველები რომ ვითომ ტოლერანტები ხართ, აბა, ეს „ქვათა ღაღადი“ რა არის? - ნიშნისმოგების ასეთი „ჩამჭრელი კითხვა“ დაგვისვა თვითკმაყოფილობის გრძნობით...

ილიას რომ სიცოცხლეშიც ათას ცილს სწამებდნენ ცნობილია. მას ხომ, კაცის მკვლელობაც კი დააბრალეს მესამე დასჯელობა და ბაბიციკიც, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არაა - ეს რუსეთის სპეცსამსახურების ხელწერა და შეგნებული პროვოკაციაა:

ავიღოთ „ქვათა ღაღადის“ პირველი გვერდები. იქ ნათლად გამოჩნდება, რომ ეს სწორედ რომ პროვოკაციაა, თანაც შეგნებული და წინასწარ გამიზნული. ამაშიც ილია დაგვეხმარება: აქვე იმასაც დავაკვირდეთ, რა საოცარი ლაკონიზმით წერს ილია და ამასთან, აზრის რა საოცარი სიღრმით განსაზღვრავს „ერის“ ცნებას, ალბათ, მსოფლიოში იშვიათ დეფინიციად რომ შეიძლება ჩაითვალოს მაშინაც და დღესაც:

„...ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველის პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადმიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება, შეგინება ერთი იმისთანა სიბრყველა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმობთ, სადაც ერთგვარი გუნდია ცოდვილი“...

დიახვაც, რომ ჰუმანიზმი და ტოლერანტიზმი, სხვა ერებისა და სარწმუნოების პატივისცემა ილიასაც და ჩვენ ერსაც არავისგან ესწავლება. მარტო მისი „დავით აღმაშენებელი“ წავიკითხოთ, რა კანონიერი სიამაყით წერს ამ ჩვენს მართლაც რომ უნიკალურ ეროვნულ ფენომენზე: „ამისთანა პატივისმცემელი სხვა ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მე-12 საუკუნის კაცისაგან!“. მართლაც, რომ საოცარი მაგალითია...

აქ სომეხი ერი არაფერ შუაშია, ის მშრომელი ხალხია და თავის საქმეს ადგიაო, - წერს დასაწყისშივე და იმ ცოდვილ ერთგვარ გუნდზე აგებს მთელ თავის პოლემიკას, რომელსაც მერე კიდევ უფრო აკონკრეტებს. „...რუს და სომეხ ცრუ-მეცნიერთა ერთგვარი გუნდი“. ეს „გუნდია“, რომ აუჩემებია-ქართველი მცონარა და



უქნარაა, ისტორიულადაც და ახლაც არარაობაა. არაფერი ერი არაა, „ჩალვადრობის“ მეტი არაფერი იციან, ქალებიც ხომ ერთიანად დიდცხვირა და მახინჯები ჰყავთ და ათასი სისულელე სხვა...

თანაც არ დაგვავიწყდეს, ჩვენი ისტორიის ეს გაყალბება და თავის ჭკუასა და ნება-სურვილზე წარმოჩენა მაშინდელ ევროპულ პრესაში ქართული კულტურისა და ცივილიზაციის აკვანს - მესხეთს ეხება, სადაც, მართლაც, ქვებიც კი ღალადებენ, რომ უძველესი ერი ვართ და არა „წუთისოფლის ნაბიჭვრები“...

ახლა დავხედოთ „ქვათა ღალადის“ ბოლო გვერდებს - იქ ხომ ილიას დაულალავი მოწოდებაა ქართველ- სომეხთა კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობისკენ - ეს ამ ორივე ერის არსებობა- განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, გვმოდღვრავს ერთსაც და მეორესაც, ქართველსაც და სომეხსაც... ისტორიულადაც ასე იყო - ჩვენ ჩრდილოეთიდან გიცავდით და თქვენ სამხრეთიდანო...

ახლა შევეკითხოთ ძველ თუმანოვს და მის „ამქარს“ და ახლანდელ ბაბიციის და მის „ამქარს“ - სადაა „ქვათა ღალადში“ სომეხების სიძულვილი, სად კითხულობთ აქ „ანტისომხურობას“, თუ რაღაც ქვენა ანტიქართული გრძნობები არაა დღესაც თქვენში და თქვენს „ცოდვილ გუნდში“? - ე.წ. „ჰიბრიდული ომიც“ ესაა, აბა, სხვა რაა... თუმანოვს რომ პასუხობდა, ილია ამას ჩასჩიჩინებდა - გაიგე, რომ შენ სომხობით კი არ გწუნობთ, არამედ ორიპირი კაცი ხარ - ჩვენთან კაკანებ და კვერცხს კი სხვაგან დებო...

მაგრამ, ესეც უნდა ითქვას: ჩვენ თვითონ თუ არ რა გავაგებინეთ ჩვენს მტერ-მოყვარეს - ვინაა ილია, ილიას გარდა ჩვენი დავით აღმაშენებლის მსგავსი სხვა „დიდბუნებოვანნი კაცნი“, ამას თუმანოვი ან ბაბიცი რატომ გააკეთებს?!... ხომ ვნახეთ - მათ მარტო „ჩალვადრობით“ უნდათ უცხოეთში ჩვენი ერის წარდგენა, თითქოსდა, მართლაც „წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ“...

## იარაღს მტერი მოიტანს!...

ილია იუმორის და მოსწრებული სიტყვა-პასუხის დიდი მოყვარული იყო. ამიტომ მეგობრობდა ასევე იუმორის მოყვარულ ნიკო ხიზანიშვილთან და მის ოჯახთან, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ თეატრის მოღვაწენი. იყო დიდი მოლხენა-ხუმრობა, სიცილ- ხარხარი...

ნიკო ხიზანიშვილის გარდა „ივერიის“ რედაქციიდან ილიასთან შეხუმრებულნი ბევრნი იყვნენ და საერთოდ, მაშინდელ თბილისს ბევრი ჰყავდა ე. წ. „კოლორიტები“, მათი მოსწრებული სიტყვები, რომ მერე მთელ ქალაქს მოედებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი კოლორიტი რედაქციაშიც და ქალაქშიც ყოფილა ვინმე გიორგი აფციაური, სტამბის ასოთმწყოები, ხევსური კაცი, რომელიც ილიას ლელთ ღუნისასავით მოკლე, ლაკონური სიტყვებით დიდ აზრს გამოხატავდა და აი, ერთხელ, სადღაც ხევსურეთში მიმავალს, თურმე შეკითხებთან:

- სად მიხვალ გიორგი?
- საომრად...
- მერე, იარალი სადაა?!
- მტერი მოიტანს!...

ილია თურმე ბევრს იცინოდა ამაზე და მერე უთქვამს: ამ იუმორში დიდი აზრი და სიბრძნეა, ჩვენც, დღევანდელი ქართველობა დიდ ომში ვართ და სწორედაც მტერმა უნდა მოგვცეს იარალიო...

იგი, რა თქმა უნდა, დამპყრობელ რუსეთს გულისხმობდა და აკი, თვითონაც მთელი ცხოვრება მტრისაგან მოტანილი იარალით იბრძოდა - ბანკით, განათლებით, გაზეთით, სკოლებით და სასწავლებლებით აწარმოებდა ამ ომს... „მარქსელებმაც“ ხომ „უცხო ბაძის კლასობრივი ბრძოლით“ მისცეს იარალი ილიას საბრძოლველად და „საერთო ნიადაგის“ თეორიის შესაქმნელად...

ისე რომ, მართალი იყო ის ხევსურიც მტრის მიერ მოსატანი იარალის იმედად რომ მიდიოდა საომრად. . .

## ილია და კავკასია: ისტორია და თანამედროვეობა

ილია ბუნებრივია, ყურადღებით აკვირდებოდა კავკასიას და კავკასიის ხალხთა ცხოვრებას. ქართველის შემდეგ ხომ, ისიც და ჩვენც ყველა კავკასიელი, „კავკასიის მთების შვილი“ ვართ დღესაც. „ქართველის დედა“ - ეს ერთადერთი მისი პოემა, პიესად დაწერილი შამილის აჯანყების ფონზეა გაშლილი დედა-შვილის დიალოგით. „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“-ასეთი ქვესათაური მიუცია ილიას პიესისთვის. მეტად სიმბოლურია ეპილოგად აღებული ეს ცნობილი ხალხური სტროფიც:

„გაგვიძეხ ბერო მინდიავ,  
მუხლი მაიბი მგლისაო,  
გაიყოლიე უმცროსნი,  
ვისაც თავი აქვს ცდისაო“

„კავკასიაკავკასიელებისგარეშე!“ - ასეთი იყონიკოლოზ I ლოზუნგიც და დავალებაც, რომელიც მან თავის გენერლებს მისცა ე.წ. „რუსეთის კავკასიური ომების“ დროს... ამიტომ შეარქვეს მას „ნიკოლოზ პალკინი“. სწორედ მისი იმპერატორობის დროს (1825-1856) შეიქმნა „საღვთო კავშირი“ რევოლუციების ჩასახშობად ნაპოლეონის შემდგომ ევროპაში, რითაც „ევროპის ჟანდარმის“ ზეწოდებაც დაიმსახურა...

„ქართლის ცხოვრებაც“ ბევრ მასალას შეიცავს კავკასიურ პრობლემებზე. მარტო ლეონტი მროველის „საერთო კავკასიური სახლის“ იდეა რამდენს გვეუბნება ამ მხრივ. მაშინდელი დავითისა და თამარის საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე“, ეს ხომ ფაქტიურად კავკასიური ფედერაცია იყო და თვითონ ბაგრატიონთა დინასტიაც ისტორიულად საერთო-კავკასიურ დინასტიად ჩამოყალიბდა...

ილიას „ქართველის დედაში“ ეს მეტად სიმბოლური პოეტური აღქმა აქვს მიცემული ყოველივე ამისა:

„ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება!  
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი ბოზოქრობს,  
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,  
და ეგ ფიქრია მთელი კავკასის თავისუფლება!  
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!“

„კავკასიური კონაღობის“ და კეთილმეზობლური ურთიერთობის ძველი ათასწლოვანი ტრადიციები უნდა გაგრძელდეს გლობალიზმის ახალ ისტორიულ პირობებში. ეს არის დიდი სამომავლო გზა მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიისკენ.

## „ილიას ჯადო-ნამუსი“

მარქსისტული „კლასობრივი ბრძოლის“ იდეას რომ ებრძოდა, ილიამ კაცთა შორის უთანასწორობის თავისი ფორმულა შემოგვთავაზა:

„... ყველგან სუფევს უთანასწორობა, ხოლო დიდი შეცდომა იქნება ამისი მიზეზი თვითონ წოდებათა წყობას, მის შინაგან არსებას,

თვისებას, ზნეს მივაწეროთ. ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“.

აქაც და ყველგან სხვაგან, სადაც სოციალური დიფერენციაციის პრობლემას ეხება, ილიას მუდამ აქცენტი ფსიქიკურ, ზნეობრივ და სულიერ ფაქტორებზე გადააქვს. მხატვრულ ლიტერატურასა, თუ პუბლიცისტიკაში ილია ყველგან ხაზს უსვამს მათ პრიმატობას სოციალურზე. დაპირისპირება და ბრძოლა ქართველ მარქსისტებთან ამ ფრონტზე გადიოდა უპირველესად. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ფილიპე მახარაძე და პეტრე გელიეშვილი. ეს უკანასკნელი მარქსიზმთან ილიას ბრძოლას ასე ახასიათებს:

„ილიასთვის ეს კითხვები - „კლასები, სოციალური დაპირისპირება და ბრძოლა“ არ არსებობს, ის ყველგან გვერდს უვლის მათ. მისთვის ქართველი ერი განუყოფელია..., ხოლო ერის სხვადასხვა ნაწილების შემაერთებელი ძალა ნამუსია...“ იგი დაცინვით ამას „ილიას აღმოჩენას“, მის სასწაულმოქმედ“ჯადო-ნამუსს“ უწოდებს...

აქედანაც ჩანს, თუ რა ღრმა იყო ის უფსკრული, რაც ილიას და მესამედასელ მარქსისტებს შორის წარმოიშვა: მათი „კლასთა დაპირისპირება და ბრძოლა“ ილიას ერის სულიერ და ხორციელ გადაგვარებად მიაჩნდა.

თუ რა მოუტანა მართლაც, ხალხს და ქვეყანას ამან, თვალნათლივ გვიჩვენა მთელმა შემდგომმა ისტორიამ...

## ილია და „ქართული პროგრესი“

„მესამე დასი“ რომ გამოჩნდა ასპარეზზე, ილია „ივერიაში“ ასეთი წინასწარმეტყველური პამფლეტით შეეგება მისებური ილიასეული სარკაზმით:

„იქნებ გეგონოთ, რომ ამით მინდოდეს თავი მოვაწონო მათ..., რომ თავიანთი ბედნიერის ხელით მესამე დასში შესასვლელად კარი გამიღონ. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო: მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურადაც გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო...“

...საქმე ახლა თვლაშია - მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს - მეექვსე და წავა ესე, სანამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპიულისა კი, რა მოაგხსენოთ“.

ეს „ქართული პროგრესი“ დღესაც სახეზეა: მოგეხსენებათ, ქართული სიტყვა-„დასი“ „პარტიას“ ნიშნავს და სულო და გულო, ილიასი არ იყოს, მგონი მართლაც სათვალავი აერევა კაცს, იმდენი პარტია გვყავს...

## არ ელოდნენ...

მკვლევლობის ამბავმა წიწამურიდან თბილისს საღამო ხანს ჩამოაღწია. თითქოს ჩვეულებრივ შეხვდნენ თბილისელები: მესამედასელები ყველგან ამას ამბობდნენ - დიდი ამბავი, რევოლუციაა, ახლა ყველგან მემამულეებს კლავენ საითაც გაიხედავ - რა, ილია ჭავჭავაძე გამონაკლისია?!... ის კი არა, ავლაბრისა და სოლოლაკის დუქნებში იმავე 30 აგვისტოს, ხუთშაბათ საღამოს საზეიმო სუფრები გაიშალა - მარჯვენას უქებდნენ ილიას მკვლევლებს, შეზარხოშებულნი დამბახასაც ისროდნენ ილიას მკვლელთა პატივისცემად...

მაგრამ მალე ერთბაშად იფეთქა ეროვნულმა გრძნობამ, თითქოს ძილ-ბურანისგან გამოფხიზლდა თბილისი და მთლად საქართველო: ყველანი ხელს მესამედასელებისკენ იშვერდნენ... „გველის წიწილები!“,- ასე შეამკო ისინი თვით მათმა „კლასობრივმა ძმამ და ქართული მარსელიოზას - „მეგობრებო წინ, წინ გასწით!“, ავტორმა, პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა, ფილიპე მახარაძეს ეძებდნენ ლინჩის წესით დასასჯელად...

ის დღეები საგურამოს გზა ხალხს ვერ იტევდა. აჭარიდან კახეთამდე ჩამოდოდნენ დეპუტაციები, ფშავ-ხევსურეთიდან ცხენოსნები, თითქოს ომიად დარაზმულნი მოდიოდნენ ვაჟას მეთაურობით... „გველის წიწილები“ კი აქეთ-იქით მიიმალნენ ვინც საით მოასწრო, ბერბიჭაშვილი სომხეთსა და მერე ირანში გააპარეს, მაგრამ სხვა „კილერები“ ვეღარ მოასწრეს - მეეტლე ლაბაურს უცბად „დააფქვევინეს“ დანარჩენებიც და ყველანი სწრაფად დაიჭირეს...

ესეც კიდევ ერთი აბსურდი ჩვენი ისტორიისა, წიწამურის სვეტზე რომაა დაფიქსირებული: თურმე თვითმყოფელობამ, „ოხრანკის აგენტებმა,, (მახარაძის შემოგდებული ვერსია) მოკლეს ილია და მათვე დაიჭირეს თავისი აგენტები ასე სწრაფად და ჩამოახრჩვეს?!... რუსეთს და მის სპეცსამსახურებს ცოდვების მეტი რა აქვთ დღემდე ერთმანეთზე უარესი სისხლიან-ცრემლიანი, მაგრამ წიწამურის ცოდვა მისი არაა-უბრალოდ არ აწყობდათ რევოლუციის მოძულე

კაცის რევოლუციის დროს მოკვლა, ყველაფერი ეს ჩვენი ისტორიის მორიგი „თეთრი ლაქა“...

საგურამოდან თბილისში ილიას ცხედრის გადმოსვენებაზე ბევრი მოგონებაა და აი, ერთ-ერთი თვითმხილველი დავით კასრაძე როგორ აღწერს ამ საყოველთაო ეროვნულ გლოვას:

## რა მოხდა? რაშია საქმე? რატომ აქვითინდა ხალხი?...

„თავი პროცესისა თბილისს რომ მოუახლოვდა, ბოლო ისევ საგურამოსთან იყო... თბილისის კართან ჩერდება პროცესია და აქვე სამღვდელოება იხდის პარაკლისს. ვინ იცის რამდენი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში არ წაიშლება ერთი ორატორის სიტყვა... ის იყო ფართო მხარ-ბეჭიანი ვაჟკაცი - მწერლობაში „ელეფთერიძის“ სახელით ცნობილი ილია ზურაბიშვილი. მისი სიტყვა იყო მეტისმეტად მგრძობიარე და პოეტური. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორ აქვითინდა ეს ზღვა ხალხი, როდესაც ორატორმა ილიას შესჩივლა:

„ახლა რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მომჩივან ალაზანს?! . რა ხმა მივაწვდინოთ შენს ყვარლის მთებს?! რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ვაზი ობოლი?!... - სდუმხარ, სდუმხარ?! თუ ეგრეა, იგლოვე, იგლოვე, მდუმარედ შენ ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები - ეგ იქნება ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი! ხოლო, შენ ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი!“...

აგრძელებს დაკრძალვის აღწერას:

„დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა ნაირ-ნაირი გვირგვინებით, რომელთა შორის ცხრა გვირგვინი სულ ვერცხლისა იყო. ძვირფას ცხედარს ბალაგახინით მოასვენებდნენ. რამდენიმე გუნდი გალობდა... ტაძრამდე მალაზიები დაეკეტათ, ფანჯრებიდან შავი დროშები გადმოეფინათ... 9 სექტემბერი ტაძრიდან გამოსვენების და უკანასკნელი გამოთხოვების დღე იყო...“

მგოსნის გვამი გამოასვენეს ნიკო ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ, არტურ ლაისტმა, ქალაქის თავმა... აი, მივადექით ძაძით შემოსილ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, უცბად გაისმა:

- აკაკი, აკაკი...

აგერ, მხრებში შესდგომიან ავადმყოფს ცხვედაძე და გუნია - „ოლიმპიელი!“ - აი, რა შეგვეძლო გვეთქვა. აკაკის ზევსურმა სიდიადემ ხელად ჰიპნოზით შეიპყრო ხალხი...

- ნუ მიწამლავთ მოხუც გრძნობას - ასეთი თილისმური სიტყვით დაიწყო მან და ამ ფრაზით შეამკო ყველა აზრადი შავი არშიით... დაამთავრა სიტყვა აკაკიმ და აქვითინდა... ყველანი აცრემლდნენ...

ბოლოს არ შემიძლია არ აღვიდგინო ილიას დასაფლავების უკანასკნელი სურათი: სამარის თავთან წამოდგა თმებშევერცხლილი მანდილოსანი - სახიერება ქართველი დედისა. ეს იყო ნინო ნაკაშიძე. ის არ სტიროდა... იდგა, როგორც მწუხარე ქანდაკება.“

ეს მართლაც, საოცარი სურათი ილიას დაკრძალვისა, ერთს გვეუბნება და გვახსენებს ყველას, ერსაც და ბერსაც, მერე 1910 წელს მიხაკო წერეთელმა რომ გააჟღერა მონოგრაფიაში - „ერი და კაცობრიობა“:

რაც არ უნდა მოხდეს კაცობრიობის ისტორიაში, ეროვნული გრძნობა, ეროვნული ღირსება და მეობა უკვდავია მუდამ. მას სხვა ვერანაირი ადამიანური გრძნობა ვერ შეედრება...

ასე იყო, ასე არის და ასე იქნება...

## „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება“:

„საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგია...

ცალკე გვინდა გამოვყოთ „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგია და ამასთან, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპიც. ის მთელ ამ თეორიას ერთიან სისტემად კრავს, რაც აუცილებლად უდა გაითვალისწინოს ამ თეორიის მომავალმა მკვლევარებმა...

არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ილია იმ ეპოქის შვილია, როცა ინგლისის „სამრეწველო რევოლუციის“ შემდეგ, მეცნიერება, ტექნიკა, წარმოება და ახალი ტექნოლოგიები საკაცობრიო პროგრესის უმთვრესი მამოძრავებელი ძალა გახდა. თვით ბატონყმურ რუსეთშიც კი, სადაც ნიკოლოზ პირველმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ რევოლუციურ ცვლილებებს, ახალმა სიომ იმპერიაშიც შემოაღწია. ესეც სიმბოლურია, პირველი რკინიგზა რუსეთში ორ დედაქალაქს შორის ილიას დაბადების წელს დაემთხვა. სწორედ მე-

19 საუკუნემ დაიწყო ის ინტეგრაციული პროცესები, რაც დღესაც გრძელდება გლობალიზმის სახით....

1899 წლის 31 დეკემბრის სტატიაში - „მეცხრამეტე საუკუნე“, ილიამ მისებურად მოკლედ და ლაკონურად, მაგრამ აზრის და ანალიზის დიდი სიღრმით შეაჯამა ყოველივე ეს. უფრო ადრე არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა მეცნიერებას და ინოვაციურ აზრს: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება და აზრისა კი არა. ამ აზრის უკვდავებაშია კაცობრიობის უკვდავებაცა.“

და გადაჭარბება არაა, თუ ვიტყვით - „ამ აზრის უკვდავებაში“ ილიამაც თქვა თავისი სიტყვა, სიტყვა, რომელსაც, რაც დრო გავა, ექვი არაა, ფასი სულ უფრო მოემატება. ამის მაგალითი მისი ეს დიდი იდეაა - „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“...

ყველას გვახსოვს ნობელიანტის, თანამედროვეობის უდიდესი ფიზიკოსის და ფილოსოფოსის ნილს ბორის თეზა-ფორმულა: „დაპირისპირებულნი ურთერთგამომროცხავნი კი არა, უერთიერთშემავსებელნი არიან“. ნილს ბორი დაბადებულიც არ იყო, როცა ილიამ სხვა სიტყვებით, მაგრამ აბსოლიტურად იგივე გააზრებით გვითხრა ის, რაც ნებისმიერი პროგრესის არსია... დიახ, ბუნებაც და საზოგადოებაც მხოლოდ ამ გზით და ამ პრინციპით შეიძლება არსებობდეს და განვითარდეს...

აი, ამონარიდი მისი სიტყვიდან გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე, რომ წარმოთქვა:

„ქვეყანა ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის... ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად და ეს მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება გახსნილი, იგი ნება-უნებლიედ ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად ....

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვითია ამ წუთისოფელში... დარომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არა არის - რა, გარდა მეცნიერებისა და სარწუნოების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“.

ეს არ დაგვავიწყდეს, ის ეპოქაა, როცა თვით ევროპაშიც კი გაბატონებულია თვალსაზრისი - სადაც მეცნიერებაა, იქ რელიგიას არაფერი ესაქმება და პირიქით. „დაპირისპირებათა ბედნიერი მორიგება“ შემდეგ „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგია და



უპირველესი ზოგად-სოციოლოგიური პრინციპი გახდა....

ამიტომ ვამბობთ, რომ ილიამ თავის ეპოქას გაუსწრო - მსოფლიო პრეზიდენტად გამოდგებაო, ტყუილად არ ითქვა... ეს უდაო ფაქტია და მას ჩვენ თუ არ მივხედავთ, სხვა არავინ შეიწუხებს თავს. ეს ალბათ, ევროპულ ენებზე ილიას თარგმანით უნდა გაკეთდეს: უნდა ვაჩვენოთ ევროპას, რომ დღეს ჩვენ იქ ცარიელი ხელებით არ მივდივართ...

## არაუშავს-რა: ერთი-ორი მათრახი თქვენს ანაფორასაც მოხვდეს....

ერთი კიდევ ილიასეული აზრიანი იუმორიც, რუსული იმპერიული რეჟიმის რეაქციულ სულს რომ აშიშვლებს მისებური სარკაზმით. აი ამ მხრივ ივანე ბუქურაულის ერთი საგულისხმო მოგონება:

„1905 -1907 წლების რევოლუციის დროს ალიხანოვის კაზაკები მძვინვარებენსაქართველოში...გააქტიურდნენსაეკლესიომოღვაწენიც, კრებას-კრებაზე მართავდნენ ავტოკეფალიის დასაბრუნებლად. ერთ-ერთ მათგანზე ილიაც მიიწვიეს...“

- უცბად სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი კარებისკენ იყურებოდნენ... დარბაისლურად, დინჯად შემოვიდა ილია, დაჯდა ჩემს ახლოს, ისე, რომ ჩემი მუხლი იმის მუხლს ეხებოდა. ბედნიერი ვიყავი... მის ნაწარმოებებზე აღვიზარდენით... წამოდგა თავმჯდომარე და ილიას მიმართა:

- ბატონო ილია, მოგეხსენებათ როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დაგვარიგეთ, გვითხარით როგორ მოვიქცეთ?...

- ილიამ სთქვა: - გული სუსტად მაქვს, ბევრს ვერ ვილაპარაკებ... აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული. ჯერ კანონიერად მოიქეცი, მიმართეთ ეგზარქოსს, მეფის მოადგილეს და თუ არაფერი გამოვა, არაუშავს - რა, ერთი-ორი მათრახი თქვენს ანაფორებსაც მოხვდეს...

ბევრმა ხანმა არ გაიარა, ისევ შეიკრიბნენ სასულიერო პირნი, მისცვიდნენ კაზაკები ერთ-ორი მათრახი კი არა, სულ ბურტყელი ადინეს მათ ანაფორებს...“

## - კიროვს ეწყინება!...

ბევრჯერ თქმულა - ხელახლა დასაწერი XIX – XX საუკუნეების კოლონიური საქართველოს ისტორია. აქ იმდენი აბსურდები და „თეთრი ლაქები“, ვერ დაითვლის კაცი. 1919 წელს, დამოუკიდებლობის ჟამს, ივანე ჯავახიშვილმა მოკიდა ამ საქმეს ხელი და თვითონ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით გააშიშვლა რუსული იმპერიული სული, როგორ ვერაგულად მოატყუეს „გეორგიევსკის ტრაქტატით“ ერეკლე მეფე, გაავებული აღა-მაჰმად ხანის პირისპირ რომ დატოვეს შეგნებულად, მაგრამ მერე ბატონ ივანეს გაგრძელების უფლება აღარ მისცეს ასეთი არგუმენტით - „კიროვს ეწყინებო“ ...

არადა, ჩვენთვის, ქართველებისთვის რეიგანის „ბოროტების იმპერია“ სწორედ „გეორგიევსკი ტრაქტატით“ იწყება და ცოტა უფრო ადრეც - ტოტლებენით. ასე გამოვიარეთ მთელი XIX, მერე კი XX, საუკუნეც და ალბათ, ბევრს გვახსოვს 1983 წელს რა დიდი ზარზეიმით ვიდღესასწაულეთ 200 წლისთავი „ტრაქტატისა“, რომლის გაუქმებით ვარლამ ჩერქეზიშვილმა ჯერ კიდევ 1907 წელს ჰააგის საერთაშრისო კონფერენციას მიმართა...

ეს ძველი თეზა კი, - კიროვს ეწყინება, მკვიდრად ზის ჩვენს ფსიქიკაში დღესაც: კიროვი აღარაა, მისი სახელობის ქუჩაც კი, საიდანაც ფაქტიურად მართავდა ქვეყანას, თავზე გადაგვახიეს კიროვის 1920 წლის „საქართველოს დამოუკიდებლობის ხელშეკრულებაც“ სულ რაღაც 9 თვეში, მაგრამ სიმართლის თქმა ახლაც გვიჭირს. თუ რატომ, ძნელი ასახსენლია. არადა, სიმართლის გარეშე, ხომ არც კაცი ფასობს კაცად და არც ქვეყანა ქვეყნად...

ერთ-ერთი ასეთი აბსურდი და „თეთრი ლაქა“ ჩვენი უახლესი ისტორიისა, ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის პირველი პატრიარქის კირიონ II მკვლელობაა, „მეორე წიწამურად“ რომ მოინათლა მაშინ: 1918 წლის 27 ივნისს დილით ტყვიით განგმირული ნახეს, მარტყოფის ეკლესიაში წინა დღით სალოცავად წასული, თავთან ჩაკეტილი რევოლვერი ედო, საიდანაც ბუნებრივია, ტყვია არ გასროლილა, - გამორჩათ მის მკვლელებს!

ვითომ გამოძიებაც დაიწყო, კვალი აშკარად ყოფილი რუსი ეგზარქოსის ქართულ-რუსულ გარემოცვასთან მიდიოდა, მაგრამ აქაც - კიროვს ეწყინებო და „თვითმკვლელობის“ დასკვნა მაშინდელი დასკვნად რჩება დღესაც. არადა ყველამ იცოდა მარტყოფშიც,

თილისშიც და საქართველოშიც - ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო, სხვანაირად ხომ სიონშიც არ დაკრძალავდნენ?!...

არსებობს მასალები, რომლებითაც შეიძლება 100 წლის შემდეგ მაინც ამ აბსურდისთვის ფარდის ახდა. მოტივიც მკვლელობისა სრულიად ნათელია - მას არ აპატიეს 1910 წელს რუსეთისთვის სამარცხვინო სილის გაწნა და ისტორიული სიმართლის თქმა: რუსული „ლეტოპისი“ ქართული „ქართლის ცხოვრების“ უნიჭო გადმომღერებაა, მისი თავისებური კომპილაციაა თვითონ ჩვენივე ქართველების ხელით და დახმარებით, ისე როგორც ჩვენი დიდი მოღვაწის პეტრე იბერის წმინდანობიდან „მწვალებლად“ გამოცხადება, დღესაც რომ უცილობელ ჭეშმარიტებად გვაქვს გაკანონებული, ღმერთმა იცოდეს, რატომ და ვის სჭირდება ეს ? ...

ვინც 1910 წლის ეპოსკოპოსკირიონის წიგნში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ ავტორის წინასიტყვაობას ყურადღებით წაიკითხავს, მისი მკვლელობის მოტივიც გასაგები გახდება - იგი ხომ, ისე როგორც მთლიანად წიგნი, რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის დოკუმენტური მხილებაა!, თანაც, არ დაგვავიწყდეს, ავტორი მას თვითონ რუსეთის სხვადასხვა ეპარქიების საცავებიდან წლების მანძილზე რუდუნებით ამოკრეფილი მასალებითაა გაჯერებული და წიგნიც ხომ მაშინ რუსულ ენაზე გამოიცა?! ჰოდა, მოტივიც მკვლელობისა მეტი რაღა გინდათ.... „მწვალებელ“ პეტრე იბერზეც რა წერია ამ წიგნში და ყველაფერი ნათელია, ისე როგორც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მოტივიც დღეს. . .

ჩვენი ისტორია და მომავალიც გვავალდებულებს, რომ ამჯერად მაინც სიმართლე ვთქვათ: დღეს დარწმუნებყული ვიყოთ რომ - „კიროვს აღარ ეწყინება“- საამისოდ აღარ სცალიათ ეხლანდელ „კიროვებს“, ისედაც ბევრი საწყენები დაუგროვდათ აქეთ-იქიდან...

კიროვი და კიროვები მოუსავლეთში იყვნენ, მაგრამ ჩვენ ხომ დღეს, მადლობა ღმერთს, ვართ და უბრალო მარტივი ლოგიკა გვკარნახობს ელემენტარულ პასუხს კირიონ II მკვლელობაზე:

ან სიმართლე ვთქვათ, ან თუ ისევ „თვითმკვლელობის“ ჭკუაზე ვართ, სიონიდან გამოვასვენოთ...

- რაც არ უნდა მოხდეს, არ ეომოთ რუსეთს...  
„ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს...“

რუსული ფსიქიკის ბრწყინვალე მცოდნემ, „მგზავრის წერილებში“ გვიჩვენა ეს რუს ოფიცერთან დიალოგში... მისი იდეალი გიორგი ბრწყინვალე იყო, ხმლის მოუქნეველად რომ მოაშორა ხალხს და ქვეყანას მონღოლთა უღელი...

რა გავიგეთ და გავუგონეთ ილიას, რომ ეს გველო ყურად... იმპერია კი იმპერია იმიტომაა, რომ იმპერიული „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა მოგვახვიოს თავს და ჩვენც არ დავახანეთ: ერთი წელიც არ ვაცალეთ ქვეყანას დამოუკიდებლად არსებობა და უკანასკნელი ბრიყვივით წამოვეგეთ ამ იმპერიულ ანკესს...

XX საუკუნეც რუსეთთან ომით დავამთავრეთ და მომდევნოც ხომ ამით დავიწყეთ... ქართველოფობობა საერთოდ, იმპერიის თანამდევნი პროცესია, განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო სტალინისა და ბერიას შემდეგ. ხრუმშოვი ხომ გასახლებასაც კი გვიპირებდა შუა აზიაში, სუსლოვმა კი ასეთი „ფრთიანი ლოზუნგით“ გამოსახა ეს - “Чтоб „каждо“ больше не было здесь,“ აფხაზურ-ოსური სეპარატიზმიც მათგან იღებს სათავეს...

აღბათ, მომავლის ეს პროცესები ჰქონდა ილიას მხედველობაში, როცა რუსეთთან ომის პერსპექტივისაგან გვაფრთხილებს ქართველებს. „ცხრა“ ჩვენთვის საკრალური რიცხვია და 9 მარტი და 9 აპრილიც სიმბოლოურად ამას უსვამს ხაზს. ახლაც ისე აფათურებს ხელს კრემლი ჩვენს საქმეებში, კიდევ რაღაც ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს. მას არც ახალი ორჯონიკიძე-შევარდნაძეების გამოძებნა გაუჭირდება. აკი, შევარდნაძე რომ ჩამოიყვანეს „პუტჩისტებმა“, თვითმფრინავის ტრაპიდანვე ასეთი სამადლობელი სიტყვებით მიმართა გამსახურდიას დამამხობლებს - „მადლობელი ვარ ქართველი ინტელიგენციის, რომ ამ მძიმე ჟამს იარაღს მოკიდეთ ხელი“...

თურმე ნუ იტყვით, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომს „გმირები“ ჰყავს, თანაც დიდი „ეროვნული გმირები“, მადლობით რომ ვიხსენიებდეთ მარად... დღეს კი ვეძებთ, ვინ და რატომ მოკლა ზვიად გამსახურდია - არ ვიცით, რა უნდა დავუძახოთ ამას, თუ არა პატრიარქ კირიონის მსგავსად, ისტორიის გაყალბება და ქვეყნისთვის თვალში ნაცრის შეყრა:

ეს ხომ მთელმა საქართველომ იცის, გამსახურდიას რომ ფეხდაფეხ

დასდევდნენ შევარდნაძისტები, ბოლოს აცნობეს სამეგრელოდან: ველარსად გაგვექცევა, დღესვე შეგვიძლია გავბაწროთ და თბილისში ჩამოვიყვანოთ. პასუხი კი შევარდნაძისგან ასეთი იყო: „მე ცოცხალი გამსახურდია არაფერში მჭირდება“...

მართალიც იყო, ალბათ დავალებაც ასეთ ჰქონდა მოსკოვიდან - აფხაზეთის ჩაბარებასთან ერთად, ზვიადიც უნდა გაექრო. არალეგიტიმურ ხელისუფალს ლეგიტიმური ხელისუფალი ცოცხალი რაში სჭირდებოდა?!... აქაც დაემთხვა იმპერიის და შევარდნაძის ინტერესები...

გადის 25 წელი ამ „თვითმკვლელობიდან“ და თითქოს ძნელი და შეუძლებელი რამ არის მკვლელობის მოტივის დადგენა?! ეს ხომ უკვე ერისა და ისტორიის დაცინვაა: შევეკითხოთ ნებისმიერს - ყველა იტყვის მოტივს მკვლელობისას შეუცდომლად და ჩვენ რა გვემართება?! ხელისუფლება რის ხელისუფლებაა, თუ ერს და ქვეყანას სიმართლეს დაუმაღავს?! ისტორიას კი მოგეხსენებათ, სიმართლე უყვარს, ტყუილს ვერ იტანს...

აკი თქვა გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელმაც - „ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს“... ისტორიასთან ხუმრობას კი არავის ვურჩევთ...

ამას გვასწავლის ილია მართალი და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია...

## „საერთო ნიადაგის“ თეორია: ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები

არჩილ ჯორჯაძედან მოყოლებული, ყველა, ვინც კი, „საერთო ნიადაგის“ თეორიას შეხებია, უკლებლივ მის უნივერსალურ ხასიათს უსვავს ხაზს. მართლაც, მისი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს. შემდგომისთვის ყველაფერ ამას სპეციალური გააზრება და კვლევა სჭირდება და რაც მთავრია, მოცემული კონკრეტული ეპოქის გარემო-პირობების მოთხოვნილებებისადმი ადაპტირება. ეს ამასთან იმის გათვალისწინებითაც, რომ იგი მარტო ეროვნული მოვლენა არაა და თანაბრად ეხება რეგიონულ და გლობალურ პრობლემებსაც...

თუ ზოგად-სოციოლოგიური თვალთახედვით მიუდგებით

პრობლემას, ცხადია, რომ მას წარმოშობისა და განვითარების წინაპირობები და მიზეზები აქვს. ისტორიულად იგი თან სდევს ჩვენს ეროვნულ განვითარებას. დოკუმენტური და წერილობითი სახით პირველად მას პეტრე იბერთან ვხვდებით, მის ქადაგებებსა და ეპისტოლეებში. „იბერიკა“ - ასე შეიძლება ეწოდოს მთელ მის მემკვიდრეობას...

„საერთო ნიადაგმა“, ჯერ როგორც იდეამ დიდი გზა გამოიარა, სულ მინიმუმ 1600 წელი. პეტრე იბერის ნეოპლატონურმა იდეებმა შემდეგში ასახვა ჰპოვეს ჩვენს განთქმულ „ათონურ სკოლაში“, მერე რუსთაველთან და „ძნელბედობაგამოვლილმა“ დღემდე მოაღწია ილიას მეშვეობით...

მოაღწია არა მარტო როგორც ქართულმა ფენომენმა, არამედ ევროპულმაც და ზოგად-კაცობრიულმაც: დღეს თითქმის აღარ არსებობს ექვი, რომ „არეოპაგიტიკის“ ნაცვლად ევროპული რენესანსის იდეოლოგიური საფუძველი „იბერიკაა“. ჯერ კიდევ 1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა რიჩარდ რააბემ გამოაქვეყნა შრომა ასეთი სათაურით: „პეტრე იბერი: V საუკუნის საეკლესიო და ზნეობრივი ისტორიის სურათი“. დააკვირდით რააბეს ამ ფორმულას - „ზნეობრივი ისტორია“...

„ზნეობრივი“ შემთხვევით არ არის ნახსენები აქ: მართლაც ყველა ავტორი - ქართველი, თუ უცხოელი, ვინც კი, შეხებია პეტრე იბერის (410-491) მოღვაწეობას, ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდ ზნეობრივ და სულიერ ძალას, რომელიც ახასიათებს ამ პიროვნებას:

12 წლის ასაკში, იგი როგორც იბერიის ტახტის მემკვიდრე, მამამ, ვარაზ ბაკურმა ბიზანტიის იმპერატორის მოთხოვნით მიმევლად და აღსაზრდელად გააგზავნა კონსტანტინეპოლში. იქ მან მიიღო ბრწყინვალე განათლება, ეზიარა ანტიკურ და ქრისტიანულ კულტურას, ერთ-ერთი ხილვის დროს ესმა ქრისტეს მოწოდება-სიცოცხლე მიეძღვნა პალესტინის საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობისადმი და თავის აღზრდელ იოანე ლაზთან ერთად გაემგზავრა პალესტინას: მიატოვა სამეფო ტახტი, ყველაფერი ამქვეყნიური და მთელი სიცოცხლე ამ მოწოდების ერთგულებაში გალია...

„არეოპაგიტიკის“ ნაცვლად „იბერიკა“ - ასეთი უნდა გახდეს ჩვენი მოთხოვნა, რასაც ზურგს უმაგრებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევები: რ. რააბეს შემდეგ არაერთმა მეცნიერმა გააკეთა მსგავსი დასკვნა, დღემდე „იბერიკას“ კიდევ 22 ჰიპოთეზა მიეძღვნა, ხოლო ორმა მეცნიერმა, ქართველმა - შალვა ნუცუბიდიემ და გერმანელმა -

ერნესტ ჰონიგმანმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წამოაყენეს იდეა „იბერიკის“ ოფიციალურადა დაკანონების სასარგებლოდ. სულ ახლახან აშშ-ის კათოლიკურ უნივერსიტეტში კორნელია ჰორნიმ დაიცვა დისერტაცია თემაზე - „პეტრე იბერი V საუკუნის პალესტინის ქრისტიოლოგიურ დაპირისპირებაში“. „მსოფლიო მეოხი და ქართველი ერის სიქადული“ - ასე ახასიათებს მას იოანე პეტრიწი, დახასიათება, რომელიც გვავალდებულებს იუნესკოს მეშვეობით „იბერიკა“ მსოფლიოს სულიერი საგანძურის კუთვნილება გავხადოთ...

ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში, იქ, სადაც იგი ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილებას ეხება, წერს: „დაუჯერებელია ქართულ წყაროებში ასეთი დუმილი პეტრე იბერზე“ და თვითონვე ხსნის ამ დუმილს თეზისით პეტრე იბერის მონოფიზიტობის შესახებ. მაგრამ ისმება ლოგიკური კითხვა: თუ სომხურმა ეკლესიამ, მერე კი რუსულმაც ამას ჩაჭიდა ხელი, ამ მოტივით პეტრე იბერი „მწვალებლად“ გამოაცხადეს, მაშინ ხომ, თვითონ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას იგი წმინდანად უნდა გამოეცხადებინა?! რაშია საქმე - ...რადაც თავი და ბოლო არ უდგება ერთმანეთს... აქაც ცხადზე ცხადია, რა ინსუნაციებთან გვაქვს საქმე...

ამასობაში, რუსეთმა ისარგებლა ამ ვითარებით, როგორც სჩვევია საბაბად გამოიყენა და ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩვენზე ეკლესიის ხელით „მონოფიზიტი პეტრე იბერი“ წმინდანობიდან „მწვალებლად“ გამოაცხადა, რაც როგორც გინდათ არ გაგიკვირდეთ, დღემდე გრძელდება, თითქოს რუსეთი კვლავ ბატონობდეს ჩვენზე.... ისე, რომ სანამ რუსეთი 1801 წელს ფიზიკურად დაგვიპყრობდა, მან იდეურად გაგვაიარაღა...

ჩვენ ვიზიარებთ კ. ჰორნის დისერტაციის პათოსს „თეოლოგიის მიღმის“ შესახებ, არ გამოვეკიდებით ამ შემოგდებულ პრობლემას პეტრე იბერი დიოფიზიტი იყო, თუ მონოფიზიტი და აქცენტს „საერთო ნიადაგის“ მის იდეურ მემკვიდრეობაზე გადავიტანთ: რა მოგვცა ამ მხრივ მან, რაც მერე ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენი ყველა დიდი ერისკაცის ფიქრის და განსჯის საგანი გახდა და რაც ილიამ „საერთო ნიადაგის“ თეორიად აქცია და განავითარა?...

პეტრე იბერის სამივე ბიოგრაფი ერთხმად აღნიშნავენ მისი ქადაგებების უმთავრეს არსს: „დაპირისპირებულთა გონების განწმენდას“, „მშვიდობისმყოფელობა და არა კაც ჰკლა“, „შეიყვარე მტერი შენი“, „საერთო ნიადაგი - ერთიანი მსოფლიო და ერთიანი ზნეობა კაცთა“ და „ღვთისმოშიშობა“... ამაზე აგებდა თავის ქადაგებებს მაშინაც ათასნაირად განყოფილ და ერთმანეთისადმი სამტროდ

დაპირისპირებულ V საუკუნის პალესტინაში...

ამიტომ უყვარდა უბრალო ხალხს, ამიტომ აღიარა იგი გარდაცვალებისთანავე სამივე ეკლესიამ - ქართულმა, ბერძნულმა და ასირიულმა წმინდანად, ამიტომ არ წყდებოდა ხალხის ნაკადი მის ცხედართან „მთელი სამი დღე და ღამე“...

და ესეც ცხადია, მერე და მერე შურმა და ბოლმამ თავისი სიტყვა თქვა. ამ შემთხვევაშიც ხომ, „შური არს მწუხარებაი“... ისე, როგორც ვაჟა ფშაველას ფორმულაც - „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, მაგრამ სიმართლე ამ შემთხვევაშიც უძლეველია:

„საერთო ნიადაგის“ იდეაც და თეორიაც დღესაც ეროვნული, რეგიონალური და გლობალური განვითარების სტრატეგიად რჩება და ამდენად, ჩვენგან ინტენსიურ კვლევას მოითხოვს...

ამ თეორიის ზოგად-სოციოლოგიურ პრინციპებს თეზისების სახით ასე ჩამოვთვლით:

1. ილიას მიაჩნდა, რომ ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას ალტერნატივა არა აქვს: „ცხოვრება თვითრჯულია. იგი არ გამოიჭრება კაცისგან მოგონილს რიკ-რიკაზედ“.

2. „ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის“. ილიასთან სულიერების პირველადობას, ზნეობას და ზნეობრივ ძალას ალტერნატივა არა აქვს.

3. „ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოშობოთ მკვიდრად“. ამ მიზნით უნდა გავიგოთ და გავითავისოთ, თუ - რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“...

4. „ჩვეულებითი და ბუნებითი სამართალი უფრო მისაღებია ხალხისათვის იმიტომ, რომ იგი ხალხისაგან არის შექმნილი“. ამიტომ მისი გამოყენება აუცილებელია ნებისმიერი ეპოქის კანონმდებლობაში.

5. „ერი უძლეველია საერთო ნიადაგზე დგომით და ერთნებობა-თანადგომით“. ამიტომ ერის გახლეჩის ნებისმიერი ცდა სახელმწიფომ ძირშივე უნდა აღკვეთოს: „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.

6. „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“. ამის გარეშე ქართულ სახელმწიფოს განვითარება არ უწერია.

7. „აგრარულ-ინდუსტრიული განვითარება ქართული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიაა“.

8. „ქართველი გლეხი და ქართული სოფელი - ჩვენი ეროვნული იმედების სული და გულია“. ძველი საქართველოს „ხოდაბუნური“ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების აღდგენა და „საგლეხო ბანკი“.



ქვეყნის დაუსახლებელ მიწებზე „ახალ დასახლებათა“ შექმნა...

9. „მთა იყო და მარად უნდა დარჩეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ბალავრის ქვად“. გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მცირე და სამთო მექანიზაცია არის ამ მიზნის მიღწევის მატერიალური ბაზა.

10. „ქართველ კაცს არასოდეს მოუსურვებია სხვა ეროვნებათა და სარწმუნოებათა დევნა“. ამ ქართულ ტოლერანტიზმს გაფრთხილება უნდა.

11. „საერთო-კავკასიური კონალობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა“. საქართველო და კავკასია მხოლოდ ერთობლივად შეძლებენ პროგრესს.

12. „კაცობრიულის კულტურის მდინარებას არც ჩვენ გავხდომილვართ ცარიელ მოწმედ და მაჩანჩალად“. გლობალიზმი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების დღევანდელი ეტაპი, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. საქართველო უნდა დაუბრუნდეს თავის ევროპულ წიაღს საკუთარი ისტორიით და ღირებულებებით.

ამ პრინციპების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსისა და მისი კონკრეტული სამოქმედო პრინციპების გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევა. ეს მეტად შრომატევადი საქმეა, მაგრამ ამასთან, აუცილებელი და საჭირო საქმეც, რამეთუ მის გარეშე სწორი პოლიტიკური სტრატეგიული ხედვა შეუძლებელია.

### ილია და ოლღა:

„უმაღურობავ“, წიწამურის სახელი უნდა გერქვას შენ!

კობტა აფხაზი იხსენებს: ილია 14 წლის იყო როცა პირველად გამიჯნურდა... მაგრამ სასიყვარულო გატაცებათა ჭაბუკურმა ასაკმა რომ გაიარა, ილია 25 წლის იყო და ბედმა ოლღას შეახვედრა. გრიგოლ ყოფშიძე წერს:

„ილიას გული ეძებდა თანამგრძნობს, ცხოვრების მეგობარს, მეუღლეს... ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი 20 წლის, დედით ობოლი ...ჯვრის წერის წესი შეუსრულებიათ სამების ეკლესიაში, ყოვლის ცერემონიის გარეშე... ნათესაობა თითქმის სულ არავინ ყოფილა, სულ ორის ეტლით მისულან. ეტყობა თადეოზ გურამიშვილს, დიდ და გოროზ მემამულეს, სასიამოვნოდ არ დარჩენია, რომ მისი

ქალი შეირთო მცირე მამულ-დედულის პატრონმა”...

სანიმუშო იყო მათი მეუღლეობა და მეგობრობა, ასე იშვიათი რომაა დღეს. ოღლას გარეშე, მისი ხელშეწყობის გარეშე, ილია ასეთ მდიდარ მემკვიდრეობას ვერ დატოვებდა- წერს ლაისტი და იქვე ამასაც აღნიშნავს - თავისი ყველაზე საუკეთესო პოემაც - „განდეგილი” ამიტომაც მიუძღვნა მას...

წიწამურის შემდეგ ოღლამ მთელი ქონება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას” გადასცა თბილისშიც და საგურამოშიც. წიწამურის, როგორც უმადულობის სიმბოლოს გამო, მან ფეხი ამოიკვეთა მშობლიური საგურამოდან: სრულიად განმარტოვდა, ღმერთს მიუძღვნა თავი, მთაწმინდაზე დასახლდა, ნახევრად შიმშილობდა, ლოცვასა და ილიას საფლავის მოვლასა და მისი სულის მოხსენიებაში განვლო დარჩენილი წუთისოფელი...

ილლა ილიას ნამდვილი გულის მესაიდუმლე, მისი ფიქრების, მისი განცდების თანაზიარი იყო. უსიტყვოდ უგებდა ყველაფერს , მისი სულის ყოველ მოძრაობას... ერთ ასეთ ფაქტს გადმოგვცემს გრ. ყიფშიძე:

„ოღლა, ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველის-მოქმედი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანი ქმრისა, მადმერთებელი მისი ნიჭისა, სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა, მისი საწყენი არა მოემოქმედა-რა... როცა ილია მუშაობდა, სახლში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, სასტიკი მდუმარება იყო გამეფებული ოღლას წყალობით, არავის შეეძლო ხმაურობა რამ აეტეხნა, თვითონაც სულ ფეხ-აკრეფით დადიოდა...

ერთხელ ილია ისე გაერთო თურმე მუშაობით, რომ თავს დაათენდა და კინაღამ შუადღე მოვიდა, ილიას კაბინეტში კი, ლამპარი ისევ ანთია. კნეინა ოღლა ძალიან შეფიქრიანდა, ვაი, თუ დაემართა რამეო და შიშით ვერც შედიოდა... „ივერიის” რედაქციაში უკვე თავი მოეყარათ თანამშრომლებს და კნეინამ ერთ-ერთ მათგანს მიჰმართა - ასეა საქმე, ლამის შიშით დავილიო, მიშველე რამეო... შეაღეს ილიას კაბინეტი და ასეთი სურათი დახვდათ: ილიას ზურგი შეექცია საწერი მაგიდისთვის და ღრმა ფიქრში წასულიყო, გათიშული, ამქვეყნად აღარ იყო...

ასე იცოდა ილიამ - ბევრჯერ დასთენებია თავს გონებრივი მუშაობით გართულს“.

ესეც თქვენი „ზარმაცი ილია”. აკი, კოხტა აფხაზიც ამას წერს- ილია თბილისშიც და მერე პეტერბურგშიც, სანამ გამოცდები არ მოახლოვდებოდა, ზარმაცობდა, მაგრამ მერე ღამეებს ათენებდა და

ყველაზე კარგ ნიშნებსაც იღებდა... ესეც ხომ, ფაქტია - „ოთარანთ ქვრივი“ ხუთ დღეში დაწერა.

დიახ, გენიოსები ყველგან არაორდინალურნი არიან. ამიტომაცაა, რომ ძნელად ვუგებთ მათ... „ერთიც ეს არის საჭირბოტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავ-ბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფელში“ - აკი, თვითონაც წუთისოფლის ამ ფილოსოფიური გააზრებით ამთავრებს „ოთარანთ ქვრივს“...

და განა წიწამურიც ასეთივე „წყევა-კრულვიანი საკითხავი“ არ არის საქართველოსა და ქართველი ერისთვის?!...

## XX საუკუნე - „წყევა-კრულვიანი საკითხავი“: დაუთვლელი ტრაგედიები, დაუთვლელი მსხვერპლნი...

„უმაღურობას“ მართლაც, რომ წიწამურის სახელი უნდა ერქვას და მის შემდეგ განვლილი ისტორიაც ხომ, ამას გვიდასტურებს: XX საუკუნე „ცოდვიანი საუკუნე“ აღმოჩნდა ჩვენთვისაც და დანარჩენი კაცობრიობისთვისაც. ხუმრობა საქმე ხომ არაა ორი მსოფლიო ომი, ორივენი ერთმანეთზე სისხლისმღვრელნი...

გონიერი და ბრძენი კაცი იმით გამოირჩევა, რომ იგი უფრო შორს იხედება და ილიამაც „თოფ-იარაღში ჩამჯდარ ევროპას“, მის დროს მტრულად დაპირისპირებულ „ანტანტასა“ და „სამთა კავშირს“ ეს ტრაგიკული შედეგები უწინასწარმეტყველა...

მაგრამ მსოფლიოსაც თავი გავანებოთ და ქართული XX საუკუნე ვიკითხოთ, ჩვენი ფოლკლორული სიბრძნეც ხომ ამას გვირჩევს – ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო...

ფოლკლორმა უმაღურობაზე, კაცის დაუფასებლობა – უარყოფასა და განუსჯელობა-დასჯაზეც ხომ ეს თქმაც შემოგვინახა: – დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია... ილიასაც ეხება ეს, კირიონ II, ფიროსმანსაც და სხვა მრავალ ჩვენს წინაპართაც...

„მეორე წიწამურზე“, კირიონ II „თვითმკვლევლობაზე“ - ჩვენი ისტორიის ამ სამარცხვინო ფაქტზე უკვე ითქვა... უცნაური ბედისწერით იმავე 1918 წელს შიმშილსა და უპატრონობა-უმაღურობაში ამოხდა სული ნიკო ფიროსმანს და მერე სანამ უცხო კაცი გვეტყოდა (ჩვენ ხომ, უცხოის ძალიან გვჯერა და გვწამს!), რომ ის გენიოსი მხატვარია, არავინ ვცანით ამაღ და ამდენად, საფლავიც სამეხარი გაგვიხდა...

გოგლა ლეონიძიდან მოყოლებული, დღემდე ვინ არ სცადა, სად, რა საფლავები არ ვთხარეთ, რომელ არქივში არ ვქექეთ, მაგრამ არა და არა: სად იპოვი, უპატრონო მკვდრებს ხომ, მაშინაც და მერეც ათასობით ფლავდნენ სადაც მოესურვებოდათ ფიროსმანთა მსგავს „სხვაგვარად მოაზროვნებს“. მესამედსური საქართველოს საფირმო ნიშანია ესეც...

ეს „საფირმო ნიშანი“ წიწამურის ცოდვების გაგრძელებაა, თვით ამ ჩვენს თაობებსაც რომ გადმოგვყვა შევარდნამე-სააკაშვილის რეჟიმის ჟამს. არავის გაუკვირდეს ეს - აბა, ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობა“ რა არის, ანდა, ზურაბ ჟვანიას „გაზით მოწამვლა“ ... ამიტომ ამბობდა ივანე ჯავახიშვილი 30-იან წლებში: „სანამ მესამედსურ საქართველოს არ მოვიშორებთ თავიდან, ახალ საქართველოსაც ვერასდროს ვიხილავთ...“

ფიროსმანსაც დასხვამრავალთაც ისე ტრაგიკულად დავატოვებინეთ წუთისოფელი, სიმართლის თქმაც არ გვინდა დღეს. ერთიანად „გულმავიწყნი“ გავხდით ქართველნი... სიმართლის თქმასაც ვილა ჩვიის, მესამე დასმა ღმერთთან ერთად, სინდისის ქეჯნაც დაგვაფიწა-დაგვაკარგვინა წიწამურიდან დღემდე ყველას...

დიახ, ნიკალას ცოდვაც ყველა ჩვენგანის საერთო ცოდვაა. დღეს კი, სად არ ვიწონებთ თავს მისით ჩვენთანაც და უცხოეთის საგამოფენო სივრცეებშიც, მილიონებად იყიდება ნიკალას ნახატებიც, თვითონ კი, ჭიქა არაყის ნატვრაში ამოხდა სული. ეს კიდევ ერთი „ქართული XX საუკუნის“ პარადოქსი პოეტურადაც ასე შეიძლება იქნას გააზრებული:

სარდაფში ბნელა  
როგორც საფლავში,  
მზეც გემალება...  
ჭიქა არაყიც  
ძველებურად  
კვლავ გენატრება...

ვილას ახსოვხარ...  
მარტოსული ხარ...  
ეულად კვდები  
შენი ფუნჯებით,  
საღებავებით...  
ახლა დუქნებში  
ყანწს ყანწზე სცლიან,

შენთან კი ცივა,  
ძალიან ცივა...

და ცივ სარდაფში  
ნატრულობ არაყს,  
საფლავის კართან  
ერთ ჭიქა არაყს...  
და ეს საფლავიც  
რიყესთან ერთად,  
უკვალოდ გაქრა...

შენს ძვლებს კი, დღემდე  
ვეძებთ და ვეძებთ,  
კუკიაზე, თუ  
პეტრე-პავლეზე...  
შენ ხომ, ეგ ძვლები  
აღარ გჭირდება,  
ჩვენ კი, გვჭირდება  
ეგ შენი ძვლები...

რაღას გვიმაღავ  
ჩემო ნიკალავ, –  
იცი ქართველი:  
მაგ შენი ძვლებით,  
რა შემართებით,  
თავგამოჩენით  
დიდი მოლხენით  
მადლობას გეტყვით  
ქებათა–ქებით...

მაგრამ რას იზამ  
ჩემო ნიკალავ,  
ტყუილს ვერ გკადრებ,  
სიმართლეს გეტყვი:  
ასეთნი ვართ და  
ასეთად ვრჩებით  
„ბედნიერი ერის“  
დღევანდელი  
ნაშიერებიც...

მაგრამ ეგების  
ესეც გაგვიგო  
მიმტვევებლობა –  
დიდსულოვნებით:  
ასეთი არის  
გენის ბედიც –  
ძალიან გვიან,  
ძალიან გვიან  
თუ გვახსენდებით...

ასეთი იყო მაშინაც და მერეც ეს „ცოდვიანი XX საუკუნე“, ღვთის მადლით, რომ მაინც ბედნიერად მოვისტუმრეთ, მაგრამ ესეც ხომ, საკითხავია: როგორი იქნება ჩვენთვის მომდევნო XXI საუკუნე? ამის მინიშნებებსაც შევხვდებით ილიასთან, პოეტურად რომ ასახა „ორ-ხმიან ოპერეტში“...

## „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“ და „ხორო“–ს ფილოსოფია...

ილიასთვის პოეზია ცით მოვლენილი საჩუქარია, ბარათაშვილის ნეშტთან რომ თქვა:

„ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა“. დიახ, ეს „მოვლინება“ ღმერთთან ლაპარაკის ტოლფასია, ჭაბუკობიდანვე რომ ღრმად ჩაიჭიდა გულში:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა,  
ღმერთთან მიტომ ვლაპარაკობ,  
რომ წარუძღვე წინა ერსა“...

კოხტა აფხაზი იხსენებს ასეთ იუმორს ილიას ბავშვობიდან: ასე, 14-15 წლის გიმნაზიელები ვართ და თბილისიდან ზაფხულის არდადეგებს ჩემს სოფელში, კარდანახში ვატარებთ. ერთხელაც მინდორში შორს მოგვიწია წასვლა, შებინდულზე შინ რომ ვბრუნდებოებით, საშინელმა კოკისპირულმა წვიმამ მოგვისწრო და ჩალაუბანში ერთი გლეხის

სახლში მოგვიწია ღამის გათევა... ორივეს ღამე რწყილების მთელი არმია დაგვესია ლოგინში, არა და არ დაგვამინეს... მეორე დღეს კარდანახში ილიამ ლექსი მიუძღვნა ჩვენს ამ თავგადასავალს, მახსოვს ლექსის სათაურიც – „რწყილები“, ბავშვები სიცილით ვიგუდებოდით, ილია რომ ამ ლექსს გვიკითხავდა დიდი პათოსით...

ეს ბავშვობაში, მაგრამ უკვე 60 წელს გადაცილებული ილიას „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“ თავისებურად გვაგონებს გიმნაზიის მოსწავლე ილიას ამჯერად უკვე მესამედასელთა მისამართით მიმართულ მის სარკასტულ „წვიპურტებს“...

მაგრამ რატომ „ორ-ხმიანი“? – იმიტომ, რომ პირველ ხმაში ილია ჯერ თვითონ მესამედასელებს ალაპარაკებთ თავიანთი რწმენითა და იდეოლოგიით, მერე კი, „ხოროს“ სიმართლის ხმით თვითონ ხალხის სახელით მოგვმართავს თავისებური „სიბრძნე-სიცრუის“ მსგავსი მხატვრული ხერხით. „ივერიაშიც“ ხომ, პირველი კრიტიკული წერილი მესამედასელებზე 1895 წელს ასე აქვს დასათაურებული – „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე – სიცრუისა“...

ბევრჯერ თქმულა ილიას სარკაზმზე, მის დიდ ორატორულ ხელოვნებაზე – ბანკის კრებებზე და „ხუთშაბათობებზე“ მისი გამოსვლების რაღაც ჯადოსნურ ძალაზე და „ორ-ხმიან ოპერეტაში“ გაჟღერებული ეს მისი „წვიპურტებიც“ ისეთ ძალას და მნიშვნელობას ატარებენ, რომ მათი ექო მთელ XX საუკუნეს და თვით ჩვენს ეპოქასაც წვდება...

„წვიპურტები“ - ვისზეა ისინი გათვლილი?...

ტომები რომ დაწეროს კაცმა, ისე ვერ ამხელს მესამედასელთა „უცხო ბაზის სენს“, როგორც ამას ილია „ორ-ხმიან ოპერეტაში“ აკეთებს. პოეზიის ძალაც ხომ ესაა – რუსთაველური მოკლე სიტყვით დიდ აზრს გამოხატავდეს. „ოპერეტა“ და მისი „წვიპურტები“ ცალკე დიდი თემაა, მაგრამ აქ მაინც, გავცნოთ რამდენიმეს, მათ შორის, თავის თავზეც რომ სთავაზობს მკითხველს, როგორც „ოპერეტის“ ავტორი და წამყვანი:

„ილია ჭავჭავაძე“:

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,  
ადარ ვარ ჩემსა ნებასა,

ისევ სჯობს სადმე წავიდე,  
ბანკში ურგებად გდებასა.  
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,  
წვერი გამიხდა ჭალარა,  
მე ამა ჭირმა გამტეხა,  
გული დასერა, დაჰლალა.“

„ხორო“:

„ჭირში გატეხა არ უნდა  
თუ კაცი გონიერია,  
წადი, და ყველგან დაგრჩება  
ქვეყანა ღონიერია“.

ამ პოეტურ პწკარედშიც კარგად ჩანს მომავლის ილიასეული ოპტიმიზმი - მის „კარგ ქვეყანას“ ბოლოს „ღონიერის“ ბედი ელის...

ილიას როგორც კაცის სიბრძნე და გენიოსობაც ისაა, რომ იცის: „უცხო ბაძს“ აყოლილთ მართალია, ჯერ დროებითი წარმატება ელით, მაგრამ საბოლოოდ კი, - სრული კრახი. იგი XX საუკუნის საქართველოს ცოდვებს წინასწარ ჭვრეტდა. ეს მისი პუბლიცისტიკიდანაც ჩანს და ამ „წვიპურტებიდანაც“. მას მიაჩნდა, რომ მოსეს ებრაელებივით სანამ „აღქმულ ქვეყნამდე“ მივა, ერს ცდომილებისა და ტანჯვა-ვაების გზა აქვს გასავლელი...

აკი, თვითონვე წერს სარკაზმნარევი იუმორით.

„კვალი“:

„მინდა მაღალი დამდაბლდეს,  
ამაღლდეს დამდაბლებული,  
მდიდარი წყალმა წაიღოს,  
ცხონდეს ლატაკი ვნებული.  
ეს მცნება მე ჩემს დროშაზედ  
მოქარგვით დამიწერია,  
თურმე მის გამო მებრძოდა  
მდიდართა ყმა - „ივერია“.“

ამ შემთხვევაშიც „ხოროს“ პასუხი სიმბოლურია მთელი ჩვენი მე-20 საუკუნისთვის.



„ხორო - ახალგაზრდობას“:

„ჩხრეკავდეთ ყვაავთა ჩხავილსა,  
ბულბულთა ტკბილსა მღერასა,  
ტყუილ ფრაზების რახა-რუხს,  
გულის მართლისა ძგერასა.  
ჭკუათმყოფელთა მოძღვრებას,  
სულელთ უგვანთა ჟღერასა“....

მაგრამ ესეც ვერ „ჩხრეკეს“, ე. ი. ეს ვერ განასხვავებს ტყულ-მართალი და სწორედ ამ ტყუილ ფრაზების რახა-რუხმა და სულელთ უგვანთა „ჟღერამ“ აიყოლია XX საუკუნის თაობები „ამ ქვეყნიური სამოთხის“ ძებნაში. დაბოლოს, ამ „ყვაავთა ჩხავილმა“ ისე ჩაკლა „ბულბულთა ტკბილი მღერა“, რომ ქვეყანა იმ შეპირებული „კომუნისტური სამოთხის“ ნაცვლად, ჯოჯოხეთამდე მიიყვანა.

დღეს ილიას „განაზრახის“ აღსრულების დრო დადგა საქართველოში. პოეტურადაც რომ გააჟღერა ამ „პწკარედებში“:

„ეგ ჟღარუნა არა-მცნება,  
მარტო ბაღლთ საცდუნელია,  
მაგისტანა მალაყები,  
არ ახალია, ძველია“....

საქმეც ისაა, რომ ამ „არა-მცნებას“ და „მალაყებს“ თავის მოტყუების საშუალება აღარ მივცეთ ამ თაობებმა მანინც. რამეთუ ამავე წვიპურტებით, ჩვენ ყველას ილია ამ დიდ სიბრძნეს გვახსენებს:

„გონიერსა მწვრთნელი უყვარს,  
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

კიდევ რამდენიმე შტრიხი ილიას პორტრეტისათვის...

იუმორი რომ ალამაზებს კაცის ცხოვრებას, ეს ვინ არ იცის და ილიას იუმორიც საყოველთაოდ იყო ცნობილი რედაქციაშიც, „ხუთშაბათობაზეც“, ბანკის კრებებზეც, თუ უბრალოდ, სანადიმო

სუფრებზეც.

თვით „ორ–ხმიან ოპერეტებშიც“ აისახა ეს მეგობრულ შარჟებში აკაკისადმი, გოგებაშვილისადმი, ხონელისადმი, გრიგოლ ყიფშიძისადმი, ცხვედაძისადმი, ძმები მაჩაბლებისადმი... მაგრამ ეს მეგობრული ტონი მაშინვე იცვლება, როცა კი „ოპერეტაში“ გიორგი წერეთელი და „კვალი“ გამოჩნდება, „ოპერეტას“ ხომ, სწორედ გიორგი წერეთლით იწყებს:

„გიორგი წერეთელი“:

– მე ვარ და ჩემი ნახატი  
გამთენებელი ღამისა,  
ბებერი, მაგრამ მაინცა,  
თავი ახალის დასისა...

ხორო:

– ბებერსა, სარძლოდ მორთულსა,  
უფრთხილდი, მოერიდეო...

რთული ხასიათის კაცი რომ იყო, ეს ყველამ იცოდა და ოღლადან დაწყებული, ყველა ცდილობდა მასთან ურთიერთობაში ანგარიში გაეწიათ ამისთვის. თუ რამ მოუზომავი სიტყვა წამოცდებოდა, ან, ქცევა–ქმედებას ჩაიდენდა, იცოდნენ – თვითონვე ნანობდა და მერე აუცილებლად მოიბოდიშებდა...

დედ-მამიშვილები: ტრაგიკული ბავშვობის ანარეკლი...

ჩვენ ყველანი ხომ, ბავშვობიდან მოვდივართ და თუ „ნიკოლოზ გოსტაშვილი“ წაიკითხავთ, ნახავთ, როგორ იგონებს თავის ბავშვობას თვალცრემლიანი, იმ დროს, როცა „... ბლარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი...“

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ქვეყნიერებაზედ მარტო და-ძმანი... დღეს იქ, იმ პატარა სოფელში მარტო ხუთი სამარეა, იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, ამასთან, ჩემი ყმაწვილობაცა, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება“.

აი, რატომ არ იხდიდა ილია დაბადების დღეს...

ლექსიც „ძმის სიკვდილზე“ წავიკითხოთ და გასაგები გახდება მისი ხასიათის სხვა ბევრი ნიუანსი, რომელიც ბევრისთვის გაუგებარი იყო და რომელსაც ორიოდე კაცი თუ უგებდა მხოლოდ, პირველ რიგში ოლღა. გრიგოლ ყიფშიძე, როცა ამ საკითხებს ეხება, როგორც თვითონ ამბობს – „ილიას ფსიხოლოგიას“, ერთ საინტერესო დეტალს უსვავს ხაზს: როცა მან 1877 წელს „ივერია“ დაარსა, ის გახდა მისთვის ყველაფერი, მშობლებიც, და-ძმანიც, შვილებიც... მასში ჰპოვა წარსულის დარდის გაქარვებაც, აწმყოს სიხარულიც და მომავლის იმედიც...

„ივერია“ და ილია: როგორია მომავლის „განაზრახი“...

ადამიანის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ გარემომცველ სინამდვილეს კი არა, საკუთარ თავსაც ვერ აღიქვამს სრულად. ეგაცაა, მეცნიერება, ტექნიკა, ტექნოლოგიები ისე განვითარდა, რომ დღეს ადამიანის გონი მზის სისტემას გასცდა, ვარსკვლავთა ახალ-ახალ სისტემებს ეძებს და შეიძლება ის დროც მალე მოვიდეს, როცა დედამიწის გარე-კოლონიზაციაც კი მოხდეს...

ილიასაც უყვარდა ასეთ ფილოსოფიურ პრობლემებზე ფიქრი და ბევრი წერილიც მიუძღვნა მათ „ივერიის“ გვერდებზე, თუმცა სიბერის ჟამს უმადურობამ ეს ინტერესიც დაუკარგა. ოლღაც და ლაისტიც იხსენებენ აგვისტოს იმ საბედისწერო დღეებს:

ადრე თუ დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით კვამათობდით საქართველოს, კავკასიის და ევროპის პრობლემებზე, ეხლა ეს ვეღარ შევამჩნიეთ, საგურამოში ჩატანილ რუსულ-ევროპულ გაზეთებსაც ზერელედ გადაავლო თვალი. ილია თითქოს გამოიცვალა...

დიახ, სრულმა მელანქოლია – განურჩევლობამ მოიცვა მისი არსება... ძნელია როცა ამაგდარ კაცს უმადურობის საშინელი გრძნობა დაეუფლება. პოეზიითაც შეიძლება ამ დამთრგუნველი გრძნობის გამოხატვა:

გულს ძველებურად  
აღარ ერჩის  
მიწის და ცისა,  
მომბეზრდა თითქოს  
ეს ხმაური წუთისოფლისაც,

აზრი დავკარგე  
ნალოლიავ ოცნებებისაც...  
ნუთუ დრო დადგა  
ანგარიშის გასწორებისა  
ნაცოდვილართან ამა სოფლისა...

## მაგრამ ილია მაინც, ილიაა...

კვლავ იხსენებენ ოლღაც და ლაისტიც აგვისტოს თვეს: თბილისიდან შეეხმიანენ – უცხოელი სტუმრები არიან ჩამოსულნი, დიდი ფულის პატრონები და სურვილი აქვთ რამე დიდი იდეის განხორციელებისა ჩვენთან, კარგი იქნება თქვენი აზრის გათვალისწინებაც და მათთან თქვენი შეხვედრა...

უცბად გამოცოცხლდა და მეორე დღესვე წასვლა გადაწყვიტა – ასე იყო ილია: ოღონდ რაიმე ღირებული და სასარგებლო საქმე გამოჩენილიყო ქვეყნისთვის და მზად იყო ყველა სხვა პირადული პრობლემა გადაედო და დაევიწყებინა...

კვლავ ლაისტი: ერთად ვიმგზავრეთ მე, ილიამ და ოლღამ – ჩვენს ჩართვასაც ცდილობდა, – რა აჯობებდა თბილისში გაკეთებულიყო და აშენებულიყო, ქალაქი რომ უფრო დამშვენებულიყო... კვლავ დაუბრუნდა ძველებური ხალისი და ენთუზიაზმი, კვლავ შემომთავაზა – სექტემბერი და ოქტომბერი ხალისიანი თვეებია, აუცილებლად უფრო დიდი ხნით გვეწვიე საგურამოს – მე და ოლღას გაგვეხარდება...

... ვერაზე ჩამოვედი და გამოვემშვიდობე – რა ვიცოდი თუ ეს იყო ჩემი უკანასკნელად მასთან ერთად ყოფნა და ერთად მგზავრობა – წერს ლაისტი, რომელმაც მკვლელობის შემდეგ ტრადიციად დაამკვიდრა თავისებური მონაწილების აქტი - ფეხით მსვლელობა თბილისიდან წინამურამდე...

## ილია – ინტერნაციონალისტი და ჰუმანისტი...

ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უამრავი მოგონებებია შემორჩენილი მათი, ვისაც კი მასთან რაიმე შეხება და ურთიერთობა

ჰქონებია. ალბათ ტომები გამოვა მათგანაც... ყველა ერთხმად აღნიშნავს – ილიას უფრო კარჩაკეტილი ცხოვრება უყვარდა, მაგრამ თუ ვისმე გულს გაუხსნიდა, მათთან კი, სიამოვნებდა სიახლოვე და ურთიერთობა, კამათი და სჯა-ბაასი...

მათგან გამორჩეულად ასახელებენ გრიგოლ ყოფშიძეს, იაკობ მანსვეტაშვილს, ნიკო ხიზანიშვილს და არტურ ლაისტს. ნიკო ხიზანიშვილი ილიაზე 9 თვით ადრე მოკლეს, ამიტომ ვერ მოასწრო მოგონებების დატოვება, დანარჩენებმა კი ზღვა მასალა დაგვიტოვეს ილიაზე, თბილისსა, თუ საგურამოში მისი ცხოვრების ათას წვრილმანებზე, ნაწილი გამოცემული, ნაწილი საარქივო...

რაც შეეხება არტურ ლაისტს და მის „საქართველოს გულს“, აქ მან მეტად ნიჭიერად და რაც მთავარია, სრულად და ობიექტურად გახსნა ილიას პიროვნება, ილიას სულის სიმდიდრე და მისი საიდუმლო წიაღსვლები. მას შემდეგ, რაც იგი საქართველოში დასახლდა, სხვა გერმანელ კოლონისტებთან ერთად, ადვილად შეეგუა აქაურობას, 2–3 წელიწადში სრულად დაეუფლა ქართულს, შესანიშნავად წერდა და ლაპარაკობდა ქართულად, ილიასთან მთელი 22 წლის უახლესი სულიერი სიახლოვე და მეგობრობა აკავშირებდა, მისი ნიჭის დიდი პატივისმცემელი იყო...

საგურამოში ილიას მოსამსახურეებიდან ყველაზე კარგი განწყობა – ურთიერთობა კი, თავის მეფუტკრე დანიელ მასლოვთან ჰქონდა – კაკლის ქვეშ ხშირად ვიჯექით და ვმასლაათობდითო ათას საკითხზე, იგონებს თავის ჩანაწერებში და ერთი შტრიხიც, რომელიც გვიჩვენებს და გვიხსნის, თუ რა სულიერი სიმდიდრის მატარებელი იყო ილია:

„...ჩვენ ვცდილობდით მეფუტკრეობა რაც შეიძლება ფართოდ გაგვეშალა. იმდროისათვის სულ 200 სკა გვყავდა... იყო შემთხვევები, როცა ილია საათობით აკვირდებოდა ფუტკრის ოჯახებს, - აი, ასეთი წესრიგი და გამრჯელობა გვჭირდება ჩვენცო... ის ზედმიწევნით სამართლიანი იყო, არ მახსოვს ვინმესთვის გასამრჯელო დაეგვიანებინა, ან, დაეკლო, პირიქით – მეტობით აძლევდა, თუ ვინმე რაიმეს თხოვდა ისიც და ოღღაც გაუმართავს არ გაუშვებდნენ მთხოვნელს...

– მეურნეობა საკმაოდ დიდი იყო და შემოსავლიანიც, არც ხარჯს ერიდებოდნენ ცოლ-ქმარი, სტუმრიანობაც დიდი იყო, „ილიაობაზე“ - 2 აგვისტოს 300-ზე მეტი სტუმარი იყო მუდამ თბილისიდან, თუ ახლო-მახლო სოფლებიდან, განუსაზღვრელი რაოდენობით იკვლებოდა მსხვილფეხა, თუ წვრილფეხა საქონელი, ფრინველს ხომ, თვლა არ ჰქონდა, ღვინო ადგილობრივიც იყო და ყვარლიდანაც ჩამოჰქონდა,

დამით დარჩენილებისთვის 60 ლოგინი იყო გაშლილი...

– ილიას მეურნეობაში ვინ არ მუშაობდა – თათარი, სომეხი, ოსი, ქართველი, რუსი, გერმანელი, პოლონელი... საქართველოსა და კავკასიაში მცხოვრებნი ყველა ერისა და რჯულისა... არ მახსოვს ილიას და ოლღას რამე განსხვავებული რამ შემენიშნოს მათ მიმართ... ისინი ნამდვილი ინტერნაციონალისტები იყვნენ – ყველასთან ერთნაირად კარგი და გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ, დასჯაზე ხომ, ზედმეტია ლაპარაკი, რასაც ასე უღმერთოდ აბრალებდნენ მტრები...

– თქვენ შეგიძლიათ მოატყუოთ მთელი ხალხი...

ვერანაირ დემაგოგიას, სიცრუეს და ტყუილს ვერ იტანდა, განსაკუთრებით კი – სოციალურს. წითელ ხაზად გასდევს ეს მისი „ორ-ხმიანი ოპერეტის“ თითქმის ყველა „ხოროს“ – მისით რომ აფრთხილებდა ხალხს და ქვეყანას...

არ ვიცით ილია იცნობდა თუ არა ლინკოლნის პასუხს I ინტერნაციონალის ლიდერების – მარქსის და ენგელსის წერილზე, სადაც ისინი „პროლეტარიატის მონობიდან განთავისუფლების დიდი რევოლუციური იდეის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ მას, მაგრამ ილია თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამ სოციალური დემაგოგიის მხილების მისეულ არსს:

– თქვენ შეგიძლიათ მოატყუოთ მთელი ხალხი გარკვეულ დრო-ჟამს, ანდა, ატყუოთ ხალხის ნაწილი მარად, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ატყუოთ მთელი ხალხი მარად...

ტრაგედიაც ის იყო, რომ მთელი XX საუკუნე ტყუილში გვამყოფეს და გვაცხოვრეს, მაგრამ ყველა ნორმალურად მოაზროვნესთვის ნათელი იყო, რომ ასეთ მუდმივ ტყუილში შეუძლებელია ეცხოვრა და ეარსებნა ხალხს და ქვეყანას...

„ახალი ქართველები“ და მომავლის იმედები:

„რას სჩადიხართ, ილია ვარ!“

„ოთარაანთ ქვრივის“ პირვანდელ სათაურად ავტორს „გიორგი“ ჰქონდა მონიშნული, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს მის ჩანაფიქრს,

რომ ნოველაში გადმოეცა საქართველოს ისტორიის ფილოსოფია. პირველ წინადადებაშიც ჩანს ეს აშკარად და თვითონ ამ თავის დასათაურებაშიც: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?“:

„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“. და მერე ნოველის ოცდაორ თავში მკითხველი საქართველო – გიორგის საოცარ ტრაგიზმს ამოიკითხავს, ისე როგორც არჩილის სახით „ახალი ქართველებს“ ავტორისეულ სამომავლო გააზრებასაც...

ეს განსაკუთრებით ბოლო თავებს ეხებათ, თვით მათი სათაურებიც უსვავენ ხაზს ნოველის ამ მისეულ განაზრახს: „ჩატეხილი ხიდი“, „დასაწყისი განთიადისა“, „ემახის“, „წყევა-კრულვიანი საკითხავი“. ამ ბოლო თავის ბოლო პასაჟი კი, უსამართლოდ დაბრეყვებული მეწისქვილე სოსიას ამ სიტყვებს რომ მოსდევს – „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!... ცოდო ვარ შვილო, ცოდო!“:

„მართლა, რომ ცოდოა!...

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთი-სოფელში“.

საქართველოს და ქართველი ერის ისტორიაც დასაბამიდან დღემდე ნოველის ამ ბოლო ოთხი თავის თავისებურ მხატვრულ-ფილოსოფიურ განზოგადოებაშია ამოსაკითხი. ამასთან, მკითხველებმა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ აქ ილია საერთო – საკაცობრიო „წყევა-კრულვიანი საკითხავითაც“ გვესაუბრება:

ადამიანის ფსიქიკა, მისი, როგორც „ჰომო-საპიენსის“ სააზროვნო აპარატი შემოქმედისაგან ისეა მოწყობილი, რომ მან შეიძლება მთელი გარემომცველი სამყარო შეიმეცნოს და გაითავისოს, მაგრამ მწელად რომ სრულად ჩასწვდეს თავის საკუთარ თავს. ალბათ, აქედანაც გაჩნდა ეს ძველი, მაგრამ მარადიული სიბრძნე – შეგონებაც: „შეიცანი თავი შენი!“...

ილია იმ დონის და იმ მასშტაბის მოაზროვნეა, რომ ეს ყველაფერი მისთვის თანდაყოლილი რეფლექსი და ჭეშმარიტებაა და ამიტომაც იყო, რომ ფატალური ბედისწერით შეხვდა თავის ბოლო საამქვეყნო – საწუთისოფლო დღეს. ოლღას მონაყოლით ნათელი ხდება 30 აგვისტოს ის საბედისწერო ხუთშაბათი დღე:

რამდენი არ ეხვეწა, არ ემუდარა, მაგრამ არა და არა – თქვა და გათავდა, აბა, რის „ჯიუტი ილიაა“ - საგურამოში წასვლა გადაწყვეტილია...

მეეტლე ლაბაური კი, გულისფანცქალით ელოდება როდის გამოვა ილია. კარგად ახსოვს „ტყის ძმების“ გაფრთხილება-მუქარა: შენი თავით აგებ პასუხს, ჩვენც ჩვენი უფროსები გვყავს, მათაც ხუმრობა არ უყვართ, ახალთ-ახალი „ბერდენკა“ ტყუილა არ მოგვცეს... აი, ეს წინასწარ, დიდი ფული მერე მოვა, მთავარია ეტლი და მიზანი ახლო ტყის პირზე კარგად დაგვიყენო...

ამ საოცარ ფაქტსაც იხსენებდა მერე ოლღა: წინამურამდე, იქ სადაც მტკვარი და არაგვი ერთდებიან სვეტიცხოვლის ფონზე, მეეტლემ ცხენები რომ დააწყლულა და შეასვენა, ილია ძირს ჩავიდა და როგორც სჩვეოდა, დაფიქრებული ირგვლივ ბოლთას სცემდა კარგა ხანს, თითქოს დაავიწყდა ეტლიც და მგზავრობაც...

ალბათ, ლაბაურს გული უსკდებოდა – წინათგრძნობით ხომ რამე არ იგრძნო მისმა გულმა, მაგრამ არა, ილია კვლავ ეტლში ჩაჯდა... თბილისიდან მთელი გზა ხმა არ ამოუღია, იმ ტყის პირზე კი, როცა მისკენ მიშვერილ ლულას შეასწრო თვალი, ეს ბოლო ოთხი სიტყვა დაგვიტოვა თავისებურ შეგონებად, თუ ანდერძად შთამომავლობას:

„რას სჩადიხართ, ილია ვარ!“...

– მტირალა ილია?! – დაუჯერებელია!...

მართლაც რომ დაუჯერებელია აქვითინებული და თვალზე ცრემლმორეული ილია, მაგრამ ფაქტს საით წაუვალთ. არტურ ლაისტი იხსენებს:

– ყველა ვატყობდით, რომ ჯანმრთელობა ძალიან შეერყა და გადაწყდა ევროპელ ექიმებთან მისი წასვლა... ყველა შესაძლებელი ხარჯი დავით სარაჯიშვილმა აიღო თავის თავზე და მე კი, ჩემს თავზე მისი გაყოლა და მეგზურობა ვიტვირთე... ბერლინში ცნობილი ექიმები ვნახეთ, მერე ბრიუსელსა და პარიზში მოგვიხდა წასვლა და იქ ილია გამომიტყდა – ძალიან კარგია ევროპა, ვენაცვალე მაგას - ჩვენი იმედი და სანატრელია, დიდებულია პარიზიც, მაგრამ რა ვქნა, უსამშობლოდ ვეღარ ვძლებ, მეშინია აქ არ მოვკვდე – წავიდეთ... მეც რას ვიზამდი, მატარებლის ბილეთებზე წავედი...

– დარიალში რომ შემოვედით, გავოცდი – უცებ ეტყობა, ემოციებმა სძლიეს, აქვითინდა, დაიჩოქა და მიწას ეამბორა, მერე კი, მისებურად გულახდილად მითხრა:

– ყმაწვილობაშიც მქონდა სამშობლოსაგან დაშორებულს ეს სევდის



გრძნობა, მაგრამ ეხლა ამ სიბერეში ნამეტანი მომეძალა...

გრიგოლ ყიფშიძე, ილია ზურაბიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და ყველა, ვინც ილიასთან ერთად სუფრაზე ნატო გაბუნიას მიერ უნაზესი ხმით „ორთავ თვალის სინათლე“ მოუსმენიათ (სიმღერად გადაკეთებული მისი „ჩემო კარგო ქვეყანა“), ერთხმად იხსენებენ – ილიას ყოველთვის ვამჩნევდით თვალეზზე მომდგარ ცრემლებსო...

დიახ, ბატონებო, სულ სხვაა ქართველ კაცში, მის ბუნება-განწყობასა და ფსიქიკაში სამშობლოს განცდა და არაერთი ფაქტიცაა, რომ ამ ნოსტალგიურ შეგრძნებებს სამშობლოს გარეთ მყოფი ქართველი მოუკლავს კიდეც. საოცარი აღქმითა და მხატვრული გააზრებით გადმოგვცემს ამ განცდებს გრიგოლ რობაქიძე წერილში – „როკვით განფენილი ქართული გენი“...

## – მე ილია უმდიდრესი კაცი მეგონა...

ილიას თანამოაზრეებიდან და მიმდევრებიდან, რა თქმა უნდა, ყველა არ იცნობდა მას ახლო, მისი ყოფა-ცხოვრებისა და ხასიათის ყველა ნიუანსს. აკი, წერს გოგებაშვილიც – მე ილია უმდიდრესი კაცი მეგონა, მაგრამ რას ვიფიქრებდი ბანკს მისთვის პენსია რომ არ დაენიშნა, სიბერეში შიშშილს გამოცდიდა...

ბანკთან ერთად, 1900 წელს „ივერიასაც“ იმიტომ გაანება თავი, რომ ფინანსურად აღარ შეეძლო მისი გაძლოლა – ბოლო წლები სულ უფრო უჭირდა სტამბისა და გაზეთის შენახვა, დის სახლიდანაც (დღევანდელი ილიას სახლ-მუზეუმი), ამიტომ გადავიდა უფრო მცირე ფართის საცხოვრებელ სახლში...

ვინც ილიას ახლო იცნობდა, ყველამ იცოდა მისი დადებითი, თუ უარყოფითი თვისებები. აკი, თვითონვე ამბობდა – უნაკლო კაცი არ არსებობსო, თავის თავზე სხვადასხვა შარჟებს თვითონვე თხზავდა, არც სხვისი იუმორი სწყინდა, თუ სიძულვილით არ იყო ნათქვამი. ლაისტი იხსენებს ილიას ნათქვამ ერთ იუმორს საკუთარ თავზე:

– მე ზუსტად რომ კამეჩის ხასიათი მაქვს, ჯერ არ გავიწევ, მაგრამ თუ გავიწიე, მერე ვერავინ გამაჩერებს...

მაგრამ მაინც გააჩერეს წიწამურთან, ოღონდ ეგაა, მხოლოდ ბერდენკის გასროლით...

## – მთა და ბარი ვის გაუსწორებია...

ითქვა უკვე – ილია ფოლკლორის დიდი მოყვარული იყო და მხატვრულ შემოქმედებასა, თუ პუბლიცისტიკაში ხშირად იყენებდა მას. „ორ-ხმიანი ოპერეტის“ წიკიპურტები გაჯერებულია ამ მხრივაც იმ მიზნით, რომ აჩვენოს „საზოგადოების გარდაქმნა-გამთანაბრებლობის“ კომუნისტური სოციალური დემაგოგიის არსი. ყველაზე კარგად ამას ეს ჩვენი ხალხური თქმა ასახავს – მთა და ბარი ვის გაუსწორებია. ეს თქმა ამასთან, საზოგადოებისა და ბუნების თავისებური ერთობა-გამთლიანება-გაერთიანების ფოლკლორული ასახვაცაა...

ალბათ, ილიასაც ეს იზიდავდა, როცა ადამიანს ბუნებასთან, მის კანონებთან ორგანულად აკავშირებდა. ეს ხომ, ჯერ კიდევ გაჟღერდა „ყვარლის მთებში“, ისევე როგორც „აჩრდილსა“ და „განდეგილში“. ხშირია ბუნებასთან ასოციაციები „ოპერეტის მეორე ხმაში“ – ხოროს მიერ „მარქსელთა“ მხილებაში. აი, მაგალითებიც:

„მკვეხარის სიტყვა ზღვა არის  
მღელვარე, კლდისა მცემელი,  
არა მდუმარე წვიმისებრ  
ნაყოფის გამომცემელი“.

ზღვა ანგრევს ყველაფერს, რაც მის მღელვარე ტალღებს დაუდგება წინ, წვიმა კი, „ნაყოფის გამომცემელია“ და მესამედასელებსაც ხალხი და ქვეყანა რევოლუციური ნგრევისკენ მიჰყავთ და არა კეთილი ნაყოფისკენ...

„კვალი“ და მისი თავკაცები ილიას „წიკიპურტების“ მუდმივი ობიექტია:

„მისი მწერლობა კვალსა ჰგავს  
ზღვაზედ ნავთ მიმავლისასა...  
ისტორიულ აბდა-უბდას  
გიორგი წერეთლისასა“...

ანდა, „მარქსელთა“ ასეთი მხილება და შედარება:

„რაზომცა ჰნათობს სინათლე  
მათთვის ეგრეცა ბნელია,  
ახლებში თავს სდებს, გვატყუებს,  
არ ახალია, ძველია,  
რაც გინდა ქერქი იცვალონ,  
გველი მაინცა გველია“...

მერე ხომ, სწორედ ამ გველებმა დაკბინეს ილიაც და საქართველოც...

ილია დღეს:  
„რად შეიძლება ვიქმნეთ“...

წუთისოფელი კი მიდის, რა გააჩერებს მის ულმოებელ სვლას, თაობაც თაობას ცვლის და ილიას ეს ოთხი საწუთისოფლო – საამქვეყნოსი ტყვაც თითქოს კვლავ ისმის იმ ძველებური წიწამურული შემართებით:

„რას სჩადიხართ? ილია ვარ!“...

მასთან ერთად ისმის ეს ჩვენი დალოცვილი სიბრძნეც, ვინ იცის ვინ და როდის თქვა: – „წუთისოფელი ასეა, დღეს დამე უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“...

თითქოს ილიაც კვლავ გვეხმიანება ზეციური საქართველოდან: საუკუნის ცოდვა ნაპატიები და შენდობილია... აკი, ეს წინასწარაც თქვა ლექსით – „ლოცვა“... დიახ, ცოდვა შენდობილია ოღონდ აღასრულეთ ჩემი ანდერძი, ამას გვთხოვდა მთელი XX საუკუნე, ამას გვთხოვს დღესაც ...

აქ გვინდა მისი კიდევ ერთი „წყევა-კრულვიანი საკითხავი“ მოვიშველიოთ, ამჯერად პოეზიით:

„ორ-ხმიან ოპერეტამდე“, 1894 წელს დაწერილი ეს ლექსი „კითხვა-პასუხის“ ფორმით: აქ ხომ, მთელი XX საუკუნის საქართველოა გააზრებული:

„კითხვა“:

„კარგი რამა ხარ ჩემო ქვეყანავ,  
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,  
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,  
იმდენად უფრო მიკვდება გული...“

რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი?  
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?  
მაგრამ რამდენად მაღლით სავსე ხარ,  
იმდენად უფრო მიკვდება გული“...

ახლა „პასუხებს“ არ იკითხავთ – მათშიც ხომ, იგივე XX საუკუნის მესამედსადასური საქართველოა გულთამხილვურად ნაწინასწარმეტყველები:

„პასუხი“:

„ – მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი,  
ვაი, ძე ჩემი, ბედკრულ, უძღური!...  
იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,  
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური...  
მადლით სავსე ვარ, და ვაი ჩემს შვილს,  
ეგ მადლი ჩემი ვერ უშვნივია,  
და ან იქ რა ჰქნას თვით წმინდათ-წმინდამ,  
სად ცოდვას მადლი დაუძლევი?...“

მაგრამ ილია იმიტომ არის ილია, რომ თავის „კარგ ქვეყანას“ მომავალი არ დაუკარგოს: ის, რასაც პოეზიით ასე გულსაკლავად მოთქვამს, იგი „საერთო ნიადაგის“ თეორიით შემდგომი საუკუნეების ნათელ მომავალს ხედავს. ვერ დაინახა XX საუკუნემ ეს, მაგრამ XXI აუცილებლად დაინახავს. აკი, ამით იწყებს „აჩრდილსაც“, კავკასიონზე შემომდგარი ავტორის პირველივე სტროფით, თავისი ქვეყნის მომავალს რომ ჰვრეტს დასაწყისშივე:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა  
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,  
კავკასის მთების წვერთა მაღალთგან,  
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი“...

პოეზიის ენა მართლაც რომ ღვთისგან ნაკარნახევი ზეციური ხმა და ნიჭია, ნათელხილვური ხედვა და აღქმა ჭეშმარიტისა...

ალმანახი - „ილია მართალი“:

ლიტერატურული ნაწილი

„საცექველა“:

ფსიქოლოგიური ნოველა

„ზედაშე“

ფსიქოლოგიური ჩანახატი

# საცექველა

ნათლია...

შარიანებს რა დალევს ქვეყნად და ვიცი ახლაც ბევრი ამიხირდება – ეს რა სახელი და სათაური მოუგონია ამ კაცს, საქმე არაფერი აქვს, რას გვაყრის თვალში ნაცარს, რა, ტუტუცები და ბრიყვები ვგონივართ?!...

ღმერთი, რჯული, მე არაფერ შუაში ვარ, ეს სახელი ჩემი მოგონილი არაა, მისი ნათლია მე არ ვარ, ანდა, ჩემი ფიცი რად გინდათ, ამ სოფელში კი არა, მთელ ამ სოფელ-ქვეყნადაა მოფენილი ეს წესი:

გინდა, არ გინდა, მოგწონს, არ მოგწონს, მოგაკერებენ რაღაც მეორე სახელს და უნდა ატარო მთელი სიცოცხლე ისე, რომ შეიძლება შენი ნამდვილი სახელიც სხვას კი არა, შენ თვითონვე დაგავიწყდეს...

მთელი სიცოცხლე კი არა, შეიძლება იმის იქითაც, რამდენიც გინდათ იმდენი მაგალითია ამისა – „აღმაშენებელი“, „თავდადებული“, „ბრწყინვალე“... და კიდევ ბევრი ამისთანები, დღეს რომ მათზე ლოცულობენ და ნათლიად კი მთელი ხალხია...

მაგრამ ესეც ხომაა – მათთან ერთად, არის სხვა რიგის სახელებიც – „რეგენი“, „ყრუ“, „მამისმკვლელი“... და ამისთანები ბევრი სხვაც, წარსულმა რომ შემოგვინახა...

თუ დამიჯერებთ, ეს ჩვენი „საცექველა“ პირველთა ჩამონათვალშია... ამაზეც ვიცი, ბევრი ამიხირდებით, ჩაიქირქილებთ – ჩაიცინებთ – ჩაიღიმილებთ, და ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც იტყვიან – სულ გარეკა ამ კაცმაო... მაგრამ ღვთის მადლით, ასე არაა: სულიერ-ხორციელად ყველაფერი წესრიგში მაქვს, რა ვქნა ასეთი წესი აქვს ხალხს, და რა ჩემი ბრალია...

ამასაც გეტყვიან – არც საცექველას მოსწონს ეს, მაგრამ ერთხელ გამანდო – ეს რომ გაიგონ, ჯიბრზე დიდ-პატარა სულ დაივიწყებს ჩემს ნამდვილ სახელს... ის კი არა, მეც მაქვს ბავშვობიდან გამოცვლილი სახელი, მაგრამ ერთხელაც არ გამომიტყვია ამის გამო ვინმესთვის სამდღურავი – მიძახონ რამდენიც უნდათ...

ამიტომ მეტი გზა არა გაქვთ – უნდა დამიჯეროთ, თქვენთვისაც კარგია და ჩემთვისაც – სიმართლის თქმა ხომ, ჯობია ჩვენს ყველა სათქმელს:

რასაც ვამბობ, სრული სიმართლეა. დავუშვათ, რომ არც არის,

მაგრამ საცექველას სიტყვა მივეცი და ეს სიტყვა უნდა აღსრულდეს. მიხა პაპასგან გამოგია – კაცი სიტყვას რომ იტყვის, დამთავრებულია, თუ კაცია ის უნდა აღასრულოს კიდევ... პაპაჩემიც რად გვინდა, ვინ იცის როდიდან ითქვა – სიტყვამ კაცს ცოლი გააშვებინაო...

დღეს კი, ჩემი რა გესწავლებათ, თქვენ თვითონაც უყურებთ და ისმენთ – ნამდვილი კოსმოსური სიჩქარით იცვლება ყველაფერი და მათ შორის, საცექველა – სანაყელას ამბებიც. ეს ჩვენებური სიმღერა ხომ, გახსოვთ ცოლ-ქმრობაზე, რა დიდი აზრია მასში:

– ნეტავი გამაგებინა მამა-პაპანი რა ქნილან, ან, მოყვარული ცოლ-ქმარნი უდროოდ რაზე გაყრილან...

ჰოდა, დრო-ჟამს საით გავექვევით – დრონი მეფობენ, აკი, ჩვენი პოეტიც გულისტკივილით ამბობს ამას – „ვაჰ, დრონი, დრონი ნაგებნი მტკბარადო“... ის რა თქმა უნდა, ახლანდელ „დრონს“ არ გულისხმობს – მაშინ ამ „დრონებს“ ზღაპარშიც ვერ წარმოიდგენდნენ, ანდა, ცოლ-ქმრობა ვის უნდა ახლა, ან, ქალსა და ან, კაცსა – „მაი ფრენდ!“, – მორჩა და გათავდა, გაყრასაც რა უნდა – ერთმანეთი რომ მობეზრდებათ – „გუდ ბაი“ და მაგის ჯანი – ამეებით ვის გააკვირვებ დღეს...

ესეც დამეჯერება, სხვა თუ არაფერი დროული კაცი ვარ: გლობალიზმმა უკვე იმდენი რამ შეცვალა და ისეთი ტემპი აქვს აღებული თანაც, ასჯერ და ათასჯერ მეტს შეცვლის კიდევ სულ მალე, ეს კი არა, შეიძლება მალე საცექველი – სანაყელის გარეშეც გავმრავლდეთ და ისიც კი, დაგვავიწყდეს „ვისი გორისანი ვართ“ და გამართლდეს პოეტის სევდიანი თქმაც – „რის ქართველობა, რა ქართველობა?!...“, ქართველობა კი არა, კაცობა გაქრეს საერთოდ – ყველა ქალებად გადაიქცნენ...

მეც რომ არა ვთქვა, რა, თქვენ თვითონ არ გესმით უკვე ეს აქეთ-იქიდან, ანდა, მაგ თქვენი ბედნიერი თვალებით არ ხედავთ საით მიდის კაციცა და კაცობრიობაც?! ვერ ვთქვი კარგად – მიდის კი არა, მირბის თავქუდმოგლეჯილი, საით თვითონაც არ იცის...

ჰოდა, ეს ძველი თქმაც – სიტყვამ კაცს ცოლი გააშვებინაო, სიგიჟედ ჩაეთვლება კაცს ახლა: გინდა ათჯერ გაუშვებ, – დამშლელი ვინაა, გაშვება კი არა, შეიძლება ამ გენდერიზმის ჟამს თავ-პირიც დაამტკრიონ და ყელიც გამოჭრან ერთმანეთს... მაგრამ მე სხვას რას ვუყურებ – სიტყვა მივეცი საცექველას და ამ სიტყვას ვერ ვულალატებ...

აკი, საცექველაც მეუბნებოდა – დაგიჯერებენ, არ დაგიჯერებენ, შენი სათქმელი უნდა თქვა, თან მანუგეშებდა – გული არ გაიტეხო, ახლანდელ დროში კაცის კი არა, ღმერთისაც აღარა სჯერათ და სწამთ – რა ვქნათ, აქამდე მივიდა კაცთა მოდგმა და... მეორედ მოსვლაც შორს

კი არააო – გულს მიკეთებდა თან...

ჰოდა, მეც ვწერ – ჯერ ერთი, წერასა ვარ ატანილი და მერე – როგორც ვთქვი, სიტყვა მაქვს მიცემული. ეს სახელი – სათაურიც ხომ, გითხარით, ჩემი მოგონილი არაა, ძირის – ძირობამდე თუ ჩავყვებით მას, შეიძლება ადამ და ევამდეც კი მივიღეთ...

შეიძლება კი არა, სწორედაც რომ ასეა. რატომ? – რატომ და იმიტომ, რომ საცექველისა და სანაყელის ისტორია სწორედ მათგან იწყება – სამოთხეში უზრუნველი ცხოვრება მობეზრდათ და ვაშლი მიირთვეს – კაცთა ცოდვებიც იქიდან იწყებაო, ასე ამბობენ, ცოდვილებიც ამიტომ ვართ დიდ-პატარა ყველა ერთიანად...

ამის დამნახავი და მოწმე ვინაა, მაგრამ არც მე ვარ პროკურორი და მოსამართლე, რომ მოწმეთა ჩვენების გარეშე არაფერი ვამტკიცო და ვთქვა... ყოველ შემთხვევაში, ეს მაინც უდავო ფაქტია: მექორწილეთა იმ დალოცვისა არ იყოს, – გამრავლდით ადამ და ევასავითო, დღეს ამ ლოცვით მათი ნაშიერები ისე გამრავლდნენ, დედამიწის ზურგზე რომ აღარ ეტევიან, ახლა მარსზეც აპირებენ დასახლებას და მერე კიდევ ვინ იცის სად...

მარსსაც თავი გავანებოთ და ისევ ამ ჩვენს ქიზიყელ საცექველას მივხედოთ... ეს ნათლობით ნინოს ზედმეტი სახელია, თუმცაღა, კაცმა რომ თქვას, არც საკუთრად მისია: ნინოც იფიცება და მთელი სოფელიც, რომ ეს სახელი ცხონებულ ბებიაშის ერქვა, ნინოც ზუსტად მისი განსახიერებაა და სოფელმა ამიტომაც ბებიაშის სახელი მას გადმოულოცა... იმ ბებიაშ კი, ყველა დროის ჭორიკანათა გასაგონად ეს სიბრძნე და გზავნილი უთქვია და ბეჭედიც დაურტყია სამუდამოდ:

– ყველამ თავის საცექველს თვითონ მოუაროს...

მან კი თქვა, მაგრამ კარგ მთქმელს ხომ, კარგი გამგონეც უნდა და მადლობა ღმერთს, ეს სიბრძნე და გზავნილი გაგებულნი იქნა მარტო იმ სოფელში კი არა, ბევრგან სხვაგანაც, თუმცაღა, ჭორიკანებს და სხვათა საქმეებში ცხვირის ჩამყოფებს რა გამოლევს – მაინც არ იშლიან სხვის საცექველზე და მის პატრონზე ჭორაობას, თანაც ჩურჩულით კი არა, აგერ საჯაროდაც გამოდიან გაზეთებსა თუ ტელევიზიაში – ჩხუბი და დავიდარაზაც ხომ, აქედან იწყება მუდამ ჩვენთანაცა და სხვაგანაც, აი, ამერიკაში შეგეცოდება კაცს – ეს მექალთანე ტრამპი რა დღეში ჩააგდეს დღეს?!...



ამის წამალიცა ნახეს და საქმე მიეცათ სასამართლოსა და ადვოკატებს... ნინომდე ის პირველი საცეკველაც ზუსტად ამას ამბობდა – აქ სოფლის ორღობებში კი, ნუ ჭორაობთ, თუ მაინცდამაინც ვერ მოგისვენიათ და ენა გექავებათ, აგე, მოსამართლე ტყუილსა, თანაც ანამუსებდათ – თორემ, აი, ქრისტემ ხო, იცით რა უთხრა ქვეშემართულ ხალხსა, უსახელო ქალის ჩაქოლვას რო ლამობდნენ – პირველი ქვა იმან ესროლოს, ვინც უცოდველიაო... და ყველამ ერთიანად ქვები ძირს დაყარა, მაგრამ ამანაც არ გაჭრა – საცეკველზე ჭორაობა არ მოიშალა კაცმა...

– ხალხი ბრძენიაო, ნათქვამია, მაგრამ ერთი დაზუსტებით: არ ვიცი თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ ჩემი ფიქრით და წარმოდგენით, რასაც ჩვენ „ფოლკლორს“ ვუწოდებთ, ჯერ უფრო პიროვნულია იგი, ვიდრე კოლექტიური – უფრო სწორედ კი, ერთი ვინმე ჭკვიანი კაცის ნათქვამია – მერე და მერე ხდება ხოლმე, გახალხურობა:

რა, როგორ გგონიათ, ვთქვათ, „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ – მთელი ხალხი გამოვიდა ქუჩაში ერთიანად და ერთბაშად თქვა – რა თქმა უნდა, არა... ჯერ გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი ბრძენკაცი, იტყვის რაღაც ფრთიან სიტყვას და მორჩა – გათავდა, ის სიტყვა არ დაიკარგება და ბოლოს საყოველთაო კუთვნილებად იქცევა – წადი და ეძებე ეხლა, პირველად ვინ თქვა...

– ყველამ თავის საცეკველს თვითონ მოუაროსო, ამ თქმასაც, ალბათ, ეს დაემართა. ალბათ კი, არა, სწორედ რომ ასეა: ზოგი იმასაც კი ამბობს, იგი ნინოს ბებია კი არ თქვა, არამედ ლამის ნინოს ბებიის ბებიას და უფრო შორეულ ათასწლეულთა დრო-ჟამსაც წვდებიან. სიმართლის ძალაც ხომ, ესაა – ვისიც გინდა იყოს, ის თავის გზა-კვალს არ კარგავს, საუკუნეებსაც გაუძლებს, თუ სიმართლეა მართლაც – აი, მთიდან ნაკადული რომ დაეშვება, იმას შეაჩერებთ, – ჰოდა, ნამდვილი სიმართლევც ესეა – მისი შემჩერებელი ძალა არაა...

## ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა...

ნინოს ბებია იყო, თუ კიდევ იმის იქითა ბებიები ბევრი სხვა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია რომ ეს დიდი სიბრძნე ითქვა... მაგრამ ესეცაა – საცეკველს კარგი სანაყელი თუ არ შეხვდა, მაინცდამაინც კარგს და სახეიროს არაფერს უნდა ელოდოთ მისგან. ასეც ხშირად ხდება და ამიტომაც ივსება ეს ჩვენი სოფელ-ქვეყანა ათასნაირი სენითა

და უკეთურობით, ძველი და ახალი სოდომის ცოდვებითა, ლამის წალეკვით რომ ემუქრება კაცთა მოდგმას...

აქეთურობას იციან – ქმარი ცოლს რომ უსაყვედურებს შვილებზე – რა არვარგისები არიან, ბრიყვები და უქნარებიო, ცოლი პასუხს არ დაუგვიანებს:

– იი, რაც ჩათესე, იმა არ ვიმკით?!... აბა, მა, რას მივიღებდით სხვასა, აი, შენა, ლობიო რო ჩათესამ, რა რქაწითელა წამოვა თავის მტევნებიან – ყლორტებიანადა, თუ რა – ისეც ლობიო არ ამაყოფს თავსა... ჰოდა, მე რა მემდურები, მე რა, ღვთიმშობელი ხო არ ვარ – მუცელში გამოცვლიდი მაგათა, თუ რა...

ქმარსაც რაღა ეთქმის, დაბოღმილი გაჩუმდება, აბა, რას იზამს – სიმართლეს სად გაექცევა...

ერთი სიტყვით, მარტო საცექველი რას იზამს, თუ სანაყელმაც არ ივარგა – ამ საქმის ფილოსოფია ესაა და ვაი და ვუი მაშინ ოჯახსაც და ერსაც და ქვეყანასაც – სამივეს საქმე წასულია ხელიდან: ეშმაკი ცვედანას და დონდლოს ისე მოსდებს ქვეყანას, ქალსა, თუ კაცსა, რომ მორჩა და გათავდა – ისინი ჯანდაბას, თვითონ რაღას ივარგებენ, მაგრამ ერსაც ხომ, მომავალი ეკარგება?!...

უბედურებაც სწორედ ესაა ახლაცა და მომავლისთვისაც, მაშინ ხდება ერისა და ქვეყნის გადაშენებაც. ეხლა ვიცი, ამაზეც ამიშარდება ვინმე – აზვიადებო, მაგრამ მე რომ არა ვთქვა, რა, თვითონ ვერ ხედავთ რა ხდება ირგვლივ, ანდა, ოდნავ ისტორია თუ იცით „მკვდარი ერები და მკვდარი ენები“ რა, ჩემი მოგონილია, დავიჯერო, თუ არ წაგიკითხავთ, არ გაგიგიათ მაინც?!...

ღვთის მადლით, ჩვენს საცექველას კარგი სანაყელი შეახვედრა ბედმა – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა რომ იტყვიან, სწორედ ისეთი. ორივეს საყვედური არ ეთქმოდათ ერთმანეთთან... ეს სახელი კი მისი – „მიდეგა“ მიხას კუთვნილებაა, საკუთრივ მას დაარქვეს, მოწილე – მოცილე არავინა ჰყავს: რასაც იტყოდა და თავში ჩაიდებდა, მოკვდებოდა და გააკეთებდა. სოფელმაც „მიდეგა“ ამიტომ დაარქვა...

ოჯახმა იბარტყა და ქვეყანას ხუთი სალ-სალამათი შვილი შესძინა. მაგრამ შვილებს ხომ, დაზრდა უნდათ, კაცად ქცევა, ლამაზად გაზრდა, ამიტომ ითქვა ესეც – „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“: თვითონაც რომ „ულამაზოა“, ის შვილს „ლამაზად“ როგორ გაზრდის?!... ახლა კი, სადღა არ ეძებენ მოზარდის ცუდად გამზრდელს, გარდა ოჯახისა – ოჯახი ოჯახს რომ არა ჰგავს, იქ ლამაზად შვილი როგორ გაიზრდება?!...

სოფელში ვინ იფიქრებდა, რომ ომისგან დანგრეულ-გაპარტახებულ

ქვეყანაში, ეს ოჯახი მილიონერი გახდებოდა. ეს ყველაფერი კი, „ჯაგნარამ“ გააკეთა...

## ჯაგნარა...

ერთ დღეს საცეკველამ ქმარს თავისი იდეა გააცნო და გაუზიარა:

– მიხავ, ამ ხუთ შვილსა ხო გზაზე დაყენება უნდათ. მე და შენ ამ ჩვენ სოფელსა და სოფლი სკოლა ვერ გავცდით, კუტად ვიქეცით სუყველა ერთიანადა, რა გვექნა, დრო შაგვხვდა ასეთი – ამხელა ომი გამოვიარეთ, მამები სადღაც რუსეთის ტრამალებში ჩაიხოცნენ, ნახევრად მშიერ-ტიტვლები ვიყავით, სწავლა კი არა, ცარიელი პური გვექონდა სანატრელადა, წერა-კითხვაც კი, ვერ ვისწავლეთ წესიერადა ჩვენმა თაობამა...

– ბრმა-ყრუები ხო, არა ვართ, წამიერად იცვლება ქვეყანა, დედამიწას გასცდა კაცი, მთვარე და მარსს ეპოტინება და ადრე რაც ზღაპრად თუ გაიგონებდი კაცი, ეხლა სინამდვილე ხდება. ჩვენც უნდა ავყვეთ ამასა, თორემა ტლაპოში ჩავიხრჩობით, ჩვენ ჯანდაბას, ცხოვრება უკვე მოგჭამეთ, ბავშვებია ცოდო...

– წიგნისა და განათლების გარეშე ერთ ბიჯსაც ვერ წადგავენ წინა... აი, ჩვენი მარიამი, ვენაცვალე მაგასა, სადაცაა დაამთავრებს სკოლასა, ყველა მაგის ქებაშია, ლექსებს წერს, თავისით ისწავლა უცხო ენა, დღედაღამ წიგნებთანაა და მაგა რო უნივერსიტეტი არ უჩვენოთ, დიდ ცოდვას ჩავიდენტ. დანარჩენებმაც რა დააშავეს – ყველა თავისი გზა-კვალი უნდა მივცეთ...

– დღედაღამ ამაზე ვფიქრობ და აი, რა მოვიფიქრე: ჩვენ წინა ფერდობი როა ეკალ-ბარდით და ჯაგნარით მოფენილი, ნამდვილი სავენახე ადგილია, მზის გულზეა მთელი ეგ ფერდობი, ნასვენი მიწაა, ზღვა მოსავალს მოგვცემს, ღვინო-არაყს კიდენვევ არასოდეს დაეკარგება ფასი...

თქმა და გაკეთება ერთი იყო, სოფელიც წამოემშველათ და ამოისუნთქა ოჯახმა, ბავშვებმაც შრომის ფასი ისწავლეს, პარაზიტებად არ დაიხარდნენ, ნარკომანებად, კაცისმკვლელებად... ვენახიც იზრდებოდა – ფართოვდებოდა და ოჯახისთვის სიმდიდრის წყარო გახდა...

მარიამი კი არა, უკვე გიორგიც ჩვენი სტუდენტი იყო, რომ ცოლ-ქმარმა მოგვაკითხეს, შვილების ამბავი იკითხეს – ვაქეთ, კარგი

გაზრდილები არიან, შრომისმოყვარენი, ორივეს ალბათ, სასწავლო ვიზით გავაგზავნით უცხოეთში, ვიცით, რომ არ შეგვარცხვენენო...

მერე მოზოდიშებით გვითხრეს – რთველი რა საპატიჟოა, წვალების მეტი რაა, მაგრამ გვესტუმრეთ, ჩვენი და ჩვენი შვილების ნაოფლარია, დაგვლოცეთ, ბარაქა მოგვემატებაო..

კახეთსა და ქიზიყში ვენახით ვის გააკვირვებ, მაგრამ რაც ჩვენ „ჯაგნარაში“ ვნახეთ, თვალებს არ ვუჯერებდით:

ერთმანეთზე მიყოლებული ვენახის ტახტები, თვალს რომ ვერ გააწვდენდი მათ, თითქოს გვეუბნებოდნენ – ადამიანი ღმერთის მიერ სასწაულისთვის არის გაჩენილიო... ამ უკვე ვენახად ქცეულ ტახტების გაგრძელებაზეც ცოლ-ქმარს ორპირად დაბრუნებული ახალი სავენახე ტახტებიც მზად ჰქონდათ რქაწითელის გულში ჩასაკრავად. სახელიც რომ კარგი შეურქმევიათ – „ჯაგნარა“.

– ვაზო, შვილივით ნაზარდო, – ეს ლამაზი სიტყვა ალბათ, ამიტომაც ითქვა, „შენ ხარ ვენახის“ საგალობელიც ამით არის გაჟღენთილი – მათში ერის, ქვეყნის და ქართული ჯიმ-ჯილაგის სული ტრიალებს... ძველი ქართული „კომლიც“ ეს იყო – სისხლით მონათესავე გვართა ერთობლიობა, ხშირად 50 და მეტ სულს რომ აერთიანებდა „ხოდაბუნებად“ – დიდ სამეურნეო კორპორაციებად. მაგრამ სიტყვა – „ხოდაბუნიც“ კი აღარ გვახსოვს – რაღაც მეხსიერებადაკარგულ ხალხს დავემსგავსეთ...

ეს რომ ნინოს ვუთხარი, – „ჯაგნარას“ სახელს გადავარქმევ და „ხოდაბუნს“ დავარქმევო... მაგრამ სოფლის მონათლული სახელი მაინც, ისევ ისე დარჩა... სახელსაც რა ჰკუა აქვს – მთავარია ამ სახელს ნამდვილი ღირებული საქმე მოჰყვეს, ასე იშვიათად რომ ვხედავთ დღეს...

## „სამი სასწაული“

ეს საქმე კი „ჯაგნარაში“ ბევრი ვნახეთ და მერე უკან, ქალაქში რომ ვბრუნდებოდით, ყველამ ერთხმად მათ „სამი სასწაული“ დავარქვით: რთველში სად არ ვყოფილვართ, „ზავოდობაზეც“ – რუსებმა რომ, მსოფლიოში ყველა ზავოდზე უკეთესი „ქართული ზავოდი“ დაარქვეს, მაგრამ რაც მაშინ იქ ვნახეთ, მართლაც რომ სასწაულია:

რთველი რთველია – თვითონ ოჯახი, ოჯახის მეზობლები, ახლობლები – ცოლ-ქმარს დიდი სანათესაო ჰყავდა და ყურძნის

კრეფის ისეთ განრიგს ათანხმებენ ერთმანეთში, რომ ყურძენს ბარაქა არ მოაკლდეს, დროზე დაიკრიფოს – დასაწური აქვე ქვევრებში ჩაიწუროს, გასაყიდი და ქარხნებში ჩასაბარებელიც დროზე დაბინავდეს, წვენად რომ არ დაიღვაროს, ეს დიდ ცოდვად ითვლება, თან ერთმანეთში ნიძლავს დებდნენ – აქ რასაც ვუყურებთ, ნახევარ მილიონს მაინც, მისცემს ოჯახსაო, მერე დაღლილნი სადილად რომ დავჯექით, ერთმა ასეთი ალალი გულით დაილოცა:

– ამათი მილიონები სულ სხვაა – მაიმუნობითა და ქაღალდებით, მოტყუებით და უსაქმურობით კი არა, ოფლის ღვრით არის ნაშოვნო... ალალი იყოს და სიკეთეში მოხმარდეთო...

მანქანა მანქანაზე გაჰქონდათ და ბოლოს რთველიც რომ დამთავრდა, მიხამ ღიმილით გვითხრა – ახლა დროა ჩვენი „ალიზის სასახლე“ გაჩვენოთო... და ეს „ალიზის სასახლე“ მეორე სასწაულია, რაც ჩვენ მაშინ იქ ვნახეთ...

ვახს მზის გული უყვარს, „რქაწითელიც“ ხომ, ამიტომ ჰქვია, მაგრამ კაცს სიგრილე ურჩევნია, თანაც ზაფხულის ხვატში და ჩვენმა წინაპრებმაც გამოსავალი ნახეს – აქაურობაში ბევრგან ნახავთ ძველებურ ალიზის მარნებს: იქ რომ შეხვალთ, სიცხეს ვეღარ იგრძნობთ – აყალოსაგან, წყლისგან და ბზისგან აშენებულ კედლებსა და ჭერში მზის ხვატი ვეღარ აღწევს...

ნამდვილ სამოთხეში მოვხვდით და ჩვენთვის ვთქვით – ქვევრი ქვევრად, მგრამ აი, კიდევ ერთი სასწაულის შემომქმედნი ჩვენი წინაპრები, ამაზეც ითქმის ალბათ, ეს სიბრძნე და შეგონება – ნუ დააგდებ ძველსა გზასა... მაგრამ ჩვენი უბედურებაც ხომ ისაა, რომ ძველ სიბრძნეს ადვილად ვივიწყებთ...

მესამე სასწაული წინ გველოდა: მიხამ ბოდიში მოგვიხადა – ჩასაბარებელ ყურძენს თუ დროზე არ მივხედე, წვენად დაიღვრება – გაფუჭდებაო და გაშლილ სუფრაზე თამადად წინო შემოგვთავაზა – ესეც რომ არ იყოსო, დაამატა – „ფილოსოფოსზე“ კარგად ვინ ითამადადებსო: სოფელმა ხომ, წინოს ბებუის სახელი დაანათლა, მიხამ კი, შინაურობაში მას „ფილოსოფოსი“ დაარქვა...

## ფილოსოფოსი, თეორეტიკოსი, პოეტი...

მაგრამ საცექველა მარტო ფილოსოფოსი არ აღმოჩნდა, მას ჩვენ მერე თეორეტიკოსი და პოეტიც ვუწოდეთ და ეს პირველივე მისი

სიტყვებით ვნახეთ, ფილოსოფიურად რომ ახსნა კაცთა მოდგმის უკვდავების არსი:

– შემოქმედი რო არ იყო ჩარეული ქვეყნად კაცისა და სიცოცხლის დამკვიდრების საქმეშია, მაშინ აქამდე ათასჯერ მაისპობოდა კაცთა მოდგმა: ერთ წუთას დავუშვათ, რომა დედამიწაზე ყველგანა სუ საცექველები დაიბადნენ, ანდა, მარტო სანაყელები, ძნელი წარმოსადგენი არაა, რაც მოხდება – ეხლა რო ლესბესოლობა და ჰომოსექსუალობა იშვიათობა რამაა, მაშინა დედამიწა სულ მაგეთნაირებისგან არ აივსება?!... მაშინა ნახეთ რა მოხდება – წარღვნა მოგვენატრება, აღარც ნოეს კიდობანი გვინდა და აღარც სხვა რამ – კაცობრიობა დაიღუპება. მაგრამა ვენაცვალე უფლის ძალსა და მადლსა – ის ამას არ დაუშვებს ჩვენი სიყვარულითა, არკი ვართ ამის ღირსნი...

აი, მაშინ გავიფიქრეთ ჩვენთვის – ქალიო, კაციო, რა, ცა და დედამიწაა, თუ რა, „დედაკაცი“ ტყუილა ხომ, არაა ნათქვამი... რა, ვითომ, ლუარსაბი კაცია, ოთარაანთ ქერივი კი, არა?!...

მართლაც, განა ასე არ მოვდივართ ქართველობა ოდითგან. საცექველაზე სიმპატიები გაიზარდა, როცა პროზაულ შესავალს ზედ ლექსიც მოაყოლა – სადღეგრძელოს არ იტყოდა, რომ მისი შესაფერისი რამე ლექსი, თავისი, თუ სხვისი, ზედ არ დაეყოლებინა: ყველამ ვალიარეთ – ასეთი თამადა ჯერ არ გვინახავს, თუმცა, ესეცა ვთქვით – ქალი მეფე თუ გვყავდა, ქალი თამადა რატომაც არა, და პირველივე სადღეგრძელომ ყოველივე ეჭვი გაფანტა:

– მთავარი გამარჯვება ადამიანისა ხორცზე სულის ძლევაა, ამის გარეშე კაცსაც და ხალხსაც მომავალი არა აქვს... აკი, ამას ამბობს ილია მართალიც – დიდგორის „ძლევია საკვირველიც“ ამან მოგვიტანა, აბა, იგრე ათჯერ მეტ მტერსა რანაირად ვძლევდით?!...

– ამ სულის ღონეს კი, მარტო ღმერთი გვაძლევს და თუ მას ვუღალატეთ, მერე ეს სულის ღონე საიდანა?!... ამიტომაცა ასეთ პატარა პურიჭამაზე ჩვენი წინაპრები მარტო სამ სადღეგრძელოს სვავდნენ – ღმერთისას, ერისას და მეფისას. სხვისი არ ვიცი და მე წინაპრების ძალიანა მწამს – იმათგან არ მოვდივართ... და თუნდაც, აი, აქედანა ყვარლის მთები რო ჩანს – ილიას გამოცა, იმის სულს ვენაცვალე....

– დამიჯერეთ, ხილვები მაქვს ხშირადა, სად არ დაყვავარ ანგელოზებსა ცასა, თუ დედამიწაზე და ღვთისაგანაც და ილიასაგანაც სულ მუდმივადა ეს დამოდღრა მესმის: ღმერთი არ მიატოვოთ და არც ის მიგატოვებთ, თქვენ ყველანი ღმერთთან იყავით დღედაღამ მოუმორებლადა და ისიც თქვენთან იქნება მოუმორებლადა...

– ჯაგნარა ვენახებ რო ვაშენებდით მე და მიხა, დაიჯერებთ

– სუ უღონონი და ძალაგამოლეულნი რო ცყოფილიყავით, მიმკვდარინებულნი ერთიანადა, ცა შავხედავდით, ყვარლი მთებიკენ გავიხედავდით, და მკვდრეთით აღვდგებოდით, თითქო ორივენი იქიდანა გვაქეუბდნენ, ძალა გვმატებდნენ, იმედ გვაძლევდნენ ხვალისასა...

– ილიაზე ამდენ ფიქრში რო ვარ, ბევრჯერ გამომცხადებია სიზმრად კიდეცა... აი, ერთხელა ეგრე მითხარა - განა ალაზანგალმა ნაკლები ჯიშებია, მაგ თქვენს ჯაგნარასა მოუხდება ისინიცა, დამიჯერე... მეც მიხა მანამ არ მოვასვენე, სანამ ქინძმარაულის ვაზი არ გამოვიტანე და ხილნარისა სხვა კარგი ჯიშებიცა...

– ათი წლის ბავშვი ვიყავი, სკოლაში რო მისი „ტყემ მოისხა ფოთოლი“ ვისწავლე და იქა, ვაზი რომა მეტის ლხენით ტირის და აქაც, ჯაგნარაშიაცა, მერე გიჟივით ამეკვიატება ხოლმე... გაზაფხულობით მართლაც რო რქიდანა ცრემლებსა ღვრის ეს დალოცვილი, ესა...

– იმი შემდეგა ეს სიტყვები ილიასი გულში მაქ ჩაჭედილი – მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები... „აჩრდილი“ ხო სუ ზეპირად დავისწავლე და თუ მეც მუზა რამ მესტუმრება ხანდახანა, ესეცა ღვთისა და ილიასაგანა...

## საცექველას „სიგიჟის ფილოსოფია“

მიხა მართალი იყო, როცა თქვა: ვისაც გინდათ ნიძლავს დაგიდებთ, გინდა ევროპიდანა და საიდანაც გინდათ – მთელი მსოფლიოს გენიოსებიც რომ შეკრიბოთ, ნინოს თავსატეხ კითხვას ვერავინ გასცემს პასუხსა...

ჰოდა, ეს მე თვითონ გამოვცადე: როცა პირველი სადღეგრძელო ღმერთისა თქვა, აი, სწორედ ეს თავისი თავსატეხი კითხვაც მაშინ დაგვისვა:

– ზოგსა რომა დღესა, თავი იგრე მააქ რო, ვითომ თავის ჭკუითა, ღმერთს უტოლდება, აი, მე მაგისტანა ყველაფრიმცოდნეებსა აიგეთ კითხვას დავუსვამ:

– აი, ამ წუთიდან დაიწყე თვლა – ერთი, ორი, სამი... და თვალე ასე, სანამ ცოცხალი ხარ, მერე ეს თვლა შენს შვილს გადააბარე გასაგრძელებლად, იმანაც მერე თავის შვილსა, ამ შვილმაც თავის შვილსა და ესე, სანამ ადამიანი იბოგინებს ამ ჩვენს დედამიწაზედა და თუნდაც მერეცა, ვთქვათ, მარსზერო გადავსახლდეთ კიდეცა მილიონი

წლის იქითა, აბა, ვინ იტყვის იმ ბოლო ციფრსა – მეხორციელთაგან ხო, ამის მთქმელი არავინაა...

– მოდით, ამა თავი გავანებოთ და დედამიწის ყველა მაცხოვრებელი ჩავაბათ ამ თვლაშია, ეე, კომპიუტერებიცა ხო, ოხრადა ყრია, ჩამოურიგოთ ყველასა და ეგეთი დავალება მივცეთ: ყველამ დაიწყეთ თვლა – ერთი, ორი, სამი... იგრე, რომა ერთმანეთის ნათვალი გააგრძელონ და გადააბანა ერთი მეორეზედა, აბა, მითხარით ახლა – ბოლომდე ვინმე გავა?!...

## მიწა რო გაცვდა?!...

- ეხლა, აი, წინსვლით თვლასა თავი გავანებოთ და უკან ვთვალოთ და წარსულში ვიაროთ - მინუს ერთი, ორი, სამი... აქაცა ბოლომდე ვინმე გავა კაცთაგანა?! - ვერავინა და აი, საოცრება მინდა მოგიყვეთ, მე თვითონ რო გადამხდა თავსა:

- ერთხელ ერთმა მეზობელმა შამამჩივლა-შამამტირა: აი, ნახე, ჩემ მიწა რა დაემართა, მთლად გაცვდა და გავერანდა... რამდენ ნეხვ ვაყრი, მაგრამ არა და არა, ღალა ერთიანად გამაეცალა - კიტრი კიტრს აღარა გავს და ხახვი - ხახვსა...

- ის რო ასე უჩიოდა ამ თავი ნეხვდაყრილ მიწასა, მე ამ აზრმა გამიელვა:

- მიწა კი არა,  
ვერ ხედავთ განა,  
გაცვდა, გაოხრდა  
მთლად დედამიწა...  
ღალადი სწორედ,  
ამაზე გვინდა:

წავიდეთ, ვძებნოთ  
სხვა „დედა“ – „მიწა“...  
მაგრამ ვნახავთ კი,  
სხვა დედამიწას?!...



## ღმერთი კომპიუტერივითაა

- ღმერთი კომპიუტერივით აპროგრამირებს ადამიანთა ცხოვრებასა უთვალავი წლობითა...

- ფინთად გახდება კაცი, ამეებზე ფიქრს რო შეებმება, ამის გადამკიდე შაიძლება რო გიჟადაც კი იქცეს... ჰოდა, მეც ამას „სიგიჟის ფილოსოფია“ დავარქვი, თუ აგიყოლია, მართლაც რო გიჟად გაქცევს კაცსა...

- კაციშვილი ვერავინ დამარწმუნებს რომა, ამი პასუხსა ვინმე იტყვის დედამიწაზე და ჭკვიანი კაციც ამეებზე ფიქრს მოეშვება, თორე შაიძლება მართლაც რო გაგიჟდეს...

- ჰოდა, მეც ჭკუა ვიხმარე და ამ „სიგიჟის ფილოსოფიას“ დროზე შევეშვი და ეს ყველაფერი ღმერთს მივანდე – ყველასი და ყველაფრის გამგე – მბრძანებელსა და სამყარო შემოქმედსა, როგორცა რომა დალოცვილი რუსთაველი გვეუბნება... მე კი ჩემ მხრივა ეს ჩემი განცდა ქაღალდს მივანდე, არ ვიცი მოგეწონებათ, თუ არა, მაგრამა მაინც, ვიტყვი:

– ყველა პრობლემა გადავწყვიტე ამქვეყნიური,

ჩავწვდი ყოველგვარ საიდუმლოს ამა ქვეყნისას,

– სიკეთისას და ბოროტებისას,

სიყვარულისას – სიძულვილისას...

მხოლოდ ვერ ჩავწვდი დროსა და სივრცეს,

ვერც მათ დასაწყისს, ვერც სასრულს მათსა...

სასრულობა – უსასრულობის ფიქრს გადამკიდე,

რამდენი გონი დაბინდულა, თუ დათვლის ვინმე

ამ უსასრულოდ გაწელილ რიგებს,

ან, პასუხს მისცემს

სასრულობა – უსასრულობის

ამ წყეულ კითხვებს?...

მაგრამ რას ვეძებ

ანდა, ვის ვეძებ –

ღმერთია თვითონ დროცა და სივრცეც...

## როგორ და საიდან იწყება წუთისოფელი?...

– მე ერთი უბირი ქალი ვარ, ფილოსოფიასთან რა საქმე მაქ, მაგრამ ჩვენს დალოცვილ სიმღერებს რო ვუსმენ წუთისოფლის რაობაზედა, ვქეზდები და ამ ფიქრებს მეც შევეჭიდები ხოლმე ძალაუნებურადა...

აი, ჩემმა გიორგიმ ერთი ამერიკელის ფილოსოფია ჩამამიტანა – ვენაცვალე მაგასა, მაგასაც ძან უყვარს ფილოსოფია ჩემნაირადა...

– ის ამერიკელი პირქვე ამხობს დარვინიზმსა და ამტკიცებს რომა, სიცოცხლე მონაცვლეობს სამყაროში პლანეტიდან პლანეტაზე, მაგრამ ვერ ამხობს როდისა და როგორ ხდება ესა ჩვენს წუთისოფლადა და ვერც იტყვის ვერც ისა და ვერც ვერავინა, იმითვინა რო ეს მარტო ღვთის ნებაა...

– ჩვენ კიდენევე სკოლაში კომუნისტები სუ იმა ჩავგვიჩინებდნენ რომა, მარტო მარქსიზმი და დარვინიზმი ჩემმარიტი მეცნიერება, რელიგია კი, ხალხის ბანგიაო, პირჯვრი წერაც კი, აგვიკრძალეს, მაგრამ აბა, ვისა გვჯეროდა... ეს ამერიკელი კაცი პირქვე ამხობს ერთსაცა და მეორესაცა, ვენაცვალე მაგასა, ღვთისმოყვარული ჩანს..

– აი, თავი გავანებოთ ფილოსოფიასაცა, ეგე, ჩვენ სუფრაზედა ხო ხედავთ კალათებშია ვაშლს, თუ ატამსა, თხილსა, თუ კაკალსა – აბა, შეხედეთ მაგათა – ყველა ერთი ხის ნაყოფია და ორ ერთმანეთის მსგავს ტოლსა და სწორს ვერ ამაარჩევთ, აგე, ვაზი აქედანაცა ხო ჩანს, შევხედოთ მაგასაცა, ამ დალოცვილ რქაწითელსა – აბა, ორ ერთნაირ მტევანს, მტევანს კი, არა, მარცვალს, კიწსა, აკიდოსა და ჩხასა ნახავთ?!... ამაზე ბევრი მიფიქრია და პასუხი ვერ მიპოვია, გარდა ერთისა, ე, მაგ ლექსის ბოლოში რომაა:

– ერთფეროვნების მოძულე ღმერთმა სამყაროშიც, ბუნებაშიც და კაცთა შორისაც მრავალფეროვნება გააბატონა... აბა, ამდენი ერი საიდანა?! ჩვენცა ქართველობაცა მის ძალითა და მადლითა არა ვართ ამ ქვეყანაზედა?! ეგე შეხედეთ ჩვენს ბუნებასაცა, თუნდაცა, აი, ჯაგნარასა - ეგრე არაა?!

– ამ ჩვენს ჯაგნარას თავი გავანებოთ, მა, დავიჯერო, ეს ქალაქელი ხალხი ისე იბადებით და კვდებით, რომა სიცოცხლეში ერთხელ მაინც, ცაზე ვარსკვლავებითვის არ შაგიხედავთ – აბა, იმ ვარსკვლავებშიცა ორი ერთმანეთის ტოლნი და სწორნი ამოარჩიეთ?!...

– ეს ჩვენი სოფელ-ქვეყანაცა ეგრე არაა მოწყობილი, კაციცა და კაცობრიობაცა... შორს რათ გვინდა წასვლა, აი, აქა, ჩვენს სოფელშია,

ავიღოთ ვთქვათ, უნიფხოანეები – თავიანთ დღე და მოსწრება სუ საჭმელ-სასმელისა და ტანსაცმლის მონატრება აქვთ, სუ სხვისკენ უჭირავთ თვალი, ვენახსა ვინ ჩივის, სახლში ერთი წესიერი ხეც კი არ უდგათ, მწვანილი რა არი, ისიც კი, არა აქვთ თავიანთ ეზო-კარსა და ბოსტანშია, მაგრამა მაინცა, ჩვენიანია და ჩვენი გასატანია, ჩვენი საპატრონო და შესანახია. ამასაც ღმერთი გვავალებს, ღმერთიც და ჩვენი კაცობა და სინდის-ნამუსიცა. რატო თქვა რუსთაველმა – მიეც გლახაკთა საჭურჭლეო, დავითიცა და თამარიცა მაგათ გაკითხვაში არ აცალიერებდნენ ქისებსა...

თქვენ გგონიათ, რომ საცექველას ფილოსოფია ამით მთავრდებოდა – არა და არა: სანამ ღმერთთან ტრიალებდა, სადღა არ მოივლიდა, რომ ღმერთის ძალმოსილება ეჩვენებინა, ხან ვის მოიშველიებდა და ხან ვის რუსთაველიდან მოყოლებული, ილიამდე... ახსნა კი, ამისა მისებურად ერთი და ერთადერთი იყო: ღვთის გმობა და მისგან განდგომა ერის სულით და ხორციტ წარწყმედის ტოლფასია, ამაში ცდილობდა დაერწმუნებინა ყველა...

თავისებური ახსნაც ჰქონდა ამისა, ღმერთის სადიდებელ სადღეგრძელოს რომ მოამთავრებდა ბოლოს:

– ერთში მრავალი,  
მრავალში ერთი –  
ეს არის ღმერთი...

ათასი მაგალითიც მოჰყავდა ამისა - კავკასიის მთებისა და ალაზნის ველისკენ გაგვახედავდა, გვეტყოდა: ეგ ეგრე თუ არაა, გახედეთ მაგათა, თვალიც და გონებაც ამა არ გვეუბნება განა ამ მთებსა და ველს რომ უყურებთ?!...

## კაცი, კაცობრიობა და ერი...

ტრადიციას არასდროს ღალატობდა და „პურიჭამაზე“ ღმერთის შემდეგ „ერისას“ იტყოდა: სულ მიკვირდა – სპეციალური განათლება არ მიუღია და საიდან ამდენი ჩვენი, თუ უცხოელი ავტორიტეტების ცოდნა? თვითონვე ამიხსნა ჩვეული გულახდილობით და სიმართლით:

– ქართულ სუფრაზე რო იტყვიან, „აკადემიააო“, სრული

ჭემშარიტებაა და ამის მაგალითი მეცა ვარ: რასაც კი, თქვენგან, ამ განათლებული და ნაკითხი ხალხისაგან გავიგებ ხოლმე, ქათამივით ვკენკავ და მერე ვეძებ ამ ჩამახსოვრებულს, რო წიგნებშიაც ამოვიკითხო, ჩემებურად გავიაზრო – გავითავის-გადავხარშო...

- აი, თქვენგანა რო მიხაკო წერეთელის „ერი და კაცობრიობა“ გავიგე, მარიამსა ვთხოვე – ჩამომიტანა და თითქო ეს კაცი ჩემ გულში იჯდა, ჩემნაირად უფიქრია და წერს ისიცა – ჯერ ერი და მერე კაცობრიობაო, მაგრამა რა ათასი საბუთებითა ძველი, თუ ახალი ისტორიიდან – გაკვირდება კაცი, თანაცა სუ სხვადასხვა ენებიდანა... აი, კარგი განათლება და ენები ცოდნა რატოა საჭირო...

- დიდი კაცი ყოფილა, თანაც ილიას მეხოტბე და თანაზიარი... დიდი და ჭკვიანი რო არ ყოფილიყო, აბა, გერმანიაში პროფესორი და აღიარებული მეცნიერი როგორ გახდებოდა... რა გატაცებით წერს ქართველთა ძველ ისტორიაზე, ძველ ღმერთებსა და სახელმწიფოებზე... და მეც მჯერა, რო მთავარია ღმერთი გწამდეს, ჩვენზე – ადამიანებზე მაღლა მდგომი ძალა ისაა მხოლოდ...

- მაგრამა ეხლა სხვანი გახდნენ ადამის ძენი – არცერთი ღმერთის აღარა სწამთ, ეშმაკი დაეუფლა ჩვენ თავსა და გონებასა, „ქაჯეთის ციხედ“ იქცა მთელი დედამიწა, ლამის ერთ დიდ ქალაქად რო გადაიქცეს და ერთ დიდ სოდომის ცოდვადა,... კაცს შეგეშინდება რო დაფიქრდები – საით მივდივართ, სიკეთისა და სიყვარულისკენა ვითომა?!... არა მგონია...

- ეხლა ქალაქ ვილა ჩივის, მიყრუებულ სოფლებშიც კი, ათასი უკუღმართობა გაბატონდა... ჩემს ბავშვობაში როგო წარმოვიდგენდი რო ნარკომანებით გაივსებოდა აქაურობა, სახელიც კი, არ ვიცოდით ჩვენმა თაობამა, ეხლა ლამის ყოველ მეორე ოჯახს დაემართა ეს უბედურება... საშველი უნდა ამასა...

## საქართველო კლანჭასავითაა...

საცექველას უყვარდა კაცისა, თუ კაცობრიობის თემას რომ შეეხებოდა, ორივეს ბუნებასთან გამთლიანება - ისინიც ბუნების ნაწილია, ბუნების შვილნი ვართ ჩვენცაო - სამყაროს შემოქმედმა ასე ინებაო...

- აი, აიღეთ ეგე, ჩვენს ფეხთით რამდენი ბალახია, მაგრამ კლანჭასავით მაგარი არაფერია ამქვეყნადა... ერთხელ მე და მიხამ

ვცადეთ... ვენახს მოვაშორებთო ვიფიქრეთ - თავები ჩავიხოცეთ, ბარი და თოხი გავცვით და კლანჭა კი, ვერა და ვერ მოვსპეთ...

- აგე, ჭერემზე კაჭკაჭის ბუდეს ხო ხედავთ - სუ კლანჭას კლერტებით აკეთებს - იცის, მზე და წვიმას მაგაზე უკეთ ვერაფერი უძლებს, კაჭკაჭმაც კი იცის ესა, ჰოდა ათი წლისა და მეტისაც რო იყოს ეს ბუდე, თუ ქარმა კლანჭას ერთი კლერტი ჩამაგდო, მიწა რო მახვდება, დამთავრებულია - გაცოცხლდება აუცილებლად, ფესვებსაც გაიდგამს ისეთსა რო კილომეტრებზე გავა...

- ჰოდა, საქართველოც სწორედ რო კლანჭასავითაა, ვინ არ ეცადა მის მოსპობა - ამოდირკვასა და გაქრობა - სახსენებლის გაწყვეტასა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და არცა მომავალში გამოუვათ ღვთის მადლითა...

- მთავარი აქაც მაინცა, ჩვენა ვართ, ჩვენ თვითონა რო არ დავკარგოთ ჩვენი ცხოვრებისა და ყოფის სათავე, ჩვენი ჯიმ-ჯილაგის მაცოცხლებელნი ფესვნი, აი, ილია რო გვაფრთხილებს მუდამა...

## სექსი, ზნეობა და ოჯახი...

თქვენ გგონიათ ესე მოდაში რომ შემოვიდა დღეს სექსი და გენდერიზმი, გვერდს უვლიდა საცეკველა? სრულებითაც არა, თავისი თეორია აქაც შექმნა. ზოგს შეიძლება მოგეწონოთ და მხარიც დაუჭიროთ, ზოგს არა, მაგრამ მას ხომ, მარტო ის ჰქონდა მიზნად, თავისი აზრი ეთქვა – მერე გინდათ მოიწონეთ და გინდათ არა...

- აი, რო ამბობენ ჩვენთანაც და სხვაგანაცა რომა მოწონებით და სიყვარულით იწყება სექსიცა და ოჯახიცა, ორივე ხელით ვეთანხმები... მაგრამ ერთი რამ კი ავიწყდებათ – მოწონება და სიყვარული მერე და მერე სხვა რამეებით თუ არ შემაგრდა, ჩაიკირა და დადუღაბდა, შარშანდელი თოვლივით დაიკარგება, ოჯახიც თან მიჰყვება და შვილებიცა – ამიტო ინგრევა ამდენი ოჯახებიცა...

- „თაფლობი თვე“ რატო დაერქვა ამ საქმე რო იწყებენ ქალიცა და კაციცა, ეგ თაფლობი თვე რო გავა, მერე სხვა თვეები არ მოვა?... ჰოდა, მერე ერთმანეთთანა ნდობა და გაგება, ჭირ-ვარამში, თუ ლხენა-სიხარულში ერთად დგომა-თანადგომა თუ არ დადგება, არაფერი არ გამოვა...

- მეუღლეები რათა ჰქვიათ – უღელში ერთად უნდა შეებნენ, ერთად უნდა გასწიონ თავ-თავიანთი ჭაპანი უღალატოდა, თორე რა გამოვა, სექსი რაღას უშველის საქმესა, ...სიყვარულს მერე უეჭველი

სიძულვილი მოჰყვება, დალატიცა – მეუღლეობა კი, მოსისხლე მტრობად გადაიქცევა, შვილებიცა ხო ამეების შემხედვარე, გაუბედურდებიან... სულითა და ზნეობით რო დაეცემა ბავშვი, მერე იმისგან აღარ დადგება კაცი...

– რა, სექსი ცხოველებსაცა აქვთ, ყველაფერსა, რაც მზის ქვეშეთში ცოცხალია, მაგრამა ადამიანი ხო ცხოველი არაა, მას ხო აზროვნება აქ, ზნეობაცა და თუ ეს ზნეობა დაიკარგა, მეუღლეობაცა დაიკარგება და მაისპობა, მაისპობა ოჯახიცა, შვილებიცა კეთილზნეობას აცდებიან, ავზნეობასა და ბოროტების ეშმაკისეულ გზას დაადგებიან...

– რა, ცოტა მაგალითებია ჩვენ ირგვლივ ამისა, ეს სოფელ–ქვეყანა რო გაივსო ავზნეობითა? ეხლა წავლენ – წამოვლენ და გაზეთებსა, თუ რადიო–ტელევიზიაშია ხან რას დააბრალებენ და ხან რასა სიმართლის გარდა. ჰოდა, ჯერ სიმართლეს უნდა მივხედოთ აქაც, ოჯახისკენ, მეუღლეობისკენ გავიხედოთ – გავიაზროთ – გავითვალისწინოთა ჩვენცა და სახელმწიფომაცა, მერე რაც გინდათ სხვა – შვილი რო ხელიდან წავა, ჯერ ოჯახის ბრალი არაა?!...დედისა, მამისა, პაპა-ბებიისა?!... სხვაგან რას გარბიხართ, ჯერ ოჯახისკენ გაიხედეთ – მეუღლეობა რო მაისპო, ერთმანეთი ნდობა და გაგება, მა, ვერა ხედავთ – ბრმები ხო არ ხართ?!...

– ჰოდა, ჩემო კარგებო, ჯერ მეუღლეობა გაწიეთ, მოწონება – სიყვარული, ერთგულება და მერე ყველაფერი იქნება კარგადა, თუ არადა, ხარ-კამეჩისა არ იყოს, ერთი უღელი რო ჩამოვარდება, ურემიც სადმე ხრამში გადავარდება...

– ყველა ოჯახს აშოროს ესა, მაგრამა მე რომ არა ვთქვა, რა, თქვენა თვალები და ყურები არა გაქვთ – ცუდად მიდის ოჯახისა და ერის საქმეცა, ერთი შვილის გაჩენასაც ველარ ასწრებენ, ისე გარბიან ცალკ-ცალკე ორივენი აქეთ-იქითა, ის შვილიცა რა გამოვა, მწელი გამოსაცნობი არაა...

– მე უცხო ენები კი არა, ქართულიც არ ვიცი რიგიანადა, კომუნისტები მარტო რუსულს გვჩრიდნენ ძალითა, იმ თქმისა არ იყო – ვირს პიტნა არ უყვარდა და პირში ჩრიდნენო... ჰოდა, სხვებთან გავიკითხ-გამოვიკითხე ეს ჩვენებური – „მეუღლეები“, მსგავსი სიტყვა ვერსადა ვნახე, ესეცა წინაპართა დალატი არა?!...

– გაუფრთხილდეთ ხალხო, ამ ჩვენს დიდებულ სიტყვასა, მის არსსა და შინაარსსაც, ეს გადაგვარჩენს გადაგვარებასა, თორემა მტერი კარზე გვყავ მომდგარი პირდაღებული ვეშაპივითა და როდი გადაგვყლაპავს, არავინ იცის...

– ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთის იმედადლა ვართ, მაგრამ თუ

მაინცა მოხდა ეგეთი საშინელება, მაშინა უკანა დაგვრჩება ეს კარგი სიტყვა ჩვენი – „მეუღლეობა“, მასთან ერთადა ზნეობაცა, ოჯახიცა და შვილებიცა... ჰოდა, მტერიც რაღად გვინდა - ჩვენ თვითონა ამოვიძირკვებით დედამიწიდანა...

## ტერაქტი „ალიზის სასახლეში“ ...

არავის გაგიკვირდეთ – აქ ნამდვილი ტერაქტი არ ყოფილა, არც არასოდეს იქნება, ღრმადა მწამს. აქ საცეკველამ და მისმა სტუმრებმა ნიუ–იორკის ტერაქტი გავარჩიეთ მაშინ, როცა „ტყუპებს“ ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდათ და ალბათ, ჩვენ ერთ–ერთი პირველები ვიყავით მსოფლიოში, ვინც იქ დაღუპულთა შესანდობარი დავლიეთ...

– აი, უყურეთ, სადამდე მივიდა კაცთა მოდგმა და ვინ იცის კიდევ რა სიგიჟეები და სისასტიკე გველის წინ – ავისმქნელობას ხო, უფრო ადვილად ითვისებს ადამიანი...

– აი, ჯერ ხომა, პირველ სადღეგრძელოს ვსვავთ ჩემებური გააზრებითა – ღმერთისასა, ჰოდა, თითქოსდა, ღმერთს რა ხელი აქვს ამ საშინელებასა და სისხლისღვრასთანა, მაგრამა, აი, ღმერთის დიდებით რო იწყებს რუსთაველიცა, მერე რით აგრძელებს თხრობასა – ეშმაკებითა, ქაჯების ამბებითა და ბოლოსა ქაჯეთის ციხის აღებითა... რა, ქაჯეთის ციხე განა ტერორისტების ბუდე არ იყო მაშინა?!... სწორედაც რო იყო იმ დროებითვინა...

– ეხლა კიდენვე, სხვა მსოფლიო გახდა, ხმალი და მშვილდისარი ატომმა და რაკეტებმა შეცვალეს, სუ სხვანაირ ქაჯეთის ციხესთანა გვაქ საქმე დღესა, მაგრამა მაინცა ხო ასალები და დასანგრევია ესეცა?!...

მერე ჩვენც რომ ჩავერთეთ ამ საშინელი ფაქტის გარჩევაში და ვთქვით – როგორ შეიძლება, რომ ეს ტერაქტი სწორედ იმ ქალაქში დაგეგმეს და განახორციელეს, სადაც გაეროა – მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ორგანო, – ეს ხომ, ცინიზმის უმაღლესი გამოვლინებაა, დაცინვაა კაცობრიობისაც და მისი მომავლის ბედისაც, ნუთუ შეიძლება ტერორიზმმა და ტერორისტებმა მთელი კაცობრიობა მძევლად აიყვანონ...

– ხო ხედავთ რო შაიძლება, ჩაერთო საცეკველა, – ფაქტს საით გავექცევით... საქმე უფრო იმაშია, რომ თვითონა დიდი სახელმწიფოებიც უწყობენ ხელსა ტერორიზმსა და ტერორისტებსაცა ერთმანეთის ჯიბრზე და საზიანოდა... ამით კიე, იჩაგრებიან პატარა

ერები და ქვეყნები, თანაც ისე აწყობენ საქმესა, რო ერთმანეთთანა აომებენ, აქეზებენ და აიარალებენა – მიდით, მოკალით, დახოცეთ ერთმანეთი დაუზოგავადა, მე აქა ვარ – იარალი არ მოგაკლდებათო... ვთქვათ ჩვენთანა იარალი საიდან გაუჩნდათ აფხაზებსა და ოსებსა, ცხადია, რუსებისაგანა, – ბრმები ხო, არა ვართ, ყველაფერს კარგადა ვხედავთ...

მერე საცექველასაც და ჩვენს თავსაც შევეკითხეთ – რა არი საშველი, რომ კაცობრიობამ ეს თანამედროვე „ქაჯეთის ციხე“ აილოს და გაანადგუროს? – ზოგმა რა ვთქვით, ზოგმაც რა, ჩვენ ვინ რას გვეკითხება, მაგრამ სათქმელი ხომ მაინც უნდა ითქვას, საცექველამ კი, გვისმინა, გვისმინა და თითქოს შეაჯამა ეს თემა თავისეზურად:

– აი, სუყველა რო ამბობთ – კაცობრიობა და ცივილიზაცია ვალდებულია ეს პრობლემა რამენაირად გადაჭრას, ღმერთმა დაგვიფაროს ატომი რო მოქმედებაში მოვიდესაო და ათასნაირ შავზნელ სურათებსა ხატავთ ჩვენი მომავლისასა, ჩემს თავში უცბად ასეთი რამ საშველი იდეა გაჩნდა:

– აი, რამდენჯერ ახსენეთ გაერო – ორასამდე ქვეყანა არისო იქაო, ჰოდა, ერთმა და ორმა ქვეყანამა როგორ უნდა აჯობოს ორას ერსა და ქვეყანასა?!... ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერა გამიგია, რა, – ჩვენ თუ გონიერი არსებანი ვართ და არა ჯუნგლებში მცხოვრებნი მხეცები, მაშ, ვერ უნდა ვპოვოთ გონიერი გამოსავალი?!...

– ჰოდა, ჩემი ფიქრითა, აი, ამ გაერომა, თუ მართლა გაეროა და არა სალაყბო რამე, ასეთი კანონი უნდა მიიღოს: ის ქვეყანა, რომელიცა გაიგიჟებს თავსა და პირველი იხმარს ატომსა, ან, თუნდაცა, სხვა რამ იარალსა, იმის წინააღმდეგ ყველა ერთადა ვალდებულია იმავე წუთს ომი გამოუცხადოს და უკლებლივ დიდ-პატარა ყველა ჩაეხას მასთან ომშია. დღეს ხო ყველა ვხედავთ რო რუსეთია ის ქვეყანა, რომელსაცა თვალი სუ ომზე უჭირავს... როგორცა თევზი წყალში, რუსეთიც იგრეა ომშია. მაგრამა რა, რუსეთი მარტოა ამ ქვეყანაზედა?!

– რამდენი ერი ყავ გამწარებული მარტო თავის სამეზობლოდანა... ჩვენცა და სხვანი ბევრიცა. . . მე არ ვიცი, ვის როგორ მოეწონებათ ეს ჩემი აზრი, მაგრამა აი, ამ ჩვენ სოფელშია სწორედ რომა ასე ხდება – როცა ერთი ვინმე გიჟი და გადარეული თავს ყველაფრი უფლებას აძლევს, ფეხებზე დაიკიდებს ყველასა და ყველაფერსა, სოფელი პირს შეკრავს და ერთიც აღარ გაიკარებს ახლოსა, ჩასაქოლად გაუხდის საქმესა...

– ამ სოფელ-ქვეყანასაცა მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა ტერორისტებსა და მათ მხარდამჭერებსაც ყველა ერთად შეებრძოლება



და კანონგარეშედ გამოაცხადებს... მე და თქვენ ხო, ვერ გავაკეთებთ ამასა ამ ალიზის სასახლეშია, – გაერო რისი მაქნისია, თუ მართლაც მსოფლიო ერების გაერთიანებაა სიტყვითაცა და საქმითაცა?!... გიჟს, გადარეულს, ყაჩაღსა და მტაცებელსა ეგრე, ერთობლივად თუ მევერევით, თორემა სხვანაირადა მსოფლიო იმისი ლუკმა გახდება თავისი სიგიჟითა და ომებითა...

– სოფელიცა ქვეყანასა გავს, აი, „მსოფლიო“ რატო ჰქვია ჩვენს ენაზედა, ჰოდა, თქვენ რა გგონიათ, იმ ჩვენი სოფლის გიჟსა რო ეგრე მევექეციოთ ყველა, მერე გიყვარდეთ, გარიყული რო დარჩა სოფლიდანა, სულ თავ-პირში წაუშენია ხელები, ეე, რა მიმიქარიაო... და ხო ხედავთ, მართლა გიჟი კი არ ყოფილა – გასდიოდა და თავსაც იგიჟიანებდა. ჰოდა ამ ჩვენს მსოფლიო გიჟებსაცა ეგრე უნდა მოვექცეთ...

## – ერი მაშინ ერობს...

საცექველა ღმერთიდან და ერიდან მეფის სადღეგრძელოზე რომ გადავიდოდა, ასე ასაბუთებდა ამას:

– ეს მეფის სადღეგრძელო კი, ჩვენმა წინაპრებმა იმიტომ დააწესეს, რომა ერიც და ბერიც, ჩვენცა და ჩვენი ოჯახებიცა კარგი მმართველობის გარეშე სამათხოვრო ცხოვრებითა ვართ განწირულნი... ვაი, იმ ერს, რომელსაცა უჭკო-უუნარო და უვარგისი მმართველი შეხვდება. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი გამოცდილებითა... ცერცეტი და ტუტუცი რამდენი გამოვცადეთ ადრეც და ახლაცა... მარტო ლაშა გიორგიმ რა უქნა მამა-პაპათა აშენებულ ქვეყანასა – ველისციხელ ქალს რო გადააყოლა ხალხიცა და ქვეყანაცა...

– აი, ძეგლი რო დაუდგეს დავით აღმაშენებელსა, კარგია, კარგია ისიცა, რო ხელში გრაგნილი დააჭერინეს, მაგრამ ცუდია, რო არ ვიცით რას გვიწერს შიგა... შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამა მე ჩემებურად ავახშიანე ესა:

– გარდაგვიხსენ მეფეო გრაგნილი,  
შენს დაობლებულ ხალხს,  
შენგან ნაშენი ქვეყანა  
ეხლა უდაბნოს ჰგავს,

„ძლევაი“ მოგვენატრა ძლევულებს,  
„ძლევაი საკვირველი“ კვლავ...  
სიტყვა მოგვენატრა ნამდვილი,  
სიტყვა კი არსაიდან ჩანს,  
გვამცნე აღმაშენებელი წადილი,  
იმედს რო მისცემს კაცს...  
გარდაგვიხსენ მეფეო, გრაგნილი,  
ხელთ რომ გიპყრია მანდ...

მოწონების ნიშნად ტაში დავუკარით, მან კი აი, რა გვითხრა:

– ჭირივით მეჯავრება ტაში, ჯერ ხო კომუნისტებმა შამაძულეს, ხელისგულები გადაუტყავეს ხალხსა, მერე კიდენევე ამ ახლებმაცა, ტაშ-ფანდურითა რო გვატუტუცებენ ესენიცა დიდ-პატარასა...

– აი, მეფე ერეკლეს რო ტაშს არ უკრავდნენ, ანა, ჩვენ სხვა კარგ და სასახელო მეფეებსა, ღვთის მადლით ბევრნი რო გვყვანდნენ ასეთები, ზოგმა რო თავიც დადო ქვეყნითვინა... აი, ილიას პოემა რო აქვს დიმიტრი თავდადებულზე, რა ქება-დიდებას ასხამს...

აბა, ახლა მიჩვენეთ რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, მეფობასა რო ჩემულობს ყველა, რომელმა დადო თავი ქვეყნითვინა?!... თავის დადება კი არა, რუსეთთან ომის დროსა სად შემძვრალიყვნენ – გადამალვოდნენ მტერსა არ იცოდნენ თავიანთ პრეზიდენტთანადა... თავისი თავის გარდა არავინ და არაფერი ახსოვთ ეხლა...

– გამსახურდიას დროს აქ მიხამ ერთი ჯგრო ხალხი მაიყვანა და კინაღამ ერთმანეთი დაჭამეს, როცა ერთმა ილიას ოცნება გაიხსენა რომა საქართველოს როდის ეღირსება ინგლისის მსგავსი მეფის მმართველობაო – ხომ, არ გაგიჟდი, სწორედ მეფელა გვაკლიაო – იყვირეს ერთიანადა... მერე მე ჩემთვინ გავიფიქრე – ვაი ჩვენს ქვეყანასა ამათი გადამკიდე, ეტყობა თვითონ უნდათ ყველას მეფობა, თორე ილია ცუდს რას იტყოდა ჩვენი ქვეყნითვინა...

– ეს მეფობაც ისე შეგვაძულეს ჯერ ხო კომუნისტებმა და მერე ამათაც არანაკლებად, რო სადღეგრძელოს ვინ ჩივის, სახელი – „მეფეც“ კი, რაღაც სალანძღავ სიტყვად აქციეს... ხალხი კი, მაინც, არ იძულებს, იძულებს კი არა, აი, ერეკლე მეფის გარდაცვალება როგო იგლოვე ერთიანადა, თელავიდან სვეტიცხოველში რო მიასვენებდნენ...

– თელავში ხო ყოფილხართ – კაცმა მთელი სიცოცხლე ერთ ოთახში გაატარა, სადაც დაიბადა, იმ ოთახშივე გარდაიცვალა, ხალხი და ქვეყნი სამსახურში გალია სიცოცხლე, ... ეხლა კიე ერთ თელაველზე მითხრეს ამასწინათ რომა, რაც ხელისუფლებაშია, აქ ხო სრა-

სასახლეები აიშენა თავითვინაც და შვილი-შვილიშვილებითვინაცა, იქაც, თბილიშიცაო – აი, ეხლა როგო ესმით ქვეყნი სამსახური – ხალხი ბრმა კი არ არი...

– მე ეხლა იგრე ვერ მესმის ეს მეფობაზე დამყარებული წყობა, მაგრამა რაკი ილია ყოფილა ამის მომხრე, უცილობლად კარგი იქნება ქვეყნითვინა და წინაპართა ეს სადღეგრძელოც – ღმერთისა, ერისა და მეფისა განა ამას არ გვეუბნება?! დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ქვეყანასა მეფის სახელი გულს არ უნდა აზიდავდეს – სწორედ რომა პირიქითა...

– ვინც რა უნდა თქვას, სანამ მე ვარ ამ სამ სამება სადღეგრძელოს არ მოვიშლი, შვილებსაც ამას უბარებ ანდერძადა... აქაც ერეკლე მეფისა და სვეტიცხოვლის დიდი ტაძრისა არ იყოს – „საქართველოს ცხელი გული ასვენია“...

– აი, პოეზიაც ამიტომ მიყვარს – ამ სიტყვებში ხო, მოწყვეტით არის ნათქვამი ნატვრა და ოცნება ჩვენი ხალხისა – არაფრი გულითვინა არ დავუშვათ რომა საქართველოს ეს ცხელი გული საბოლოოდ გაცივდესა

– ილიაცა განა ამა არ გვეუბნება – ციდანაა ნაკარნახევი ისიცა... მაშ, ჩვენა რისი მაქნისები ვართ დღესა, რო სასმენელნი დავიხშოთ ამეებითვინა და ტაში უკრათ გაუთავებლადა ხან ერთსა, ხან მეორესა და მესამესა და მერეც ვინ იცის რამდენსა სხვასა... ტაში აგე, მე კი არა, დაუკართ დავით აღმაშენებელსა...

საცექველას ნუ ეხუმრებით – კეთილი რჩევით გირჩევთ: მე თვითონ რამდენჯერ გამოვცადა, თითქოს გულთმისანაიო, რასაც იტყოდა, მერე ვხედავდი რომ ყველაფერი სინამდვილედ იქცეოდა: გამსახურდიას დროს, რამდენჯერ თქვა – ღმერთმა გაუმარჯოს ამ კაცსა, მაგრამა ასე ყველას გადაკიდება და ლანძღვა-გინება შინ და გარეთა სიკეთეს არ მისცემს არც მასა და არც ქვეყანასა...

მერე მხედრიონელები რომ დაეპატრონენ ქვეყანას, მაშინაც იწინასწარმეტყველა – ეს შევარდნაძე რო ჩამაიყვანეს დიდის ამბითა, ვითომდა ქვეყნის საშველადა, აი, ნახავთ – უფრო დაიღუპება, გავერანდება, უსაქმურობა გაბატონდება ქვეყანაზედა – რაც რამე გადარჩა ხალხსა და ქვეყანასა, ესენი გადაჭამენ იმასაცა... მერე სააკაშვილზეც – კოჭებზე ეტყობა ეს უარეს დავგმართებს, რუსების საჯიჯგნაოდ გახდის ქვეყანასა, დამჯდარი კაცი არაა, შერეკილი და ჩიტირეკია ჩანს, მოკლე ჭკუა აქვს, წინ ვერ იხედება...

ამასობაში მარიამისა და გიორგის გარდა, დანარჩენებიც წამოიზარდნენ, დავაჟკაცდნენ – დაქალდნენ და ისინიც ჩვენი სტუდენტები გახდნენ... მარიამმა კი სასწაულები მოახდინა –

კონკურსში გაიმარჯვა, ბრწყინვალე თემა წარმოადგინა ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე, ენის ცოდნაშიც თავი მოაწონათ გერმანელებს და პერსონალურად მიიწვიეს მაგისტრატურაში, სტიპენდიაც დაუნიშნეს...

„ჯაგნარა“ კი ფართოვდებოდა, მხრებს შლიდა მთელ იმ ჯაგით მოცულ ფერდობზე... ცოლ-ქმარმა ახლა ეს ახალი იდეა მოიფიქრეს: მუხის დიდ კასრებში არაყს აძველებდნენ, „ზავოდიც“ იქვე გამართეს ჭაჭა რომ შორს არ ეზიდათ, შიგ ამ მუხის კასრებში თუთის ნაფოტებს და ფუტკრის თაფლ-გამოცლილ ფიჭებს ყრიდნენ, ალაზნიდან რაღაც ბალახ-ბულახს ეზიდებოდნენ და ფერთაც და გემოთიც საოცარ არაყს იღებდნენ, ნებისმიერ კონიაკს რომ ჯობდა... ხალხმა ამასაც თავის სახელი მოუგონა – „ხაშის არაყი“ – ხაშს მართლაც რომ უხდებოდა, მკვდარს გააცოცხლებსო, რომ იტყვიან... წინასწარ შეკვეთებს იღებდნენ და ღვინოზე არანაკლებ შემოსავალს აძლევდათ...

ღვიძლი ახლობლებივით დავუახლოვდით ამ საოცარ ოჯახს, ახლა ასე იშვიათი რომაა ჩვენთან... ყოველ ახალ ჩასვლაზე – „ჯაგნარას ექსკურსიები“ რომ დავარქვით, მიხას აღარ ვაცლიდით – თამადად „პატარა პურიჭამაზე“ მის „ფილოსოფოსს“ ვირჩევდით – ჩვენ აგერ, სამწვადე ჩამოვიტანეთ და წალამზე შენებურად ცვრიანი მწვადი შეწვიო...

ისიც მისებური სიკეთით სავსე ღიმილით თავს დაგვიქნევდა – ქინძ-მმარში ალაზნი ლოქო მაქ ჩადებული და იმასაც მიხედვა უნდაო – სუფრი მშვენებაა, მაგი გაფუჭება როგო იქნებაო...

ერთ რამედ ღირდა მისი ღიმილი – „მონა ლიზას“ ღიმილი ხომ გინახავთ, სწორედ რომ ასეთი სიკეთის, სიყვარულის და ენით აუწერელი რაღაც მიღმური შეგრძნებების მატარებელი იყო მისი ღიმილიც...

## კომლი

ვინც კი, „ჯაგნარაში“, ან „ალიზის სასახლეში“ მოხვდებოდა, ქებით ძირს გააგდებინებდნენ ცოლ-ქმარს, ეს რა გაგიკეთებიათ, ძეგლი დაგიდგავთ თქვენთვისაო...

ერთხელაც ჩვენც რომ ასე ვაქე – ვადიდეთ, გალაკტიონის სიტყვებიც კი მოვიშველიეთ – ძეგლი ავაგე ხელთუქმნელი, უნეტარესი... იცით რა გვითხრა ოთარაანთ ქვრივისებურად:

– ბავშვობიდანვე არ მიყვარს ქება და პირიდან ტყუილ-უბრალოდ თაფლის დენა, ქართველებსა რო ეგრე მოგვდგამს... აი, თქვენ რო იცოდეთ ყველამ – მე და მიხას კი არა, ეს უფრო მაგისი და ჩემი კომლის დამსახურებაა, შემოევლოთ ჩემი თავი მაგათა...

თვალეები და პირ-სახე რომ კითხვად გადაგვექცა, მთელი ლექცია წაგვიკითხა ამაზეც – თავისი თვალეებით ნახულობეც და ილიასთან, თუ ჯავახიშვილიდან ამოკითხულზეც:

– რო დაგვინახა ამ სოფელ-ქვეყანამა რომა თავეები ჩავიხოცეთ ცოლ-ქმარმა ჯაგებსა და ეკალ-ბარდშია, ორივე სანათესაო – საახლობლოდანა ჯერ თითო-ოროლა კაცი მოვიდა, წამოგვეშველა, მერე სხვებიცა და რატო ერთი ოცდაათმა კაცმა არა ღვარა ოფლი აქა, ერთმა თავისი ტრაქტორიც წამოგვაშველა.....

– მერე ჩემი ამბავი ხო იცით, ამ ჩვენ საბჭოში რო დიდ რვეულებსა აწერია ესა – „საკომლო წიგნი“ და შიგ მთელი სოფლის ოჯახებია ჩაწერილი, ვიფიქრე – ეს სიტყვა „კომლი“ არ უნდა იყოს „ოჯახი“ როგორცა ეხლა გვგონია სუყველასა...

– ავდექი და ვეძებე ამისი პასუხი ილიასთანა და ჯავახიშვილთანა და გონებამ არც ახლა მიღალატა: ისენიცა სწორედ რომა, რასაც მე ვფიქრობ, იმასა წერენ ამაზედა...

– ჰოდა, ჩემო კარგებო, ეს კომლობრივი სული მაინც ცოცხლადაა, თუ ჩვენ თვითონ არ მოვკალით საბოლოოდა, ღმერთმა ნუქნას... ეგრე, ისევა ვიკრიბებით ხოლმე სისხლით ნათესავეები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და დეიდაშვილები – ვეფერებით და ვესიყვარულებით ერთმანეთსა რო ამ წუთისოფლის ავ-კარგი გავიტანოთ ერთადა...

## – ღმერთმა აბედნიეროთ...

მარიამს გერმანიაში გიორგიც მიჰყვა – ევროკავშირის პროგრამით აილო საკვლევი თემა თვითონაც...

მარიამი კი, არ გვივიწყებდა – ჩვენ რომ არ გვეთქვა, თვითონაც გრძნობდა, როგორ ენადვლებოდათ ნინოსაც და მიხასაც მისი... გავიხედეთ და, მარიამთან ერთად, მისმა კურსელმა იქაურმა ახალგაზრდა კაცმაც მოუხშირა მასთან ერთად ჩამოსვლა. ჰენრი კარგი ყმაწვილი კაცი აღმოჩნდა, აქაურ გაქართველებულ გერმანელებთანაც გააბა ურთიერთობა – საქართველოს და კავკასიის გერმანულ კოლონიებზე ისტორიის დაწერა სურდა...

ვხედავდით, რომ ის მარიამის მიმართ გულგრილი არ იყო, ვერც მალავდა ამ განწყობა – სიმპატიებს. ისიც შევამჩნიეთ – არც მარიამი იყო გულგრილი მისდამი და ერთხელ ასეთი რამ ჩავიფიქრეთ: ექსკურსიაზე „ალიზის სასახლეში“ ჰენრიც გავიყოლიეთ...

დაფაცურდნენ ჩვეულებრივად მასპინძლები, ბევრი ვთქვით აქეთური-იქითურიც, საცეკველას გერმანულ-ქართული ურთიერთობის ისტორია გავაცანით მოყოლებული ერეკლე მეფიდან და ფრიდრიხ მეორიდან... ეხლა ამ გლობალიზმის ჟამს, რომ გერმანია და მასთან ერთად, ევროპაც გახდა ჩვენი ხსნა და მომავლის გზა... რუსეთის გადამკიდე, ჩვენი საშველი ესააო, თვითონაც დაგვეთანხმა...

მერე საცეკველას დაველაპარაკე ცალკე და მარიამისა და ჰენრის ამ ურთიერთსიმპატიებზე ჩამოვუგდე სიტყვა... რასაც ველოდი, სწორედ ის მითხრა:

– მეც ვატყობ მაგათ ამ სულიერ განწყობასა, მაგრამა ამ საქმეში არც მე და არც მიხა ვერ ჩავერევით – ეს ღვთის საქმეა, ხალხში რო ბედს ეძახიან ოდითგანა, რატოა ნათქვამი – სადაც არი შენი ბედი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო... ჩვენ კი რა, ესლა შეგვიძლია ვთქვათ – ეგ საქმე მარტო ორივეს გადასაწყვეტია და თუ ეს მათი ბედია, ღმერთმა აბედნიეროთ...

## სადამდე ვივლით...

თვითონ რომ ხელ-ფეხს არ აჩერებდა, დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, ოჯახი წინ როგორ წავეწიო, ბავშვებს არაფერი მოაკლდესო, სახელმწიფოც დიდ ოჯახად მიაჩნდა...

– აი, უყურეთ რა უთაობაა, – განა გონიერი კაცი აბრეშუმს გააქრობდა, ყველა ოჯახს რო სარჩო-საბადებელს აძლევდა ყოველწლიურადა, ესა ხო, კაც რო პირიდან ლუკმა გამააცალო, ისაა, – ვინმემ იფიქრა ამაზედა?!... ანა, ეხლა ღმერთმა იცოდეს ვის პურსა ვჭამთ, განა ჩვენ შირაქი არა გვაქ – „პური ბელელი“ ტყუილა დაერქვა?!... ანა, ამხელა მთა რო გვაქ თვალგაუწვდენელი ამერ-იმერიტა ბალახით სავსე – საქონელი სადღაა, მამასისხლად რო ვყიდულობთ გუდი ყველსა თუ სულგუნსა?!... რაც ქიზიყისა და მთა-თუშეთის ერთ სოფელში ცხვარი იყო, ეხლა მთელ საქართველოში არაა... მა, ეს საქმეა?!... მა, ამდენი მეცნიერები და აკადემიკოსები ტყუილა გვყავ, რო ერთი სათიბი მანქანა ვერ მაუგონიათ, ისევ ცელით რო წვალობს

ხალხი...

- ეგე, რამდენი პრეზიდენტი გამოვიცვალეთ, პარლამენტიცა, მა, ერთი ჭკვიანი არავინ გამოჩნდა რო ამეებზე ეფიქრა?!... მარტო ეს სახელი – „გარდამავალი პერიოდი“ რო მაიგონე ჩვენს გასაბრძოლებლად, ხალხი ბრმა – ყრუი ხო არა გგონიათ – ამიტომაც კარგად გადავარქვით ე მაგ ცრუპენტელა სახელსა, რაც არი, ისა – „გაუგებარი პერიოდი“ ...

- გაუგებარია აბა, რა ჯანდაბაა – მოვა ერთი და ვითომ საქმე რამეს აკეთებს, რაღაცა უბედურებას გააკანონებს, ახლა მეორე მოვა და... ეს ეგრე კი არა, ასე უნდაო და თავის ჭკუა-გონებაზე გადააკეთებს, მერე მესამე, მეოთხე და ამ მაგათ „გარდამავალს“ რაღა დაამთავრებს – სუ გარდამავალში როგო შაიძლება რო იცხოვროს კაცმა, გარდამავალი ასაკიდანა მერე ბავშვი დიდობაში არ გადადის განა?“... გაუგებარი გამოდის მა, რა ჯანდაბაა... - სუ ბავშვობაში უნდათ გვამყოფონ თუ რა ოხრობაა... ღმერთმა იცოდეს, ასე სადამდე ვივლით...

- აქაცა, ეს გაუგებრობა რო დამთავრდეს და ხალხისა და ქვეყნის წამებაცა, ჩვენი წინაპრების სიბრძნესა და ჭკუა-გონებას უნდა მოვუხმოთ – ციდან ხო არ ჩამოვვარდით გუშინა, ამდენი საუკუნეები გვიცხოვრია, გვიფიქრია, მადლობა უფალს დამწერლობაც შეგვიქმნია და საანდერძოდა ბევრიც დაგვიწერია...

## რა არის საშველი?...

თქვენ გგონიათ საცექველა მარტო ამ ჩვენი „გაუგებარი“ დღევანდელი ყოფის კრიტიკაზე აგებდა თავის თეორიებს – სრულებითაც არა. რომ შეეკითხებოდნენ – რა არის საშველიო, ნეგატივიდან უცბად პოზიტივზე გადავიდოდა:

- ამა რა დიდი მიხვედრა უნა, რა არი საშველი და ილიაა, მისი ანდერძის საქმედ ქცევაა. აქეთ-იქით რო დარბიან ჭკუის საკითხავადა, რაზე ხარჯავენ ამდენ დროსა და ფულსა, ჯერ ჭკუა ილიასგან იკითხონ და მერე თუნდაც ათასგან სხვაგანა...

- საკვირველია პირდაპირ, მე ვინ რას მკითხავს და არა მწყინდება ილიას კითხვა და მასზე ფიქრი. ყვარლისკენა წარა-მარა ხედვაც იმიტომ დამჩემდა. . . ილიასთანა ხო სწორედ რო სუ იმაზეა ლაპარაკი, რა გვეშველება – როგორ წავიდეს წინ ჩვენი ქვეყანა.

აი, როგორაო – იაფი მთავრობა და ძველებური სწრაფი სამართალი

უნდა დაწესდესო, ჩვენი ხსნაო სოფლის, თემისა და მხარის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშიაო, ხალხში დაგროვილ ენერჯიას ამით მიეცემა ავალა და გზა-კვალიო... ჯერ ჩვენ ისტორიაში ჩავიხედოთ და მერე სხვებისაშიო... ჩვენ მთა-ბარს მივხედოთ - ეგ არი ჩვენი მარცენალიო, მაგაზე დიდი და ბრძენი კაცი ვინა გვყავ, აბა, დამისახელეთ...

– ჰოდა, სუ დემოკრატიაზე რო ლაპარაკობთ მოუღლელადა, ეს რა, დემოკრატია არაა ილიაცა?! მაგრამა ილია მარტო იუბილეებზე თუ ახსენდებათ სალაყბოდა და ტაშისსაკვრელადა, მეორე დღეს კი, ავიწყდებათ ვითომაც არა გვყავდეს...

– დემოკრატია გვაქო, არჩევნებით თავს რო იწონებთ, მე თვითონ ხო რამდენჯერ შევესწარი რა არჩევნებიცაა – არჩევნები კი არა, ისევ დანიშვნებია კომუნისტებივითა... ფული და ძალაუფლება ბატონობს ისევა ხალხსა და ქვეყანაზედა... განა, გამსახურდიამ კომუნისტებთან მძურად არ გაიყო ერთიცა და მეორეცა, ჩემი თვალებით ვუყურებდი ამასა – თავ-თავიანთი სიებით რო დარბოდნენ სოფელ-სოფელ საარჩევნო უბნებზე და ამდენი ხმა იმასა და ამდენი ხმა ამასაო, ამდენი დეპუტატი შენო და ამდენი მეო...

– ჰოდა, ცეკასა და კაგებეს მოტანილი თავისუფლება რო ასეთი გახდებოდა, რა ძნელი მისახვედრია... მერე გამსახურდიაც გააბრიყვე – გაწირესა და რუსეთს დააჯახეს – თვითონაც გადაყვა ამასა და ქვეყანაცა... შევარდნაძე ჩამაიყვანეს ვითომ ქვეყნი მხსნელადა და მაგასა ხო, თავის სკამის გარდა, არაფერი ახსოვდა ადრეც და ახლაცა – ცეკაობის შემდეგა მეორედ დაანგრია და დააქცია საქართველო... სააკაშვილმა და ნაციონალებმა ხო, ამაზე უარესი დამართეს ხალხსაც და ქვეყანასაცა... - იმდენი იგიჟეს, ლამის გაანახევრეს...

– აი, ამიტომაც გადავაქციეთ ეს გარდამავალი პერიოდი გაუგებრობადა... ეს კიდეც არაფერი, არც რო თავს ვიწუხებთ იმაზე ფიქრითა, როგო დავაღწიოთ თავი ამასა...

## – კუჭი ოხერია...

სად იყო მარქსი ან, ენგელსი, ანდა, თუნდაც, ლენინი, სტალინი და მათ-მედღუნი, საცეკველამ რომ თქვა – კუჭი ოხერია, თავის ნებასა და ჭკუაზე ათამაშებს ადამიანსა...



მაგრამ საცექველას თეორია ცოტათი განსხვავდება მათგან – კუჭი ოხერია, თუ გული თავის ადგილზე არ დგას, გულიცა და თავიცა!...

როგორ იტყვი, სხვაობა ხომ არის?!... ჰოდა, სულ ამას ჩასჩინებდა თავის შვილებსაც და სხვებსაც:

– შვილებო, ნურავის ათხუბთ ყურსა, ჯერ საკუთარ გულსა და თავს ენდეთ და მერე სხვათა ნათქვამსა... აი, ჩვენცა, კომუნისტები რო გვიჩინებდნენ ბავშვობიდანა – რის სული, რა სულიერება, რის ღმერთი, რა ეკლესია, ეგ ყველაფერი ზღაპარია, მთავარია მატერია, ყოფიერება – წაიღეს ტვინი ამეებითა...

– მერე რა მოხდა ბოლოსა – თვითონა კარგად მოიწყეს ეგ ყოფიერება, ხალხი კი, დატოვეს მშრალზედა – არც სულიერება და არც ყოფიერება, აი, რა მიიღო ხალხმა დღესა...

– კუჭი რათ უნდა თქმა, ოხერია, თავისას თხოულობს მუდამა, მაგრამა მაგას თუ გადააყოლე ყველაფერი, არაფერი გამოვა... რა, კუჭის ზემოთა გული და თავი არაა?! აბა, მოიშორე თუნდაც ერთ-ერთი, კუჭიც ოხრად დაგრჩება და ყველაფერი სხვაცა...

– ამიტომა, ჩემო შვილებო, ჯერ თავსა და გულს მიხედეთ და მერე კუჭსა. ხო, კაი თქმა ხალხისა – მუცელს ნუ გადაყვები, მუცელი შენ ქვევით არაა, აღორებ - ღორია და აქორებ ქორია, - ნუ გაიხდი მბრძანებლად?!... ჰოდა, მიყევით ხალხის ხმასა...

საცექველას თეორიებს რა გამოლევს და ეხლა, როცა კომუნისტები ისტორიას ჩაბარდნენ, თქვენ გგონიათ საცექველას „კუჭის თეორია“ მოკვდა? – ნურას უკაცრავად, უყურა, უყურა ამ ახალ ხელისუფლებასაც და ეს თეორია კიდევ უფრო განავითარა, ასე ვთქვათ, ახალ დრო-ჟამს დაუქვემდებარა:

– არჩევნებიო, დემოკრატიაო... რო გაიძახიან წაღმა-უკუღმა, აქა წყდება თქვენი და თქვენი ქვეყნი ბედო, სულელები ხო არა ვგონივართ: როცა კუჭი ცარიელია, იქ რა არჩევნებზე ლაპარაკია – მშიერი იმა მისცემს ხმასა, ვინც გადაუგდება ძალღივით რამე ლუკმასა... მშიერთანა გული და თავი აღარა მუშაობს და არც მტყუნ-მართალის გარჩევას დაეძებს...

– აი ნამდვილი არჩევნები იქნება მაშინა, როცა საქმეში კუჭი კი არა, გული და გონება ჩაერევა და თავის გზა-კვალს მისცემს სიმართლესა, ილია მართალივით მართალ კაცსა და არა ცბიერსა და მატყუარასა. ვითომა, ევროპასა და ამერიკასა რო ბაძავენ, იმათ წეს-წყობასა და დემოკრატიასა, იქა კუჭის საქმე მოგვარებული აქვთ, იქ კაცზე კუჭი კი არ მოქმედობს და მბრძანებლობს, არამედა მართო თავიანთი ჭკუა-გონება მტყუნ-მართლის გასარჩევადა...

## – არწყენაზე ვიყოთ...

– ვიცი რო ეს ჩემი ლაპარაკი ბევრსა წყინს – რა ვქნა, ეგეთი ვარ – ბავშვობიდანვე ტყუილს ვერ ვიტან, სიმართლე მიყვარს... ვენაცვალე გურამიშვილის სულს, სადღაც უცხოეთში გადახვეწილმა ეს სიბრძნე რო თქვა – „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბედ რად?!“... მართო ეს სიმართლე მოგვაშორებს ახლაც ჭირსა და გაგვიყვანს სამშვიდობოზე ქართველობასა...

– ამიტომ ვამბობ ხშირად – თუ გვინდა ესა, არწყენაზე უნდა ვიყოთ ერთმანეთთან – აი, ოპოზიციას რო ეძახიან, ოპოზიციაც ესაა და არა ერთმანეთზე მტრულად ჩასაფრება, გაუთავებელი ლანძღვა-გინება და ზურგში დანის ჩარტყმა... გაუგებარი პერიოდიც მაშინ დამთავრდება...

ოჯახშიც ეს ჩვევა ჰქონდა – თვითონ იყო, თუ სხვა, არწყენაზე ჰქონდა აგებული ურთიერთობა – ყველამ იცოდა მისი ეს ხასიათი და არც არაფერი სწყინდათ, თვითონაც უფლება ჰქონდათ მისთვისაც ეთქვათ ეს და თქვენ წარმოიდგინეთ, საცეკველაც ხშირად ეთანხმებოდათ, თანაც მაღლიერებით – მართალი ხართო, მე შემცდარი ვარო, მაგრამ თუ მართალი იყო, ვერავინ ჩატეხავდა...

## საცეკველას ჩაჭრა ტყუილი ოცნებაა

რამდენჯერაც ვცადეთ საცეკველასთან კამათში ჩვენ ჩვენი სიტყვის გატანა, არა და არა – თუ იცოდა სიმართლეა, ის თავის სიმართლეს თავ-ცოცხალი არ ღალატობდა... ჩვენ ხშირად კათედრიდან ახალგაზრდობაც მიგვყავდა და აი, ერთხელ ერთ-ერთმა საცეკველას ასეთი რეპლიკით მიმართა:

– ქალბატონო ნინო, რაც თქვენ ქვეყნის დღევანდელი პრობლემები ჩამოთვალეთ, ყველაფერში გეთანხმებით – სრული ჭეშმარიტება ბრძანეთ – დღეს ცუდ დღეშია ჩვენი ხალხი და ქვეყანა, მაგრამ გარდამავალი პერიოდიც ხომ, იმიტომ არსებობს, რომ თანდათანობით, რევოლუციის კი არა, ევოლუციის გზით ისინი გადავჭრათ, სხვანაირად ხომ მაშინ სტალინი და სტალინიზმი უნდა მოვიხმოთ ისევ, ღმერთმა დაგვიფაროს ამ შავი ჭირისაგან...

საცეკველა რის საცეკველაა, რომ ვინმეს ასე ადვილად დანებდეს და თავისი ბოლომდე არ გაიტანოს – ის ნამდვილი ქართველი მარგარეტ ტეტჩერი და ანგელა მერკერია, შეიძლება რომ მეტიცა - პოლემიკაში მისი მომრევი, პირადად მე არავინ მინახავს და სმენად გადავიქცეით ყველა, რას უპასუხებდა ჩვენი დოქტორანტის ამ რეპლიკას...

– შვილო, ჩემი გიორგის ტოლა ხარ, ჩემი შვილებივით მიყვარხართ ყველა, ჩვენმა თაობებმა მეტი ვერ შეძლეს და თქვენი იმედილა მაქვს, ქვეყანას იქნება თქვენ მოუტანოთ ის სიკეთე, რაზეც ილია ოცნებობდა, მაგრამ არა სტალინის გაუთავებელი ლანძღვა-გინებითა, მოდად რო იქცა დღესა... დიქტატორიო – დიქტატორით გააკვირვებ ან რუსეთსა, ანდა, თუნდაცა მსოფლიო ისტორიასაც – ვერ დაითვლი, იმდენნი არიან, რუსი კიე, ოდითგანა დიქტატურითვინ არ არი დაბადებული?!... ვერ უყურებთ პუტინსა, როგო მოაჯდა რუსეთსა, – რა, სტალინი გამაცვლიდა რუსეთსა და რუსებსა?!... ღმერთმა ეგეთები გააჩინა და ...

– ბევრს ასე ჰგონია, რაც უფრო მეტად გალანძღავს სტალინსა, მით უფრო კარგად დაამტკიცებს, რო აი, ნახეთ, რა დიდი ჰკუა-გონების პატრონი ვარო... სწორედ რომა პირიქითა: ლანძღვა-გინება უჭკუობაა და მეტი არაფერი – მაგამი ჰკუა აბა, ვინ და სადა ნახა... ხელისუფლებაც ამ მოდას აჰყვა, მაგრამა ხალხი რო სხვასა ფიქრობს და ამბობს?!... სახელმწიფო კი ოჯახსა ჰგავს, თუ ნდობა, ერთობა და თანხმობა არაა, ყველაფერი დამთავრებულია...

– მე, არც სტალინისტი ვარ და არც სტალინიზმის მომხრე და მქადაგებელი, საბჭოეთს რო ვიხსენებ, მზარავს, ღმერთმა დაგვიფაროს მართლაცა მისგანა, მაგრამა მე ქართველი ვარ და მიხარია რო ისეთი კაცი გვყავდა, თავისი დროის მსოფლიოში თავისი სიტყვა რო თქვა...

აი, ისევ ჩვენი ილია მახსენდება და აი, რა სიბრძნე დაგვიტოვა მან: სიმართლის მაძიებელმა ჯერ ის დრო უნდა ნახოს და გაიკითხოსა იქ მოქმედი კაციო...

- სხვანაირად სიმართლეს ვერ მივაგნებთო, მოდით, აქაც დაფუჯეროთ ილიასა...

– ჰოდა, ჩემო კარგებო, იქნება სჯობდეს რო ჯერ ის დრო ვნახოთ ჩვენცა... მაშინა ხომა, სტალინსა კი არა, მთელ ევროპასა და მსოფლიოს სოციალიზმისა და რევოლუციების სახადი ჭირდა. აი, რო ვკითხულობ ხოლმე მაშინდელ დროებაზე წიგნებსა, იქ ყველგანა ამაზეა ლაპარაკი – ერთი იმასაც კი წერს, ღამე რო ვიძინებდით, დილით გვეგონა ახალ სოციალისტურ მსოფლიოში გავიღვიძებდითო...

– ჰოდა, არ უნდა გვეამაყებოდეს და გვესახელებოდესა, რომა

„დილას“ ავტორი კაცი იმდროინდელ მსოფლიო არენაზე გავიდა... უნდა მოვკონდეთ ეხლანდელი ქართველობაცა, რომა სიმართლეს თვალი ვუსწოროთ... აბა, ეხლა რატო ფრანგები არ ლანძღვენ ნაპოლეონსა ეგრე გაუთავებლად... - რა, დიქტატორი არ იყო ისიცა. . .

- უნდა გავიგოთ ისიც, რო ამ ჩვენმა კაცმა - „კობა“ რო დაირქვა ყაზბეგის სიყვარულითა, თავის დროებაში ტროცკისა და სხვა მრავალთა ჭკუას აჯობა, ლენინიც რო ებრაელებს უჭერდა მხარსა და ხელისუფლებაცა სხვა რა არი, თუ არა ბრძოლა პირველობითინა ყველა დრო-ჟამსა, ეხლაცა განა, ეგრე არ არი?!.....

- მე მგონია, რო ჩერჩილზე დიდი დემოკრატი ჩვენთან არავინაა და ეს კაცი ხო სტალინს „გენიოს კაცად“ ახასიათებს. იმასაც წერს ეს სიმართლის მოყვარული კაცი, რო ომის მძიმე წლებში რუსეთის ბედი ის იყო, რო მას მეთაურად სტალინი ჰყავდაო... ალუდა ქეთელაურისა და მუცალისა არ იყოს, თუ ჩერჩილი - სტალინის მტერი ხვდება და აღიარებს ამასა ვაჟკაცურად, მის გარდა რუზველტი და სხვა ათასიცა, თქვენ რა დაგემართათ?!...

- მა, ვერ ატყობთ რო აქაც დაშორდით ხალხსა, - ხალხი სტალინის სადღეგრძელოებსა სვავს, ესახელება ის როგორც ქართველი კაცი, ცხრა მარტიც ამიტომ არ მოხდა მაშინა, ერისა და სტალინი გალანძღვითინა, ხრუმჩოვმა რო დაიწყო ქართველობი ბოღმითა ?!...

- აი, აქ სტუმრად გვყავდა ქართველი მფრინავი დავით ჯაბიძე... მაშინაც წავიდა ლაპარაკი სტალინზე და აი, რა გვითხრა ამ კაცმა:

- მეო ფრანგულ-რუსული ესკადრილიის მფრინავი ვიყავი და ერთხელ გამოგვიცხადეს - დე გოლი მოდის ჩვენთანაო... გაგვამწკრივეს და ჩემთან რო მოვიდა, ხელი ჩამომართვა და შემატყო რომ არც რუსი ვიყავი და არც ფრანგი - თარჯიმანს ეუბნება - შეეკითხე, ვინ არიო და ვერ გავაგებინე თარჯიმანსაცა და მასაც ქართველი რო ვარ საქართველოდანა... ბოლოს ამდენი ჯახირის შემდეგა, ბედზე ჩემი უღვაშები გამახსენდა, მოვისვი ხელი მასზე და სიამაყით ვთქვი - სტალინის სამშობლოდან ვარ, მისი თანამემამულე - მეთქი...

- სტალინი რო ვახსენე, ეს ამხელა ორმეტრიანი კაცი თავზე დამემხო, ხელი მომხვია - მომეფერა - მომეალერსა და ბანკეტის თავში თავის გვერდზე დამსვა - სულ მეკითხებოდა, ჩვენს ხალხსა და ქვეყანაზე, მის ბუნებასა და ჰავა-კლიმატზე, ისტორიასა და ცხოვრების წესზე, ბოლოს კი, ეს მკითხა:

- მადლობა ღმერთს, ეს სისხლისმღვრელი ომი მთავრდება, სტალინთან მივდივარ მოსკოვში შეხვედრაზე, მითხრეს, პირადი

საჩუქრები არ უყვარს დარას მირჩევ, რა შევთავაზო, რომ ვასიამოვნო...

– მე ჩვენი განძი გამახსენდა და ვუთხარი – თქვენთან ჩვენი ეროვნული განძი ინახება, თუ მას უკან დაგვიბრუნებთ, უთუოდ დიდად ასიამოვნებთ-მეთქი... თარჯიმანს ჩააწერინა და შემდეგ გავიგე, რომ ეს განძი საქართველოში ბრუნდება, მიუხედავად ათასი წინააღმდეგობისა და ბანკების საგარანტიო ვალეებისა...

– არ დაგვავიწყდეს, ეს ხდება 1945 წლის აპრილში, ომია ისევ, ამიტომ განძი სამხედრო თვითმფრინავით პარიზი – კაირო – თეირანი – თბილისის რეისით დაბრუნდა თაყაიშვილთან ერთად, ჩვენი მეცნიერი შალვა ამირანაშვილიც ახლდა თანაო...

– აი, ასე მოყვა ამ ამბავს ეს კაცი... ჰოდა, მე გეკითხებით – რატო არ ამბობთ სიმართლესა? ექვთიმე თაყაიშვილს დიდი მადლობა, გმირობა გამოიჩინა, განძის დიდი ნაწილი გადაარჩინა, თუმცა ბევრი რამ კიდევ დაიკარგაო, მაგრამა სტალინზე რატო ხმას არ იღებთ?!... ანდა იმაზეცა, როგორ აღადგინა ილიას სახელი, მისი 100 წლის იუბილე იზეიმა, მუზეუმები გახსნა საგურამოში, თბილისსა და ყვარელშია, ვითომა რო სიმართლე გიყვართ, რას მალავთ და ჩქმალავთ – თქვით, რატო არ ამბობთ სიმართლესა?!... რა კაცობაა ესა?!...

– ეხლა რო ქალაქელები მეტროთი დაბრმანდებითა, ვისი დამსახურებაა?!... ანდა, თბილისის ზღვა, სამგორის სარწყავი არხი, რუსთავი, ინდუსტრიული ქუთაისი – აბა, დაასახელეთ, ვინ გააკეთა ქართველთაგან ამაზე მეტი ჩვენთვისა?! თქვენ არ ამბობთ, მაგრამა თქვენ ნუ იტყვით რა, ხალხმა ხო იცის ყველაფერი ესა და გულში დაგცინით ასეთი ცრუპენტელობითვინა...

## – ხალხია ბოლოს მაინც, მართალი...

– შვილო, აქ მარტო სტალინში არაა საქმე, ჩვენ ყველა ხო, წუთისოფლის სტუმრები ვართ, დღეს ვართ და ხვალ არა, ავი, თქვა რუსთაველმაც – ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო... სტალინიც წავიდა და ვინც აქ დავრჩით ჯერხნობითა, ჩვენი ვალია სიმართლე ვთქვათ, ტყუილებითა ნუ ცდილობთ ფონს გასვლასა, დაიმახსოვრეთ – სიკეთეს არაფერს მოგვიტანს ესა...

– ხალხზე დიდ სიმართლეს კი ვერავინ იტყვით, ამიტომაა ეს თქმაც – ხმა ღვთისა და ხმა ერისაო... ჩვენ, ქართველები აქამდე

ვერ მოვიდოდით, რომ სიმართლის გზით არ გვეარა დასაბამიდან. იგრე რომა ჩვენი ყველაზე დიდი სათქმელი დღესაცა და ხვალაცა სიმართლის თქმაა, ვერავინ გავექცევით ამასა, მაგრამა თუ ვინმე გაექცევა, დღესა თუ ხვალ აუცილებლად წაიქცევა და კისერსაც წაიტეხს...

– ჰოდა, თუ გინდათ რო არ წავიქცეთა და წინ ვიაროთ, ხალხის ხმას ყური მიუგდეთ, თორემა კიდევ უფრო გაუგებარს გახდით ამ თქვენს გარდამავალ პერიოდსა... უნდა გვეამაყებოდეს და არა გვეთაკილებოდეს ასეთი დიდი კაცი რომ გვყავდა XX საუკუნის ქართველობასა, ილიამა რომ ლექსები დაუბეჭდა და ამ ჩვენ ევდოშვილთან და დიმიტრი მაჩხანელთან ერთადა საგურამოშიაც მიუწვევია თურმე... ილია კაცის ნიჭში არ შეცდებოდა და მასშიც დაინახა უთუოდ ესა...

– ამხელა ომი მათგებინა რუსეთსა და ხო, ხედავთ ახლა, რამდენს აგინებენ – რითვინა, განა ძნელი მისახვედრია: ქართველი რო იყო იმითვინა, უმადურობითვინა, თორემა აგე, ლენინი – კაცის ჩირადა ჰყავთ გამოფენილი ისევ წითელ მოედანზედა...

– ქართველი ხალხი კი, უმადური და უგუნური არაა, გონიერია და ამიტომაც თავისი კაცის დაფასება იცის... სხვა თუ არაფერი, მარტო ამ უმადურობის ჯიბრზედა, დღესა ქართველობის სიძულვილში როა გადაზრდილი კრემლშია, არ უნდა ვაგინებდეთ სტალინსა... ამიტომაც ითქვა ხალხში ეს ლექსი რუსეთი რო თავს დაგვესხა, აგვისტოშია:

– რამ დაგაბრმავათ ქართველნო,  
რამ დაგიყრუათ ყურები,  
რო ყოფილიყო სტალინი,  
ამა გვიზამდა რუსეთი?!...  
გამოახილეთ თვალები,  
გამოიფხიკეთ ყურები...

– ჰოდა, ჩემო შვილებო, სიმართლეს კი არ უნდა დაემალათ, სწორედ რომა პირიქითა – წინ წაიმძღვაროთ...

## - ვინც რა უნდა თქვასო...

ცოლ-ქმარს თან უხაროდათ მარიამისა და გიორგის ასეთი წარმატებები, როგორც მიხა ამბობდა მისებური მოსწრებული იუმორით - „სოფლის გარეთ გასვლა და თვალის გახელვა“, მაგრამ ის კი არ მოსწონდათ, რომ თვითონ მარტონი რჩებოდნენ ამ თავიანთ ნაამაგარ ფუძე სახლ-კარზე და აქაც გაუმართლათ: ჯერ თამარმა ჰპოვა თავისი გულისსწორი თავის თანასოფლელთან, ერთად თანაშეზრდილ კლასელთან....

მმახლებიც კარგნი გამოადგნენ და ამ ახალმა ოჯახმაც ჟოლივით იბარტყა... აქაც ხუმრობდა მიხა - ერთი შვილიშვილის სახელის დამახსოვრებას ვერ ვასწრებთ მე და ნინო, გავიხედავთ და ახალს გვახვედრებენო.

ვახტანგიმ და ირაკლიმაც აქ ჰპოვეს გულისსწორნი, აქვე დაფესვიანდნენ და ახლა მართლაც აერიათ შვილიშვილების სახელი ცოლ-ქმარს... მიხას „ფილოსოფოსმაც“ ახალი თეორიები შექმნა და ჯაგნარაში გაფანტული ბავშვების შემხედვარეს წუთისოფლის და იქ სტუმრობის ახალი გააზრება და ახალი პოეტური აღქმა დაგვახვედრა იქ „ექსკურსიაზე“ ჩასულებს... ეს მართლაც რომ დიდი იმედი იყო იმ დრო-ჟამს, როცა ათასი უბედურება არ აკლდებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყანას ამ თავის „გაუგებარ პერიოდში“...

- ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, - იშველიებდა ამ, ძველ თქმას და ესეც მოიფიქრეს ცოლ-ქმარმა სიბერის ჟამს: ბავშვებისთვის ჯაგნარაში ახალი „ალიზის სასახლე“ მოაწყვეს. თქვენ უნდა გენახათ რთვლობის დროს რა ამბავი ტრიალებდა იქ - თვალის და გულის ხარობდა მათი ჟრიაბულით... და აქ ჩვენმა „ფილოსოფოსმა თამადამ“ იმ თავის ტრიადა-სადღეგრძელოს ახალი პეწი შემატა:

## - საცექველას „მარადსოფელი“...

- აი, ხო ხედავთ, თქვენი ბედნიერი თვალითა რა დიდი ძალა აქ ამ ჩვენს „წუთისოფელსა“ - წუთისოფელი კი არა, მე მაგას ახლა „მარადსოფელი“ დავარქვი. ღმერთმა ჩვენს ერს ამითა უკვდავების წამალი მისცა და თუ ჩვენც ამას კარქათ გამოვიყენებთ, ამ ახლანდელ

ვაი-უბედურებასაც ადვილად გადავლახავთ... ჰოდა, ჩემი ფიქრითა ეს ჩვენი წუთისოფელი სწორედ რო მარადსოფელი გახდება.

- აი, დააკვირდით ამ ბავშვებსა - ეგენი რო დაიზრდებიან, სწორედ რომა როგორცა ამ რქაწითელსა, შარშან რო ჩავყარეთ მე და მიხამა, ისეთი ახალი რქა და ყლორტები წამოუვა ერისა და ქვეყნის გულისგასახარადა, რო მართლაც აყვავდება ჩვენი ქვეყანა... უკვდავებაცა აბა სხვა რა არი?

- აი, რო იტყვიან ხალხში რომა პაპა-ბებიასა შვილებზე მეტად შვილიშვილები უყვართო, სრული სიმართლეა და იცით რატომა, იმიტომ რომა, აი, ამ რქაწითელისა არ იყოს, შეხედეთ აბა, ზოგი ვაზი როგო დაბერებულა - აი, ისინი მე და მიხამ 40 წლის წინ რო ჩავყარეთ, ახლა მალე ახლებით თუ არ შევცვალეთ, რქაწითელი მაისპობა - გახმება... მომავალი კი მაგათ რქებშია - უნდა დროზე ჩარგო ხელახლა მიწაშია...

- აი, ეგ ბავშვებიცა პაპა-ბებიებს იმითვინ გვიყვარან შვილებზე მეტადა, რომა ჩვენეული გააზრებითა ეგენი ჩვენ შემცვლელებად გვევლინებიან - გვესახებიან...

- აგე, იმ გოგოსა ხო ხედავთ - ჯერ 6 წლისაც არაა და აიტეხა სოფელმა, სულ შენაგავსო და უკვე „საცექველა“ დაურქმევიათ... აი, იმ ბიჭითვინა კი - „მიდეგა“, მიხასავით თავის ნათქვამა და გაუტეხელია. ღმერთმა მაგათაცა და სუყველასაცა მშვიდობის და სიკეთის გზა მისცეთ, სუ გარდამავალ-გაუგებარ პერიოდში არ დარჩნენ ეგენიცა... ეს ჩემი მოგონილი „მარადსოფელიცა“ ესაა...

მაშ ასე: რუსთაველმა ხომ ესე თქვა - „წამია ესე სოფელი“, მერე ეს „წამისოფელი“ „წუთისოფლად“ იქცა, ახლა კი, საცექველამ თავისი ფილოსოფიით ის „მარადსოფლად“ აქცია...

## - რაც მტრობას დაუნგრევია...

ღმერთიდან ერზე რომ გადავიდოდა, საქეცველა მუდამ იხსენებდა კომუნისტური აგიტაციის ამ კიდევ ერთ აზსურდს:

- აი, რო ჩაგვჩიჩინებდნენ რომა, ახალი ერი შეექმენითო - საბჭოთა ხალხიო, ენაცა მისი რუსულიაო, გულში ვფიქრობდი, გარუსება უნდათ ჩვენი და ეს იმიტომ გამაიგონესო, თორემა ერს ღმერთი ქმნის და ეგენი ღმერთი კი არა ემშაკები იყვნენ...



- მართლაცა, ერსა ხო მარტო ღმერთი ქმნის, ვენაცვალე იმის სახელსა და საქმესა... რუსი და რუსული თუ გინდათ, ღმერთმა მოგვით თქვენი ადგილი და საცხოვრისი და დაეტიეთ იქა, რაღას მომვრებით ჩვენკენა - იმყოფინეთ თქვენ რაცა გაქთ მანდა?!... ნუ გაღორდებით თორემა ღმერთი იმასაც წაგართმევთ, რაცა გაქთ...

- აი, ეგრეც ხო მოხდა ჩვენ თვალწინა, მაღლობა უფალსა, ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი დაგვიბრუნდა, მაგრამა ახლა შენ თუ არ ივარგე, ღმერთმა რა ქნას, ჩვენ თვითონ თუ ვერ მოუარეთ ჩვენ ქვეყანასა?!... ჩვენი ხალხი ბრძენია და აი, საშველიც რა თქვა სამომავლოდა - რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო...

- ჰოდა, მივყვეთ ამ ცნებასა და აუცილებლად გვეშველება, უკვდავება ერისაც ესაა და მეტი არაფერი, ეს იმითვინა რომა, ღმერთიც სიყვარულია თვითონა. ვინც ამ ცნებით და რწმენით იცხოვრებს, ღმერთთან იქნება მუდამა, თუ არა და - ემმაკებთანა... აი, ეგეთი არჩევანი აქ კაცსა ეხლა...

- მაღლობა ღმერთს, ღვთისნიერებს ბევრს გვაძლევს გმირებსა და აი, თუნდაცა ჩვენ მხარეშია რამდენი ასეთი სახელებია, ხალხი რო არ ივიწყებს მათა... „პატარა კახი“ განა სიყვარულით არ შეარქვა ერეკლე მეფესა ხალხმა? ზოგსა ჰგონია, პატარა ტანისა გამო, მაგრამა აი, აქ ქიზიყშია, ალაზნთანა რომა 15 წლის პირტიტველა ბიჭმა რო სძლია მტერსა... აი, ამიტომა ეს სახელი დაანათლა ხალხმა...

- ეხლა სხვა დრო-ჟამია, მაგრამ არანაკლები გმირობა გვჭირდება ახლაცა სამშვიდობოზე რო გავიდეთ... ისევ ამ სიყვარულით შევძლებთ ამასაც - მტრობით დანგრეულის აღდგენასა და აშენებასა...

## უკანასკნელი თეორია:

- სიკვდილის ლოდინი ლხენაა...

დიდი გეგმები ჰქონდათ ცოლ-ქმარს, უღლის ერთად გაწევის სურვილი კვლავაც – კიდევ უნდოდათ ამ ქვეყნად ღირებული რამ შეექმნათ, მაგრამ წუთისოფლის ამბავი ხომ მოგეხსენებათ და ერთხელ საცექველა მირეკავს – შენ რო ძან გიყვარდა მიხა, ის მიხა აღარაა...

თავისებურად დაიტირა ქმარიც, როგორც ეს საცექველას ეკადრებოდა... მთელი სოფელი ლაპარაკობდა – ლამაზად გაცილაო...

- ცალუღელად დამტოვე ამ მუხთალ წუთისოფლადა, შენც

სტუმრად იყავი აქა და ახლა შინ წახვედი... მეც სტუმარი ვარ და მალე წამოვალ შინა...

ჭიქა რომ მიაწოდეს ჭირის სუფრაზე, იქაც მოკლედ თქვა: – აი, მიხავ, „ჯაგნარას“ წვენია ესა, ჩვენი ნაომარი და ნაოფლარია, ამ წუთისოფლად სტუმრად ტყუილა არ ვყოფილვართ, მუქთად არ გვიცხოვრია ზოგ-ზოგებივითა და შინ მისულიც შერცხვენილი არ მიუხვალ მამა-პაპასა ზეციურ საქართველოშია...

საოცარი გმირობა გამოიჩინა მარიამმა – დედა აღარ მიატოვა, თემასაც აქ დავამთავრებო... გერმანიაშიც დაეთანხმნენ, ის კი არა, მალე ჰენრიმაც ჩამოაკითხა, ჩვენთანაც მოიყვანა კათედრაზე, საქართველოში გერმანულ კოლონიებზე თემის დასრულება ჩვენთან გადაეწყვიტა....

საცეკველაც რომ ვნახეთ, ძველებურად დაგვხვდა, ისევ „ალიზის სასახლეში“ გვიმასპინძლა, ძველებურად „პატარა პური ვჭამეთ“ – ითამადა, – ღმერთისა, ერისა და მეფისა თქვა ისევ, ერთი განსხვავებით – წასულები რომ ახსენა, მიხავ გაიხსენა...

მარიამმა კი, ეს გამანდო: – გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მაგრამ შიგნით მასში დიდი ფერისცვალება ხდება – აიჩემა ოთარაანთ ქვრივის სიტყვები – სიკვდილის ლოდინი ღებნაა!... ერთი ჩვევაც დასჩემდა – განუწყვეტლივ წერს, არ ვიცი უკვე რამდენი რვეული დაწერა უკვე...

– გერმანიიდან სამაგისტრო თემაზე რომ დადებითი პასუხი მომივიდა, გაუხარდა, და იცით სადოქტოროდ რა თემა მიირჩია – გაცოცხლებული დავრჩი: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში, მომეწონა და ახლა დასაბუთებას ვცდილობ...

მარიამს მეც მოვუწონე თემა, ახალიც არის და ორიგინალურიც, თან დავამატე – ეს დედაშენის ბოლო თეორიად ჩავთვალოთ და კათედრაც გიშუამდგომლებს გერმანიაში მის დასამტკიცებლად, მთავარია, სიღრმისეულადა გაიაზრო თემა...

წუთისოფელი კი მიდის, ვინ გააჩერებს მის უსასრულო სრბოლას... და ერთხელაც მარიამმა შემატყობინა – დედა აღარაა...

## ჰალუცინაცია, თუ...

სამძიმარზე ჩასული, მარიამმა ცალკე ოთახში გამიყვანა და საოცარი ამბავი მომიყვა. სხვა შემთხვევაში არ დავიჯერებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში არა – მარიამი შვილივით მიყვარს, ტყუილს და მოგონილს არც მე მაკადრებდა და არც საკუთარ თავს:

– ადრეც გითხარით – განუწყვეტლივ წერს – მეთქი და ანდერძად დამიბარა – თქვენთვის გადმომიცა – ყველაზე კარგად ის გამიგებსო... ის ბოლო დღეც ჩვეულებრივად წერდა, მეც ილიას „ოთარაანთ ქვრივიდან“ და „განდეგილიდან“ თემისთვის რაღაცეებს ვთარგმნიდი გერმანულად... დასაძინებლად რომ გავედი, ისევ წერდა...

– სიზმრებს ვერ ვიმახსოვრებ, გამელვიძება, თუ არა, იქვე მავიწყდება, მაგრამ აქ რაღაც უცნაურობა მოხდა – დედა მეძახდა, გამომეღვიძა, მის ოთახში შევედი და მივხვდი, მამასავით, ისიც „შინ წავიდა“...

– მთელი სოფელი მხარში ამომიდგა, მეზობლები, ახლობლები დღედაღამ არ მშორდებოდნენ და ცოტა რომ დავწყნარდი, რვეულები გამახსენდა, ვერსად ვნახე, აღარ ვიცოდი რა მექნა – სად უნდა დაკარგულიყო, ისინი ხომ, მუდმივად მის ოთახში მასთან იყო, აღარ ვიცოდი რა მექნა, გიჟივით გავხვდი...

– ნერვიულობაში ჩამეძინა და კვლავ დედა დამესიზმრა: – შვილო, რვეულებს თან რატომ მატან, მე ისინი იქ არაფრად მჭირდება... წამოვვარდი, შეუმჩნევლად გავედი საჭირისუფლო ოთახში, სუდარა გავასწორე და ჰოი, საოცრება, რვეულებმა თვალებში შემომანათეს – მეზობლის ქალს ეტყობა გადაუწყვეტია – ბრძენი ქალი იყო და თან ჩაატანა...

– თქვენს ჩამოსვლამდე, აი, ეს ლექსი მომხვდა თვალში – ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ნარევია, ჩემს თემასაც ეხმიანება და გადავწერე ჩემთვისაც – აი, ნახეთ:

– ვიხსენებ და ვერ ვიხსენებ,  
რატომ და რისთვის მოვედი,  
ანდა, ახლა ამ ქვეყნიდან  
სად მივდივარ, რისკენ ვილტვი...  
საით მივემგზავრები...

ნუთუ ცისკენ, მეცხრე ცისკენ,  
წინაპართა სულთა გზისკენ, –

უსასრულო სამყაროთა  
უსასრულო ლაჟვარდისკენ?!...  
თუ ისევ ისე,  
გულსაკლავად  
ამას ჩამომძახებენ:  
– „მიწა იყავ, მიწად იქეც!“ –  
ცისა ფერზე,  
ლაჟვარდებზე  
არც იფიქრო  
არასდროს...  
ეგ ოცნება  
გიჟად გაქცევს,  
გაგაქრობს...

ქალაქში რომ დავბრუნდი, ერთი სული მქონდა ჩამეხედა  
რვეულებში... და იქაც საოცრებას წავაწყდი:

### დაუმთავრებელი სიტყვა....

უმეტესწილად იქ ყველგან, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა,  
დაუმთავრებელი ჩანაწერები და სიტყვა დამხვდა – ჩქარობდა ეტყობა,  
ამ წუთისოფლად მყოფი, რამე არ დარჩენოდა სათქმელი...

მაგრამ, განა ვინმეა ქვეყნად, რომ არ დარჩეს ეს დაუმთავრებელი  
სიტყვა ან, საქმე? ალბათ, არავინ... აკი, წერს რუსთაველიც პოემის  
ბოლოს, თვითონაც ალბათ, ამისგან დალდასმული:

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,  
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!“

საცეკველაც უთუოდ, გრძობდა, რომ ბევრი რამ რჩებოდა სათქმელი  
და ეს დაუმთავრებელი სიტყვაც ამას გვეუბნება... აი, მაგალითად 9  
აპრილის ფონზე რა ჩაუწერია და აშკარად ეტყობა სათქმელი აქაც ვერ  
დაუმთავრებია:

– დგას საქართველო  
აღმდგარი მკვდრეთით,

იქ, რუსთაველთან  
შემართული  
გაღელილ მკერდით...

მერე პოეზია პროზით შეუცვლია, მაგრამ ისიც დაუმთავრებელი – იქ ჩახოცილთა სახელით ღმერთს მიმართავს: არავისთვის შეგირჩენია ბოროტება და მწამს – სამაგალითოდ დასჯი ამ „ბოროტების იმპერიასაც“... მერე კვლავ ნახევრად პოეტური ჩანართიც – „ბოროტების იმპერია არ კვდება, ის დღესაც ბოროტების იმპერიად რჩება“ - გვაფრთხილებს ყველას ...

ესეც ამ თემაზე მინაწერი აქვე: ცხრა აპრილის სისხლიანი აისით, საქართველომ თავი იცნო თავისი... და მერე წუხილიც, რომელიც „ალიზის სასახლეშიც“ ბევრჯერ მომისმენია მისგან:

– აბა, მითხარით ახლა, სად წავიდა ის დიდი ერთობის ძალა, ცხრა აპრილის დღეებს რო ახლდა თანა – მაშინ ხო, მთელი საქართველო გაერთიანდა, ამის დაკარგვა 9 აპრილის ღალატი იქნება ჩვენგანა - არ მინდა დავიჯერო რო ეგ ერთობა ჩვენი წამიერია და არა მუდმივი, როგორცა დავით აღმაშენებლის მეფობის დროსა... ჰოდა, ვინც აქ დარჩით დღესა, იფიქრეთ როგო გავხადოთ ეს წამიერობა მუდმივადა...

და მერე „მიხას ფილოსოფოსი“ კვლავ ფილოსოფიურად წერს, ეტყობა ეს მაშინ, როცა სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი მოეძალა:

- სიკვდილი არც ისე ძნელი ყოფილა,  
როგორც იგი ჩანს ერთი შეხედვით...

ესეც დაუსრულებელია და იქვე რაღაც მინიშნება აქვს, რომ გაგრძელება რომელიდაც მის შემდგომ რვეულშია მოსაძებნი...

ერთგან ეს ფილოსოფიური კითხვაც შემხვდა ამ რვეულებში - რით იწყება ადამიანი, რით ხდება იგი კაცი? - ფიქრით, ოღონდ ფიქრით, როგორც მთის წყარო სუფთა, ანკარა, შეურყვნელით, წაუბილწავით...

და ასე დაუსრულებელიც დაუსრულებელი სიტყვები და ჩემთვის გულში ვთქვი – ღმერთსა, ვთხოვ დროსა და ძალას, საცნაურად რომ გავხადო ისინი, საცეკველას ეს ალალ-მართალი დაუმთავრებელი სიტყვები...

მე ხომ, მასთან და მის ოჯახთან ერთად მოვდივარ ამ წუთისოფლად და ესეც მავალეებს მის უთქმელ სიტყვებს სიმართლის ნათელი მივცე...

## ზედაშე

ფსიქოლოგიური ჩანახატი

მსოფლიოში მოხეტიალე ცხოვრებით გართულს, კარგა ხანს გადამავიწყდა სოფელი, მიწის სურნელი, ძველი მამა-პაპეული ნაფუძარი, ბავშვობაში რომ სულ მიკვირდა, ვინ და რამ გამოკვეთა ეს გორა და კლდე ტერასებად...

ზედაშემ გამახსენა ყოველივე სოფელში ჩასულს აქეთ-იქით ხეტიალის შემდეგ... გულმაც უმაღლესი გამიწია მისკენ, ტერასზე ობლად შემორჩენილ ზედაშისკენ, მაგრამ ელდა მეცა იქ მისულს: ქვა-ღორღსა და ეკალ-ბარდს დაეფარა ზედაშე...

ზედაშეს მომცრო ქვევრიც ღვინის ნაცვლად, წყალსა და ქვიშას ამოევსო, ეკალ-ბარდში ჩაკარგულს, სანთლის დასანთებადაც კი ვერ მივეკარე...

მაგრამ ზედაშეზე საოცრებაც ვნახე: აქ შემორჩენილი ქართული კრამიტი დავლანდე - ჟამთა სვლას მთლად ვერ ეძალადა მასზე. პაპის ამოტვიფრულმა სახელმა ხომ ფრთა შემასხა, გამახალისა...

გონებაში ამოტივტივდა მისი სახე, თითქოს მილიმოდა კიდეც, იმედს მამლევდა... გაცოცხლდა ჩემი ბავშვობაც და ეს საოცარი ძველი ბრძნული თქმაც:

„იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შამვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“. ზედაშეზე მისული კიდეც უფრო დავიმუხტე, სულით ავმადლდი...

და წამიერად ვიგრძენ - გავბავშვდი ისევ, გაცოცხლდნენ ჩემში პაპაც და ღმერთიც... მაგრამ ვაი რომ არა: მაცდური აღმოჩნდა მიღმურობის ეს შეგრძნება ჩემი და მალე კვლავ დავშორდით ერთმანეთს მე და ზედაშე...

დავშორდი ისე, პატიება-მონანიება-აღსარების სიტყვაც არ დამცდა, დავმუნჯდი ერთიანად და უნებურად გავიფიქრე: რამდენი ასეთი დაობლებული ზედაშეა დღეს ამერ-იმერის მთასა და ბარად, თუ დათვლის ვინმე?!...

სურჯემ და სიცარიელე გამეფდა ირგვლივ, დავჩიავდი, დავპატარავდი... მას შემდეგ განძარცულობის გრძნობა თან მსდევს მუდამ მოუშორებლად...

ზედაშეც - ათასწლეულების ეს სახსოვარი წინაპართა, კვლავ ეკალ-ბარდის ტყვეობაში დარჩა უპატრონოდ - მიუსაფარად...

მეხსიერებამ კი, კვლავ მიკარნახა - „იყო და არა იყო-რა...“

ელბერდ ბატიაშვილი

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა;  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული... “

”დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია!...  
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;  
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,  
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული  
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..”